სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 21 დეკემბერი 2000 №246 (1268) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 28 დეკემბერი

სარბიელის

10 წელი

2000 28 დეკემბერი

ვესტ ჰემმა ხიზანიშვილი გაისამდე დაიტოვა



ფოტო დილინგერაშვილი

ერთი კვირაა, ზურაბ ხიზანიშვილი ლონდონის „ვესტ ჰემში“ ვარჯიშობს, თამაშმა კი პირველად გუშინ მოუწია. ნაშუადღევს „ვესტ ჰემის“ სარეზერვო გუნდი ერთ-ერთ დაბალდივიზიონელ მეტოქეს 2:2 დაუზავდა და ხიზანიშვილმა ამ მატჩში ორივე ტაიმი სრულად ითამაშა.

მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების 19 წლის მცველს „ვესტ ჰემის“ მაისურა ჯერ კიდევ გუშინწინ უნდა მოერგო „არსენალის“ სარეზერვოებთან მატჩში, მაგრამ რაკი საამისოდ დროებითი სერტიფიკატი აღმოჩნდა საჭირო, სფფ-დან მისი გაგზავნა კი არ ესწრებოდა, ჩაქუჩებმა უქართველოდ ითამაშეს და 1:2 დამარცხდნენ.

გუშინდელ მატჩში ხიზანიშვილი მარჯვენაფლანგელად გამოსცადეს, „ვესტ ჰემის“ 3-5-2-ში ქართველს მარჯვენა ნახევარმცველობა ერგო. როგორც თავად თვლის, ურიგოდ არ უთამაშია, თანაც, რაც მთავარია, ვესტჰემელთა მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი კმაყოფილი დარჩენილა.

ზურაბის აგენტს, ათოლ სტილს რედნაპისთვის შეუხსენებია, ხიზანიშვილი მარჯვენა ნახევარმცველი არ არის და მისი თამაში შუა ხაზის ცენტრში სჯობიაო. „ვესტ ჰემი“ ყაბულსაა, ხიზანიშვილი კიდევ გამოსცადოს და საამისოდ ქართველს გასინჯვის გახანგრძლივება შესთავაზა.

— ლონდონელებმა მითხრეს, შობა-ახალ წელს ჩვენთან შეხვდი, ამ პერიოდში „ლესტერს“, „ჩარლტონს“, „ჩელსის“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვეთამაშებით, ძირითად გუნდთან ერთად იქნები, შეეგუები, ამასობაში კიდევ გათამაშებთ და კონტრაქტზეც მერე შევთანხმდეთო — თქვა წუხელ ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელსაც ლონდონში ტელეფონით დავუკავშირდით.

ერთი სიტყვით, ზურაბი თბილისში უკვე გაისად, ნაახალწლევს დაბრუნდება, ვეტსჰემელი თუ კვლავ ლოკომოტიველი, ამას მოგვიანებით შევიტყობთ. მანამდე, ალბათ, ფიფაც გაარკვევს „ლოკომოტივ“ — ხიზანიშვილის კონტრაქტის კანონიერება-უკანონობას. ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კომენტარს და ცარიელი კონტრაქტის ასლს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია 27 დეკემბრისთვის ელის.

ვახტანგ ბზიბაძე

კიევველებმა დემეტრაძე სოსიედადში გააფრინეს

გიორგი დემეტრაძე: უკრაინიდან ბასკეთში

სარბიელის არქივიდან

კიევის „დინამოს“ აწ უკვე ყოფილი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე პირველი ქართველია, ესპანეთის პრიმერადივიზიონში რომ ითამაშებს.

გუშინ საღამოს გიორგი დემეტრაძემ სან სებასტიანის „სოსიედადთან“ სამი პლუს ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, კიეველებმა კი მის სანაცვლოდ 900 მილიონი პესეტა ანუ 5 მილიონი დოლარი მიიღეს. დემეტრაძემ გუშინწინ „დინამოსთან“ ერთად კიევში ივარჯიშა. ესპანეთში კი ნასადილევს გაფრინდა.

— შუა ვარჯიშში ვიყავი, როცა „დინამოს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გვერდზე გამიხმო და მითხრა, სასწრაფოდ გაემზადე, ესპანეთიდან კარგი წინადადებაა და სან სებასტიანში გაფრინდი. თუ მათი პირობები დაგაკმაყოფილებს, იქვე დარჩი, ჩვენ, კლუბები უკვე ყველაფერზე შევთანხმდითო. მეც ერთ საათში თვითმფრინავში ჯავჯექი და პარიზისკენ გავწიე, საიდანაც აქ, სან სებასტიანში ჩამოვფრინდი. გუშინ ჯანმრთელობა შემიმოწმეს და მალევე კონტრაქტიც გავაფორმე. ორიოდ საათია, რაც სასტუმროში დავბრუნდი — გვითხრა გუშინ გიორგი დემეტრაძემ, რომელსაც სან სებასტიანში ტელეფონით დავუკავშირდით.

ერთი სიტყვით, დემეტრაძე პრიმერა დივიზიონის „სოსიედადის“ ფეხბურთელია და კლუბის ხელმძღვანელობა ზამთრის ტრანსფერების პირველ შენაძენს ნაშუადღევს „ანოეტას“ სტადიონზე საზოგადოებას წარუდგენს.

არადა, მოულოდნელი კი გახლდათ გიორგი დემეტრაძის კიევის „დინამოდან“ ახლა აბარგება. კონტრაქტით მას უკრაინულ გუნდში კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა. ამას წინათ „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ ისიც თქვა, დემეტრაძე გვჭირდება და მის ტრანსფერზე დაყენებას არ ვაპირებთო...

გიორგი დემეტრაძის ახალი გუნდი პრიმერა დივიზიონის აუტსაიდერია. „სოსიედადი“ გუშინაც დამარცხდა. როცა ქართველი თავდამსხმელი კლუბის ხელმძღვანელებთან კონტრაქტს აფორმებდა, ბასკები მალაგაში 0:3 აგებდნენ.

დემეტრაძის ახალი თანაგუნდელი მისი ძველი ნაცნობი და კოლეგა, ლიტველი ედგარას იანკაუსკასიც იქნება. ისინი ერთმანეთს კაუნასში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ, საქართველოს ნაკრებისთვის სადებიუტო მატჩში შეხვდნენ.

კოტა ინასარიძე

ყოჩებმა კავშირს შრქინა: რემატჩი ან ჩემპიონობა!

საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ ბურძგლამ და საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ მალაღურაძემ თანამდებობები დატოვეს, გვითხრა გუშინ საგანგებოდ წვეულ პრესკონფერენციაზე კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ და საქმის ვითარება წვრილად ახსნა, ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ.

ცხადია, უპირველესად, ბურძგლასა და მალაღურაძის გადადგომაზე ვთქვათ. საამისოდ უპრიანია, ჩავიხედოთ პრესკონფერენციაზე გავრცელებულ რაგბის კავშირის განცხადებაში, სადაც წერია: „ეროვნულ სტადიონზე გამართული საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დასრულდა, გამარჯვებულად კი მეტი გატანილი ლელოსი წყალობით „ლოკომოტივის 1“ გამოცხადდა. ამან ძალიან გააკვირვა მეტოქე გუნდის „ყოჩების“ მოთამაშეები და მწვრთნელი. მოხდა ისე, რომ გადაწყვეტილება რაგბის კავშირმა უშუალოდ თამაშის დღეს მიიღო, რის შესახებაც ინფორმირებულნი იყვნენ ორივე გუნდის მწვრთნელები. სავსებით გასაგები მიზეზების გამო, „ყოჩების“ მწვრთნელმა სრულად ვერ გაიაზრა მიღებული ინფორმაცია და ჩათვალა, რომ მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში ჩემპიონად ორივე გუნდი გამოცხადდებოდა... მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს საქართველოს რაგბის კავშირი... ამის გამოძახილია ის ფაქტი, რომ ფინალური მატჩის მეორე დღეს გადადგომაზე განცხადება გააკეთეს გენერალურმა მდივანმა მიხეილ ბურძგლამ და საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ მალაღურაძემ. კავშირის დირექტორთა საბჭომ მხარი დაუჭირა მათ გადაწყვეტილებას.“

თითქოს ყველაფერი ცხადია, მაგრამ რამდენიმე ფაქტი მაინც მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ, თუ ორივე გუნდის მწვრთნელები იყვნენ „ინფორმირებულნი“, რაღა „ყოჩების“ თავკაცმა მალხაზ ჭეიშვილმა „სრულად ვერ გაიაზრა მიღებული ინფორმაცია“?

ამაზე ბიძინა გეგიძემ გვიპასუხა: საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე მამის გარდაცვალების გამო ფინალურ მატჩს ვერ დაესწრო, გარდა ამისა, დებულება არ იყო სათანადოდ მომზადებული. ამ საქმის მოგვარება კი ნუგზარ მალაღურაძისა და მიხეილ ბურძგლას მოვალეობა იყო.

ახლა „ყოჩების“ მთავარ მწვრთნელს, მალხაზ ჭეიშვილს მოვუსმინოთ: „მიხეილ ბურძგლამ გასახდელიდან გამიყვანა და ყურში ჩამჩურჩულა, მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში დამატებითი დრო დაინიშნებაო, „მეტი ლელოს“ წესზე კი არაფერი უთქვამს. თუმცა, მერე შევიტყვე, იმავე ბურძგლამ ჩვენს მეტოქეს ყველაფერი საფუძვლიანად აუხსნა.“

ერთი სიტყვით, აქედან ის გამოდის, რომ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე და გენერალური მდივანი საქმეს ვერ გაუძღვნენ და ამიტომაც დაუზურავთ ქუდი და გამოუხურავთ რაგბის კავშირის კარი.

ეგ ყველაფერი კარგი, გენმდივანი და კომიტეტის თავმჯდომარე შეცდნენ და თანამდებობებიც დატოვეს, მაგრამ ერთიც ვიკითხოთ: ჩემპიონატის დებულება ფინალური მატჩის დღეს უნდა მოიკითხო? ცხადია, ამ უხერხულობას ბიძინა გეგიძეც გრძნობს და კლუბებს უფრო მჭიდრო თანაშრომლობისკენ მოუწოდებს. მაგრამ ვიდრე კავშირში მომავალი პირველობის ჩატარების ფორმატზე იმსჯელებდნენ, მანამდე წლევანდელი ჩემპიონის ვინაობაც გასარკვევია...

გუშინ მალხაზ ჭეიშვილმა გადათამაშება ან ორივე გუნდის ჩემპიონად გამოცხადება მოითხოვა.

ახლა ჯერი რაგბის კავშირზეა. ნურც ლოკომოტიველებს დავივიწყებთ. მათ სრული უფლება აქვთ, ყოჩთა გამოწვევაზე უარი თქვან.

ერთი სიტყვით, ახალდაწესებული „ბზის თასისთვის“ ბრძოლა გრძელდება.

ბაჩო სვანიძე

გერმანია

გადადებული მატჩი

უნტერჰახინგი 0:0 ვერდერი

შალკე	18	10	4	4	37:19	34
ბაიერნი	18	10	3	5	37:20	33
დორტმუნდი	18	10	3	5	29:25	33
ლევერკუზენი	18	9	4	5	28:21	31
ლაუტერნი	18	9	3	6	26:23	30
ჰერტა	18	9	1	8	37:34	28
ვოლფსბურგი	18	7	6	5	36:24	27
კიოლნი	18	7	5	6	33:29	26
ფრაიბურგი	18	6	6	6	25:21	24
მიუნხენი	18	6	6	6	24:31	24
ჰამბურგი	18	6	3	9	35:34	21
ვერდერი	18	5	6	7	23:29	21
უნტერჰახინგი	18	5	6	7	19:27	21
ჰანზა	18	6	3	9	19:29	21
აინტრახტი	18	6	2	10	22:31	20
კოტბუსი	18	6	2	10	22:32	20
შტუტგარტი	18	4	6	8	25:30	18
ბოხუმი	18	5	3	10	16:34	18

თასის მეოთხედფინალი

უნიონი 1:0 ბოხუმი

1:0 ერნემანი (90)

შტუტგარტი 2:1დ.დ. (1:1) ფრაიბურგი

1:0 ბალაკოვი (29), 1:1 კელი (31), 2:1 განია (96)

დუისბურგი 0:1 მიუნხენგლადბახი

0:1 ვან ლენტი (67პ)

მაგდებურგი 0:1 შალკე

0:1 ბიომე (34პ)

ნახევარფინალის ფილისჭრა

შტუტგარტი — შალკე

უნიონი — მიუნხენგლადბახი

მატჩები გაიმართება 6-7 თებერვალს

ინგლისი

ასოციაციის თასი

I ეტაპი. გადათამაშება

ლეიტონი 3:2დ.დ. (2:2) ნორსვიჩი

შოტლანდია

ასოციაციის თასი

I ეტაპი. გადათამაშება

ედინბურგ სიტი 0:1 ბაკი თისტლი

პორტუგალია

თასის მეთექვსმეტედფინალი

მარიტიმუ 1:0დ.დ. (0:0) ლეირია

ბოავიშტა 3:0 ავეში

საფრანგეთი

XXI ტური

მარსელი 2:1 მონაკო

0:1 სიმონე (15), 1:1, 2:1 ჯეა (32, 58)

მეორე დივიზიონი

XXVI ტური

ლე მანი 0:0 სოშო

თურქეთი

გადადებული მატჩი

ანთალია 0:1 გალათასარაი

ბელგია

XVIII ტური

შარლერუა 5:0 ბევერენი

1:0 როსსი (15), 2:0 დუფერი (27), 3:0 ედუარდი (34), 4:0 დეფეკი (54), 5:0 ნეგუა (65)

ლოკერენი 3:1 ლუვენი

1:0 იანსენი (53), 1:1 ბიულინქსი (71), 2:1, 3:1 ბანგურა (84, 89)

ბეერსხოტი 4:1 მუსკრონი

1:0 ვან დე ვეირი (33პ), 2:0 დეფერზი (45), 3:0 ბაგდორენი (53), 3:1 სეინეკი (70), 4:1 კარაგიანნისი (90)

გენკი 3:1 მეხელენი

1:0 პასი (32), 1:1 დელ სოლარი (49), 2:1 პასი (66), 3:1 სონეი (89)

ანდერლეხტი 3:2 სენტ ტრუიდენი

0:1 ტეხერი (1), 0:2 სხოკერტი (23), 1:2 რაძინსკი (57), 2:2 სტოიკა (70), 3:2 გოორი (74)

ანტვერპენი 1:3 ვესტერლო

0:1 ბოეკა-ლისასი (37), 1:1 გოოტეი (39), 1:2 მეტროვიჩი (57), 1:3 ბოეკა-ლისასი (89პ)

ლიერსი 2:0 აალსტი

1:0, 2:0 სნოეკსი (6, 9)

სტანდარდი 3:0 ჰარელბეკე

1:0 გუსენსი (38), 2:0 ლეკუენუ (50), 3:0 აარსტი (67)

გენტი — ბრიუგე

გაიმართება 24 თებერვალს

ესპანეთი

XXVI ტური

ბილბაო 1:1 ვალენსია

1:0 ურუტია (14), 1:1 კარეუ (85)

რასინგი 2:2 ვალიადოლიდი

0:1 ანტონიო ლოპესი (21), 1:1 ამავისკა (36), 2:1 მაცონი (39), 2:2 ხესუსი (70)

ბარსელონა 3:2 ალავესი

1:0, 2:0 რივალდო (3, 61), 3:0 კლუივერტი (69), 3:1 ხავი მორენო (76პ), 3:2 მაგნო (78)

ნუმანსია 4:2 სელტა

1:0 კაკო მორანი (5), 2:0 ოხედა (26), 2:1 დორიგა (28), 2:2 კტანი (30), 3:2 ხოსე მანუელ (59), 4:2 კაკო მორანი (67)

დეპორტივო 3:0 ოვიედო

1:0 ჯალმინია (10), 2:0 მაკაი (51), 3:0 ჯალმინია (80)

მალიორკა 3:2 ესპანიოლი

0:1 ტამუდო (33), 1:1 მარკოსი (21), 1:2 მარტინ პოსე (35), 2:2 ფერნანდო ნინიო (58), 3:2 ეტოო (72)

ვილიარეალი 1:1 სარაგოსა

1:0 კეკე ალვარესი (16), 1:1 ხოსე იგნასიო (87)

მალაგა 3:0 სოსიედადი

1:0 ლარინსარი (27), 2:0 მოგილა (48), 3:0 ფერტენი (68)

ლას პალმასი 3:2 ოსასუნა

1:0 გიარე (59), 1:1 კრუსეგი (79), 2:1 პაბლო ლაგო (82), 2:2 ივან როსადო (84პ), 3:2 პაკეი (90)

მეორე დივიზიონი

XXVIII ტური

ეიბარი — ელჩე 2:1 ლეგანა — კორდობა 2:1 მურსია — ესტრემადურა 1:3 სალამანკა — ტენერიფე 3:1 სპორტინგი — ფეროლი 1:1 ლევანტე — კომპოსტელა 0:2 სევილია — უნიფერსიდადი 2:2 ხეტაფე — ბეტისი 0:2 უესკა — ხაენი 2:0 ალბასეტე — ბადახოსი 1:1

ჰოლანდია

გადადებული მატჩები

უტრეხტი 2:1 ვალვაიკი

1:0 ცვაანდეიკი (11), 2:0 კეიტი (46), 2:1 ჰუმანი (78)

ტილბურგი 2:0 ნაიმეგენი

1:0 ბომბარდა (38), 2:0 შუკოვი (59)

ფეენოორდი 2:0 ვიტესი

1:0 კალუ (72), 2:0 ბოსველტი (78)

REUTERS ბერლინიდან

უნიონი — ბოხუმი 1:0. რეგიონალლიგელი ბერლინელებისთვის თასის ნახევარფინალში გასვლა დიდი საქმეა

REUTERS შტუტგარტიდან

შტუტგარტი — ფრაიბურგი 2:1. იაშვილის თანაგუნდელი სებასტიან კელი ანგარიშის გათანაბრებას ზეიმობს, თუმცა საბოლოოდ თასის ნახევარფინალში მაინც „შტუტგარტი" გავიდა

REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ალავესი 3:2. ბარსელონელი გვარდიოლა და ექსბარსელონელი ხორდი კრუიფი (№14)

REUTERS მარსელიდან

მარსელი — მონაკო 2:1. სტუმართა არგენტინელი მარსელო გალიარდო და მასპინძელთა შვედი კლას ინგესონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობამ ფეხბურთს ორი ტაიმი დაუთმო

შეგარდნაძემ, თარგამაძემ და ისაკაძემ ქართულ ფეხბურთს მძიმე დიაგნოზი დაუსვეს

საფეხბურთო პრობლემებზე მომუშავე კომისიამ სახელმწიფო კანცელარიიდან სამთავრობო სხდომაზე გადაინაცვლა

ბადრი კეთილაძის ფოტო

...ყოველ ნაბიჯზე დიდი დარღვევები ხდებოდა, დიღმის ბაზა ერთი მანქანის ფულად შეაფასეს" — სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე თედო ისაკაძე.

...კორუფციას აქვს ადგილი. ტრანსფერებიდან უამრავი ფულია შემოსული, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ანგარშებზე, მოგვიანებით კი კონკრეტული პირების ჯიბეში აღმოჩნდა — შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე.

...გადაჭრით ვაცხადებ. 2001 წლის 28 მარტისთვის „ეროვნული" სტადიონი სრულ მზადყოფნაში იქნება საერთაშორისო მატჩის სამასპინძლოდ — თბილისის მერი ვანო ზოდელავა.

...მართლაც სერიოზული დარღვევებია, ყოველივე სრულყოფილ გამოძიებას საჭიროებს, საზოგადოებამ მომხდარზე სრული სიმართლე უნდა შეიტყოს, შეიძლება ყოველივეს მთავრობის კრიტიკა მოჰყვეს, მაგრამ ამისთვისაც მზად ვიქნებით, რაც მთავარია, სიმართლე უნდა გაირკვეს" — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ეს ყველაფერი და ბევრი სხვაც გუშინდელ სამთავრობო სხდომაზე ითქვა.

ბოლოს და ბოლოს სახელმწიფომ „დინამო" — „ეროვნულის" და ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემებისთვის მოიცალა და სამთავრობო სხდომის დღის წესრიგში მეშვიდე საკითხად მდგარ საფეხბურთო პრობლემებს გაეცნო.

როგორც გუშინ გაცნობეთ, სხდომაზე მიწვეულნი იყვნენ ამას წინათ შექმნილი საფეხბურთო პრობლემების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის წევრები და სფფ-ს ჩინოსნები.

თერთმეტ საათზე დაწყებულ სხდომაზე ფეხბურთზე წინ მდგომ საკითხების გარჩევას ოთხ საათნახევარი დასჭირდა. „დინამო" — „ეროვნულის" პრობლემებზე საუბარს კი —ორი საათი, ელემენტარულ არითმეტიკას თუ მოვიშველიებთ, გამოდის, რომ პირველი ექვსი საკითხიდან თითოეულის გადაწყვეტას (ენერგოკრიზისი, ხე-ტყის უკანონო რეალიზაცია და სხვა) მთავრობამ საშუალოდ 45 წუთი მოანდომა, ფეხბურთზე საუბარმა კი, როგორც გითხარით, ორ საათს გასტანა, საბოლოო სიტყვა, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნოდა. ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო მინისტრ გია არსენიშვილის, კახა თარგამაძის და თედო ისაკაძის შემადგენლობით საგამომძიებლო კომისია ჩამოაყალიბა, მათ საკითხში დაწვრილებით გარკვევა დაავალა.

გუშინ, სხდომის შემდეგ, „დინამოს" და ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის ორ წევრს — ვაჟა კიკნაძეს და გოგი დემეტრაძეს დაუკავშირდით. მათ კომენტარს აქვე გთვაზობთ.

ვაჟა კიკნაძე: „ძალიან მომეწონა შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლა, კახა თარგამაძემ დაუფარავად განაცხადა, რომ უამრავი ფულია შეჭმულიო, ეგებ ახალმა გამოძიებამ მაინც მოიტანოს სასიკეთო შედეგი. გამოძიებით პრეზიდენტია დაინტერესებული და მჯერა, პრობლემა მოგვარდება. იმითაც კმაყოფილი დავრჩი, რომ ედუარდ შევარდნაძემ ანგარიში გაუწია ვეტერანი ფეხბურთელის, მიხეილ ჯოჯუას თხოვნას. ჯოჯუა ვეტერანი ფეხბურთელებისთვის დახმარებას და ყურადღებას ითხოვდა. პრეზიდენტმა ამ პრობლემის მოგვარება ჯანდაცვის სამინისტროს დაავალა."

გოგი დემეტრაძე: „ცუდად არის საქმე. ძალიან უკმაყოფილო ვარ. პრეზიდენტმა, ნაპოლეონის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლედ და გაუგებრად ილაპარაკა. კიდევ ახალი კომისია შეიქმნა... ქალაქის მერს ვანო ზოდელავას ვკითხე, სტადიონზე თუ ხართ ნამყოფიმეთქი, ზერელედ მიპასუხა, მგონი, მართლა არ ყოფილა, ისე, ყველას დაგვპირდა 28 მარტისთვის სტადიონი მწყობრში იქნებაო და ვნახოთ, რა გამოვა."

პაატა ძვანტალიანი

ჯერ დაწერეთ, მერე მოაწერეთ!

— ქართველ მწვრთნელთა დიპლომირებას უეფა მუდმივად გაუწევს მეთვალყურეობას — ჩვენ ხომ ხელი უნდა მოვაწეროთ კონვენციას, რომლის ძალითაც ქართველ მწვრთნელებს უფლება ექნებათ, ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში იმუშაონ — განაცხადა სამი კვირის წინანდელ პრესკონფერენციაზე გია გეგუჩაძემ.

ყველაფერი არც მთლად ისე მარტივადაა, როგორც გეგუჩაძის სიტყვებიდან ჩანს. ამ საკითხს საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს და უმჯობესია, არცთუ შორეული წარსულიც გავიხსენოთ.

თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის ყოფილ თანაშემწე გია გეგუჩაძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ შემოდგომაზე ჩააბარა ქართველ მწვრთნელთა სწავლა-განათლების საქმე.

1995 წლიდან შარშანდლამდე კი მწვრთნელთა განათლების პროგრამას საქართველოში უეფას ლიცენზირებული მწვრთნელი გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, წლეულს თებერვალში თბილისში გამართულ უეფას პროგრეს-კურსებსაც იტალიელ ფრანკო ფერარისთან ერთად სწორედ დარსაძე სპიკერობდა.

მაგრამ მანამდე ფედერაციის ამჟამინდელმა შემადგენლობამ შემცირებაში მოაყოლა მათივე თქმით უალტერნატივო სპეციალისტი და მწვრთნელთა განათლების საკითხიც კარგა ხანს უყურადღებოდ მიატოვა.

მას შემდეგ კი, რაც სფფ-მ ამ საკითხის მნიშვნელობა გაიაზრა, დარსაძეს მწვრთნელთა განათლების პროგრამის შპს-დ ჩამოყალიბება მოსთხოვა. არადა, უეფას პირდაპირი დირექტივით მწვრთნელთა განათლების პროგრამა უშუალოდ ფედერაციის შიგნით უნდა იყოს მოქცეული და, ცხადია, ამ საქმეში ჭიპმოჭრილი და კარგად გათვითცნობიერებული მწვრთნელი „ცეხის" გახსნაზე ვერ დაიყაბულა.

სახალხოდ კი არაერთხელ ითქვა ფედერაციის მხრიდან, მან სტატუსი და შტატი მოითხოვა, ჩვენ კი ეგ საქმე ამდენი არ გვიღირსო.

ერთი სიტყვით, შარშანს აქეთ, რაც დარსაძე კოვერჩანოს სემინარს უეფას პერსონალური მოწვევით დაესწრო, ფედერაციამ ის ძველ საქმეს საბოლოოდ ჩამოაცილა. თუმცა შემცვლელიც გამოუძებნა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სფფ-მ არამარტო მისი სამართლიანი მოთხოვნები არამედ მისი პიროვნებაც ვერ იგუა.

უეფას სემინარების ყველაზე ხშირი ქართველი მსმენელი კი ბოლო ხანს გია გეგუჩაძე გახდა.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ჯირას პროექტის ფარგლებში ნოემბერში მალტაზე გაიმართა. ამ შეხვედრისას გეგუჩაძემ, როგორც სფფ-ს წარმომადგენელმა, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ურთიერთაღიარების უეფასეულ კონვენციაში საქართველოს ჩართვის სურვილი გამოთქვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სფფ-მ სამი დღის წინ უეფას ტექნიკური დირექტორის, ენდი როქსბურგის ფაქსი მიიღო. წერილის შინაარსს აქვე გაახლებთ.

„ძვირფასო ბატონო ჩოლარია,

გწერთ ჯირას პროექტის თაობაზე თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, რომლითაც 2000 წლის 22 ნოემბერს მალტაზე ბოლო შეკრებისას მოგვმართეთ.

ამასთანავე ბატონმა გიორგი გეგუჩაძემ და ბატონმა მიშელ საბლონმა მალტაზე ყოფნა საიმისოდ გამოიყენეს, რომ დაწყოთ თქვენი ფედერაციის მოთხოვნის განხილვა. ამ საუბრისას ბატონმა საბლონმა ურჩია ბატონ გეგუჩაძეს, როგორ დეტალურად უნდა დამუშავდეს და დაიწეროს ქართველ მწვრთნელთა განათლების პროგრამა. გთხოვთ, მომზადებისთანავე გამოგვიგზავნოთ ეს დოკუმენტი, მის მიღებამდე კი ჩემი კოლეგა ფრენკ ლუდოლფი კოორდინაციას გაუწევს საქართველოში ბატონი საბლონის პირველ ვიზიტს.

ცნობისთვის, გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ, რომ ჯირას პროექტის ფარგლებში მომდევნო შეხვედრა 2001 წლის 15 მაისსაა დაგეგმილი.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ უფრო კონკრეტული შეკითხვები გექნებათ, ფეხბურთის განვითარების დეპარტამენტი მზადაა გემსახუროთ.

გულითადათ თქვენი, ენდი როქსბურგი, უეფას ტექნიკური დირექტორი."

მოკლედ, უეფას კონვენციაში გასაერთიანებლად აუცილებელია მწვრთნელთა განათლების საკუთარი პროგრამის ჩამოყალიბება და ამუშავება.

აუცა თუ არა გეგუჩაძის 2-3 სემინარიანი ცოდნა-გამოცდილება ამ სერიოზულ საქმეს, ძნელი სათქმელია. იოლი სათქმელი კი მხოლოდ ისაა, რომ ფედერაცია ყველაფერს არ აკეთებს, რათა ამ საკითხში აქამდე მიღებული მრავალწლიანი გამოცდილება პიროვნულ ურთიერთობებს არ გადაყვეს და ისევე უქმად არ დაკარგოს, როგორც საამსაქმო ბოლო ორი წელიწადი.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ქართველ მწვრთნელთა განათლების პროგრამის ამჟამინდელი ხელმძღვანელი გია გეგუჩაძე (მარცხენა ფოტოზე) ცოტა ხნის წინ გაიოზ დარსაძის მსმენელი იყო

ბადრი კეთილაძის ფოტო

პაატა ძვანტალიანი

ლოკომოტივის ულტიმატუმი: ჯანაშიამ დაიკლოს და მოუმატოს

ზაზა ჯანაშია

ზუსტად ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადაბარგდა. ოთხი წლის განმავლობაში მან თავიც შეაყვარა რკინიგზელებსა და გუნდის ქომაგებს. რა ეპითეტებით აღარ ამკობდნენ ქართველ ფეხბურთელს... დღეს კი ისეთი ვითარებაა, შესაძლოა „ლოკომოტივისა“ და ჯანაშიას გზები გაიყაროს.

როგორ გგონიათ, რაში მდგომარეობს პრობლემა? მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტ წონაში. რამდენიმე კვირის წინ რკინიგზელთა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა ქართველ ფეხბურთელს ულტიმატუმი წაუყენა — თუ არ მოიმატე, გუნდში ადგილს დაკარგავო. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ვალერ ფილატოვმა კი ამასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად ილაპარაკა რუსული „სპორტ ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„ჯანაშიასთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მას დიდი დამსახურება მიუძღვის „ლოკომოტივის“ წინაშე, მაგრამ საქმისთვის ასე სჯობია, ძველი ღვაწლისთვის ფეხბურთელის გუნდში დატოვებას აზრი არა აქვს. ჯანაშიამ ბოლო სეზონი ჩააგდო, რაშიც მხოლოდ და მხოლოდ თვითონაა დამნაშავე. ამიტომ ჩემი აზრი ასეთია, რაშიც სიომინიც მეთანხმება — თუ იგი შვებულებიდან წონამომატებული დაბრუნდება, გუნდთან ერთად იტალიურ შეკრებაზე არ წამოვა, შემდეგ კი მის საკითხს ერთი ხელის მოსმით გადავწყვეტთ“ — განაცხადა ფილატოვმა და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას გულისხმობს „ერთი ხელის მოსმაში“.

ასე რომ, ჯანაშიას შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას. ყოველივე მით უფრო რეალურია, რომ „ლოკომოტივმა“ რამდენიმე დღის წინ კონტრაქტი გაუფორმა ევროპაში 14-წლიანი მოგზაურობის სტაჟის მქონე ნიგერიელ ფორვარდ ჯეიმს ობიორას. „საოცრად სწრაფი, ტექნიკური და სასარგებლო ფეხბურთელია, მის გამო ტრადიციაც კი დავარღვიეთ და ხანგრძლივი გამოცდის ნაცვლად ერთ კვირაში გავაფორმეთ ხელშეკრულება. ალბათ, შეცდომა არც დაგვიშვია“ — ამბობს ფილატოვი და სრულიად ნათელია, რაზეც მიანიშნებს — ჯანაშია თუ წავიდა, არც არაფერი დაშავდებაო.

მოკლედ, „ლოკომოტივსა“ და ქართველ ფორვარდს ბევრი რამ აქვთ გასარკვევი, ჩვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ დასრულდება ეს საქმე. ვარაუდის საბაბს კი ისევ და ისევ ფილატოვის სიტყვები გვაძლევს. „ჩვენი ბიუჯეტი შარშან შვიდი მილიონი იყო. წლეულს ეს თანხა თერთმეტ მილიონ დოლარამდე გაიზარდა, მატება არის, მაგრამ სერიოზული მიზნებისთვის ასეთი ბიუჯეტი მეტისმეტად მწირია და მის გაზრდაზე დაუყოვნებლივ უნდა ვიფიქროთ“ — ამბობს „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი და იქნებ საამისოდ ჯანაშიაც ჰყავს შეგულებული. მით უფრო, რომ ალექსი სმერტინის „ბორდოში“ წასვლის შემდეგ რკინიგზელთა დღევანდელი შემადგენლობიდან ყველაზე მეტი მწვანის შემომტანი ჯანაშია და ლოსკოვი არიან. ამ უკანასკნელზე კი პრეზიდენტმა გადაჭრით განაცხადა, ლოსკოვი არ იყიდება და მომავალ სეზონში გუნდში დარჩებაო.

პაატა ძვანტალიანი

გოლი გვინდა, გოლი და დაპირების შესრულება

ერთდღიანი ვიზიტით ესტუმრა გუშინ თბილისს უეფას განვითარების პროგრამის მენეჯერი რობერტ ბოსერტი. სტუმარმა მოინახულა მიხეილ მესხის სახელობის მშენებარე, ეროვნული და „შევარდენის“ სტადიონები. უეფას მოხელეს სფფ-ს ახალი ოფისის მშენებლობის საკითხიც აინტერესებდა. მოგეხსენებათ, უკვე გამოყოფილია ადგილი ვაკეში, სწორედ მიხეილ მესხის მშენებარე სტადიონის სიახლოვეს — ახალი ოფისის ხარჯებს ხომ მთლიანად უეფა გაიღებს.

არის მნიშვნელოვანი სიახლეც — სფფ-ს უკვე შეგულებული აქვს ფართობი ნაკრების ახალი ბაზის ასაშენებლად. რა თქმა უნდა, ლაგოდეხის ბაზაზე უარს არავინ ამბობს, მაგრამ ნაკრებისთვის ხომ მეტად მოუხერხებელია მატჩის ჩასატარებლად თბილისში კახეთიდან მგზავრობა. ჰოდა, სფფ-მაც განიზრახა აქვე, აგრალური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუდოს ბინა პირველ რიგში ეროვნულ და აგრეთვე სხვა ნაკრებებსაც. ამ ახალი ბაზის ასაშენებლად კვლავაც ფიფა-უეფას იმედად ვართ. ფიფას პროგრამიდან „გოლი პლუს ერთი მილიონი“ სფფ-მ უკვე მიიღო 250 000 დოლარი და დანარჩენ 750 ათასსაც სამი წლის განმავლობაში მიიღებს ფიფაში საგანგებოდ წარდგენილი პროგრამების შესაბამისად. მაგრამ ახალი ბაზის აშენებას დამატებითი თანხები სჭირდება, კერძოდ, ზემოხსენებული პროგრამის მეორე ნაწილისგან, „გოლისგან“.

პროგრამა „გოლით“ კონკრეტულად და ზუსტად არ არის განსაზღვრული თუ რომელი ეროვნული ასოციაციისთვის რა რაოდენობის თანხა გაიცემა (ერთ მილიონს კი ფიფას წევრი ყველა ქვეყანა მიიღებს ოთხი წლის განმავლობაში). ასე რომ, ჯერ გაურკვეველია, შეეწევა თუ არა ფიფა პროგრამა „გოლით“ სფფ-ს ახალი ბაზის მშენებლობაში. თუმც საქმეს ცუდი პირი არ უჩანს. ამ საკითხში ფიფამ ეროვნულ ასოციაციებთან კონტროლი თავის კონფედერაციებს დაავალა და უეფას მოხელე რობერტ ბოსერტიც საქმის კურსშია.

დღესდღეობით კი ჩვენთვის ყველაზე მთავარი ისაა, ითამაშებს თუ არა საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩს რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ 28 მარტს ეროვნულ სტადიონზე — ჩვენს მთავარ სარბიელს ხომ შესაფერისი განათება ჯერაც არა აქვს. რობერტ ბასერტს წინა ვიზიტისას ჰქონდა შეხვედრა თბილისის მერიაში, ამჯერად ეს არ მომხდარა, თუმც სტუმარი ირწმუნება, თბილისის მთავრობა მაშინდელი ვიზიტისას დამპირდა, ეროვნულ სტადიონს 28 მარტისთვის სათანადო სტანდარტებზე გავანათებთო.

დავით თავართქილაძე

კობიაშვილმა ნიღაბი ვერ მოირგო

გერმანიის თასის გუშინდელ მატჩში, „შტუტგარტი“ — „ფრაიბურგი“, ლევან ცქიტიშვილსა და ლევან კობიაშვილს ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

როგორც იცით, ლევან კობიაშვილი „ბოხუმთან“ მატჩში დაშავდა და საავადმყოფოშიც მოხვდა. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, ექიმებმა ფეხბურთელს დიაგნოზი უმალ დაუსვეს — ტვინის შერყევა მსუბუქი ფორმით.

ყოველივე კი იმის საფუძველს იძლეოდა, რომ კობიაშვილი „შტუტგარტთან“ სათასო მატჩში ითამაშებდა, თუმცა კლუბის ექიმმა იქვე დააკონკრეტა, მოედანზე ლევანი მხოლოდ დამცავი ნიღბით თუ გავაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ფინკემ არ გარისკა. რაც შეეხება ლევან ცქიტიშვილს, იგი გუშინდელ მატჩში თამაშს შეძლებდა, ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე რომ არ დაშავებულიყო. ექიმებს კონკრეტული პასუხი არ უთქვამთ, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ცქიტიშვილი ტრავმას თორმეტდღიანი არდადეგების დროს მოიშუშებს.

„ფრაიბურგის“ კიდევ ერთი ქართველი გიორგი კიკნაძე, რომელმაც გერმანულ კლუბთან კონტრაქტს ამას წინათ მოაწერა ხელი, დღეს თბილისშია და ფრაიბურგში ჩასვლას 4 იანვრისთვის აპირებს, საიდანაც გუნდთან ერთად პორტუგალიაში გაემგზავრება საწვრთნელი შეკრების გასავლელად.

პაატა ძვანტალიანი

დანიელი მედიკოსი თბილისის თორში

აუდიო, ვიზუალური და პრაქტიკული გაკვეთილები ქართველი საფეხბურთო დასტაქრებისთვის

ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ პატარა, მყუდრო და სიმპატიურ სასტუმრო „თორში“ გუშინ ქართველი საფეხბურთო მედიკოსებისთვის საგანგებოდ მოწყობილი ორდღიანი უეფას პროგრეს-კურსები ჩამთავრდა. ლონისძიება ერთობ მაღალ დონეზე ჩატარდა. ფული უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიურომ გამოყო, თავის წილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც გაიღო. პროგრეს-კურსები ჩვენი ნაკრები გუნდების, უმაღლესი და პირველლიგელი კლუბების ექიმებისთვის იყო განკუთვნილი. ლექციებს ბავშვთა საფეხბურთო სკოლების მედიკოსები და ცნობილი ქართველი ტრავმატოლოგი ვაჟა გაფრინდაშვილიც დაესწრნენ (იგი ზურაბ ხიზანიშვილს მკურნალობდა, ახლახან კი მიხეილ ფოცხვერიას გაუკეთა ოპერაცია). სფფ-ის გულისხმიერებით პროგრეს-კურსებს საქართველოს რაგბის კავშირის ორი ექიმიც დაესწრო. აი, ასეთ შემადგენლობას მოძღვრავდა დანიელი სპეციალისტი მორენს კროიცფელდი. იგი დანიის საფეხბურთო ეროვნული გუნდისა და ამ ქვეყნის ოლიმპიელების მთავარი ექიმია, აგრეთვე უეფას სამედიცინო კომიტეტის წევრი.

კურსების მიმართ ინტერესი დიდი იყო, „ცხინვალისა“ და „შუქურას“ გარდა მას ყველა კლუბის წარმომადგენლები დაესწრნენ. დანიელი ლექტორი სლაიდებსაც იყენებდა, ხოლო ბოლო ლექციაზე სამტრედიის „იბერიას“ ექიმი, როგორც მოხალისე, მაისურისა და შორტების ამარა მაგიდაზე წამოწვა და მორენს კროიცფელდმა პრაქტიკულად აჩვენა, როგორ უნდა ჩატარდეს ჯვარედინა იოგების დიაგნოსტიკა, ტერფის სახსრის დაცვა სპეციალური სახვევებით რეაბილიტაციის შემდგომ. მოხალისეს საჩუქრად დანიის ეროვნული გუნდის სავარჯიშო ფორმის კომპლექტი გადაეცა. ერთი სიტყვით, ამ საქმის არაპროფესიონალიც შეამჩნევდა, რარიგ კარგად, სადად და საინტერესოდ მიმდინარეობდა ლექციები. თემებიც მრავალფეროვანი იყო: კუნთების დაწყვეტა, მუხლის და კოჭის ტრავმები, დიაგნოსტიკა, ფარმაკოლოგია, ფეხბურთი და ბავშვები, დოპინგი.

ჩვენც შემთხვევით ვისარგებლეთ და მორენს კროიცფელდს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

— მოხარული ვარ, საქართველოში რომ ჩამოვედი და ვთვლი, რომ პროგრეს-კურსებმა ძალიან ნაყოფიერად ჩაიარა. თქვენმა ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ უეფა-ს თხოვნით მიმართა, სამედიცინო პროგრეს-კურსებისთვის სპეციალისტი შეგვირჩიეთო და როცა ეს მე შემომთავაზეს, ბევრი არ მიფიქრია, მყისვე დავთანხმდი. ასეთი პროგრესკურსები უეფას საერთო პროგრამის ნაწილია.

— ალბათ, ლექციების ჩატარების საკმაო გამოცდილება გაქვთ...

— რა თქმა უნდა, თანაც საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში ამ მისიით უკვე ნამყოფი ვარ, მათ შორის, მოლდოვაში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ესტონეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. უნდა გითხრათ, რომ ლექციების ჩატარებისას თავადაც საკმაო ცოდნა და გამოცდილება მივიღე, ეს ჩემთვისაც სასარგებლოა. იმედია, ჩემგანაც ბევრი რამ შეიძინეს.

— ქართველ მედიკოსებთან ლექციების დროს ხშირად დისკუსიებიც იმართებოდა სტიქიურად. საინტერესოა თქვენი აზრი ჩვენი საფეხბურთო ექიმების პროფესიულ დონეზე.

— გულრწფელად გეტყვით, თქვენ საკმაოდ მაღალი დონის საფეხბურთო ექიმები ყოფილ და მათთან დისკუსია ჩემთვის საინტერესო იყო. თუმც მათ სულ სხვა პირობებში უხდებათ მუშაობა, რაც გარკვეულ სირთულეებს უქმნით. აი, ვთქვათ, ფარმაკოლოგია — მედიცინის ეს სფერო ხომ უშუალოდ ფულთანაა დაკავშირებული.

პაატა ძვირელიძის ფოტო

— რა ღირს დანიაში ფეხბურთელის სამედიცინო მომსახურება, მაგალითად, მენისკის ან ჯვარედინ იოგთა ოპერაცია?

— პირადად მე კლინიკაში მუდმივად არ ვმუშაობ, რადგან ბევრს ვმოგზაურობ, ძალიან ცოტა დრო მრჩება ოპერაციების გასაკეთებლად. რაც შეეხება მომსახურებას, ხანდახან უფასოდაც კი მკურნალობენ ფეხბურთელებს, მაგრამ ოპერაციები ფასიანია. მენისკის ოპერაცია ათასი დოლარი ღირს, ჯვარედინა იოგების კი — ოთხი ათასი თავისი სარეაბილიტაციო ციკლით. ასეთი ფასებია დანიაში, რაც საშუალო ევროპულ ფასებთან ახლოს არის. ერთიცაა — ჩვენთან საკმაოდ დახვეწილია სადაზღვევო სისტემა და ოპერაციების თანხის სოლიდურ ნაწილსაც სადაზღვევო კომპანიები იხდიან.

— დანიური საფეხბურთო კლუბების სტრუქტურაში როგორ ხდება ექიმების დასაქმების საკითხი?

— როცა ახალგაზრდა დამწყები ექიმი ვიყავი, უსასყიდლოდ ვმუშაობდი კლუბ „AB კოპენჰაგენში“. ასეთი პრაქტიკა ჩვენთვის უცხო არ არის. ისე კი მხოლოდ ორ დანიურ საფეხბურთო გუნდს ჰყავს მუდმივი ექიმი, დანარჩენი კლუბები საჭიროების შემთხვევაში ქირაობენ მედიკოსებს, რადგან ჩვენთან საკმაოდ მაღალი გადასახადებია.

დავით თავართქილაძე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი ევროპის საუკეთესოდ

№7 ბათუმი

ფეხბურთი

ყმაწვილკაცები ნაკარნავალზე

„მერანი“ — „ბათუმი“ 1:1. ბათუმელები ვიტალი დარჩიძე, ავთანდილ ღლონტი და მერანელი დემურ კაკუბავა

თბილისის „დინამოს“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა საქართველო რომ დატოვა, ჩვენში ერთი უცხოელი მწვრთნელიც დარჩა — „ბათუმს“ იტალიელი ჯანი კარნევალი თავკაცობდა, თავის რუსულად მოლაპარაკე იტალიელი თანაშემწითურთ.

„ბათუმს“, რომელიც ბოლო ხანს საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდა, წინა სეზონი სწორედ ჯანი კარნავალიმ ჩაამთავრებინა და გუნდიც უმედლებოდ და თასის გარეშე დატოვა.

„ბათუმმა“ წლეულსაც იტალიელის მწვრთნელობით დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ მან დიდხანს ვეღარ გაძლო და ხუთი ტურის შემდეგ ბოსკამპივით, საქართველოს დოტოვება მოუხდა. იქამდე კი გუნდში დიდი რია-რია იყო. წინა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე კარნევალიმ ფეხბურთელთა სია ამოიღო და თითქმის გაანახევრა, ზოგიც მწვრთნელის გადაწყვეტილებას არც დალოდებია, ისე წავიდა გუნდიდან. იტალიელმა მათ ნაცვლად სხვადასხვა ქართული კლუბებიდან მოიწვია რამდენიმე ფეხბურთელი და ერთიც აზერბაიჯანიდან ჩამოსული წაიყვანა თავის გუნდში. მაგრამ ექვსნი — გაბისონია, სიდამონიძე, ქვაჩახია, მიხეილ ქობულაძე, ბესიკ შენგელია და ბარქაია სამი ტურის შემდეგ გაუშვეს. უფრო სწორედ, როგორც ბათუმელები გვეუბნებიან, ჯანი კარნევალიმ გაუშვა. მათ გუნდის ტექნიკური დირექტორი, საბჭოეთის დროიდან „ბათუმში“ მომუშავე თამაზ ცინარიძეც მიაყოლეს და ბოლოს, ორი ტურის შემდეგ, მათ კვალში თავად კარნევალიც ჩუდგა — ისიც გაათავისუფლეს. „ბათუმში“ საქმე აწყობილ-დალაგებულიაო, კაცი ვერ იტყოდა. გუნდი ხუთი ტურის შემდეგ მე-8 იყო, პერსპექტივა გამკრთალდა, ის ექვსი ფეხბურთელიც კუთვნილ-შეპირებულ ფულს ითხოვდა.

იტალიელი ჯანი კარნევალის ბათუმური დრეობა XII ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურში და შინ, „დინამოსთან“ 0:2 დამარცხების შემდეგ წარსულს ჩაბარდა. ორი ტური „ბათუმს“ მთავარი მწვრთნელი არ ჰყავდა. გუნდის თამაშებს ოთხკაციანი საბჭო ხელმძღვანელობდა — კარნევალის ყოფილი თანაშემწეები: ამირან გოგიტიძე და იური მამინაშვილი, ბავშვთა საფეხბურთო სკოლიდან „ბათუმში“, ცინარიძის შემცვლელად დაბრუნებული ასლან ბალაძე და კლუბის პრეზიდენტი თემურ ბეჟანიძე. ამ პერიოდში „ბათუმმა“ ორივე თამაში წააგო, სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან“ და შინ, „ლოკომოტივთან“. გუნდიც სატურნირო ცხრილში სამი საფეხურით დაქვეითდა. მერვე ტურში კი „ბათუმი“ ფოთის „კოლხეთს“ ახალი მწვრთნელით ესტუმრა — იგი ყოფილ მეკარეს ასლან ბალაძეს ჩააბარეს. ის მატჩი გუნდმა მინიმალური სხვაობით წააგო, მაგრამ როგორც თამაშის შემყურეებმა თქვეს, ბალაძის შეგირდებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ და ის ერთადერთი გოლიც შემთხვევით გაუშვეს. შემდეგ „ბათუმმა“ „დილას“ უმასპინძლა, ჩემპიონატში პირველად დიდი ანგარაშით გაიმარჯვა. აქედან მოყოლებული, გუნდმა ზედიზედ 10 ქულა მიითვალა და მე-5 ადგილამდე აინაცვლა. მიუხედავად სრულიად ახალგაზრდული შემადგენლობისა, ასლან ბალაძემ გუნდი ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოიყვანა და ბიჭები თავიანთ ძალაში დაარწმუნა. მწვრთნელს შედეგიც ისეთი აქვს, არა მგონია, ვინმემ დაუწუნოს. თავად განსაჯეთ:

„ბათუმში“ ყველაზე უფროსი 28 წლის მცველი ზურაბ მინდაძეა, რომელსაც თითქმის მთელი საფეხბურთო კარიერა მარცხენა მცველად გაუტარებია და ახლა, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ლიბეროდ თამაშობს. ყველაზე უმცროსი კი 18 წლის ნახევარმცველი ბესიკ თედორაძეა. ორი მისი თანატოლია, ფეხბურთელთა უმეტესობა კი მასზე ერთი-ორი წლით უფროსი. „ბათუმმა“ აქამდე ჩატარებულ 17 მატჩში ჩემპიონატში მონაწილეთაგან 29 ფეხბურთელი ათამაშა. აქედან გამომდინარე კი სათქმელია, რომ ოპტიმალური შემადგენლობა აქამდე ნაპოვნი არ იყო. რამდენიმე ფეხბურთელმა ჩემპიონატის ჩვიდმეტივე მატჩი ჩაატარა, მაგრამ გაზაფხულიდან მათ ადგილი ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ნამდვილად არ ექნებათ. ასლან ბალაძე ყინჩობას არავის პატიობს და ვინმეს თავი რომ შეუცვლელი ჰგონია, მწვრთნელი მას სათადარიგოებისკენ მიუთითებს-ხოლმე. ამისი პრეცედენტიც ყოფილა აქამდე. გუნდში შედარებით ძლიერი და სტაბილური ნახევარდაცვაა. ეს იმის დამსახურებაც არის, რომ ამ ამპლუის რამდენიმე ფეხბურთელი სხვებზე გამოცდილია — ამირან მუჯირშა, თავის დროზე ისრაელშიც მოასწრო თამაში, რამდენიმე ქართულ კლუბგამოცვლილი გელა ქორიძე მეორე სეზონია „ბათუმშია“, ავთანდილ ღლონტი კი — 1991 წლიდან და ერთი წელი „დინამოშიც“ ყოფილა. ამ სამეულს მეოთხე ნახევარმცველად ხშირად ბესიკ თედორაძე ეხმარებოდა.

„ბათუმს“ დაცვაში აქვს უარესად საქმე. გაშვებული 24 გოლი და უარყოფითი ბალანსიც ამისი დასტურია. გუნდმა სულ სამჯერ მოახერხა კარის მშრალად შენახვა. „ბათუმის“ დაცვაში ორი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს — ზვიად პაპიძე და ზურაბ მინდაძე, სტოპერი 22 წლის კახა მუავანაძეა, რომელსაც რამდენიმე ქართულმა გუნდმა უკვე თვალი დაადგა და საკმაოდ პერსპექტიულ ფეხბურთელს თავისკენ ექაჩება. მარჯვნივ ხშირად კახა სიხარულიძე თამაშობდა, რომელიც 19 წლისაა და ნიჭიც საკმაო აქვს. ბოლო ხუთ მატჩში კი მარცხნივ ტრავმამოშუშებულ ოლეგ გველესიანს ამწესებენ-ხოლმე. დღევანდელი კონტიგენტიდან გამომდინარე, დაცვის ხაზის ოპტიმალური ვარიანტიც ამ ფეხბურთელებს შორისაა საძებნი, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ხუთივეს, თუნდაც ოთხს, ერთდროულად თამაშის საშუალება არ ჰქონია. ხან ერთი იყო ტრავმირებული, მეორე დისკვალიფიცირებული, მესამე გრიპშეყრილი... ისე, კახა სიხარულიძე ამპლუით მცველი სულაც არ გახლავთ, ისევე როგორც ზემოთ ნახსენები ზურაბ მინდაძე ლიბერო. ის ნახევარმცველი უფროა, მაგრამ ასლან ბალაძე იძულებული იყო, დაცვის ფლანგზე ეთამაშებინა. და მაინც, „ბათუმს“ ერთი ძლიერი მცველიც სჭირდება. მაშინ მწვრთნელი ცოტა დამშვიდდება.

თავდასხმაში „ბათუმს“ მცველებზე მეტი არჩევანი აქვს. შალვა აფხაზავა უკვე საკმაოდ გამოცდილად შეგვიძლია ჩავთვალოდ, გოჩა ყულეჯიშვილიც მთელი კარიერა ხან „ბათუმშია“, ხან მეზობელ „შუქურაში“, არჩილ რომანაძეც მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ, თუმც ნახევარმცველია, ისევე როგორც ვიტალი დარჩიძე. მათ სხვებზე მეტჯერ ითამაშეს და ამადაც ვახსენებთ, თორემ „ბათუმში“ სამი-ოთხი თავდამსხმელიც არის, ოღონდ გამოუცდელნი, უმაღლეს ლიგაში დებიუტი წლეულს რომ ჰქონდათ. ისე, ერთი თავდამსხმელის დამატებაც არ იქნებოდა „ბათუმისათვის“ ურიგო საქმე.

მეკარე დაგვრჩა. 20 წლის გრიგოლ ბედიაშვილი საკმაოდ პერსპექტიული ბიჭია, მონდომებული, მაგრამ არც არის გასაკვირი, არასტაბილურია. ერთ მატჩში სასწაულებს გააკეთებს და „მკვდარ“ ბურთებს მოიგერიებს, მერე კი სამოთხ თამაშში შეცდომას შეცდომაზე დაუშვებს. თუმც ეგ არაფერი, მას მონაცემები აქვს, ძლიერი მეკარე გახდეს და ასაკთან ერთად პრაქტიკასაც მიიღებს, რაც მეკარისათვის უმთავრესია.

გაზაფხულიდან „ბათუმი“, ალბათ, უფრო მოღონიერდება და ექვსეულშიც მოხვდება. როგორც ვიცით, გუნდს უპირველესი მეგოლე პაატა მაჭუტაძე და გამოცდილი ნახევარმცველი თემურ ტუღუში უნდა დაუბრუნდნენ. აუცილებელიც არის გუნდს ორი-სამი ვეტერანი ჰყავდეს. აბა, სულ მთლად ჭაბუკები, ხომ ბევრს ვერაფერს მიაღწევენ. ცოტა ხანში ეს ბიჭები დაღვინდებიან და მერე– ამ გუნდს უდავოდ კარგი პერსპექტივა აქვს.

კოგა ინასარიძე

ბათუმი 2000-01

ტურის №	მეტოქე	ანგარიში	ადგილი	ავტორები
1	გორდა	1:3	ს	ა. მუჯირი
2	თსუ	3:1	შ	აფხაზავა 2, ა. მუჯირი
3	ტორპედო	0:2	ს	
4	სიონი	2:1	შ	ა. მუჯირი, ქორიძე
5	დინამო	0:2	ს	
6	ვიტ ჯორჯია	0:1	ს	
7	ლოკომოტივი	1:2	შ	ღლონტი
8	კოლხეთი	0:1	ს	
9	დილა	3:0	შ	ა. მუჯირი, აფხაზავა, ყულეჯიშვილი
10	მერანი	1:1	ს	აფხაზავა
11	იბერია	3:0	შ	ღლონტი, რომანაძე, აფხაზავა
12	გორდა	1:0	შ	პაპიძე
13	თსუ	2:1	ს	აფხაზავა, ა. მუჯირი
14	ტორპედო	0:3	შ	
15	სიონი	1:1	ს	ქორიძე
16	დინამო	3:4	შ	ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი, პაპიძე
17	ვიტ ჯორჯია	1:1	შ	ა. მუჯირი

სახელი გვარი	თამაში	გოლი	გაშვებული	გაცვლა	სიმბოლური
შალვა აფხაზავა	17	6	3	0	4
ზურაბ მინდაძე	17	0	2	0	0
გელა ქორიძე	17	2	2	1	0
კახა მუავანაძე	16	0	4	0	2
ამირან მუჯირი	16	7	4	0	1
გრიგოლ ბედიაშვილი	14	-18	0	0	1
ზვიად პაპიძე	14	2	2	0	1
ავთანდილ ღლონტი	14	2	0	0	0
ვიტალი დარჩიძე	13	0	0	0	0
გოჩა ყულეჯიშვილი	13	2	1	0	0
არჩილ რომანაძე	12	1	1	0	1
ბესიკ თედორაძე	11	0	2	0	0
კახაბერ სიხარულიძე	9	0	0	0	0
სულიკო კაკაბაძე	7	0	1	0	0
ოლეგ გველესიანი	5	0	0	0	0
გია ჩიჩუა	5	0	0	0	0
ზაზა ბეჟანიძე	4	0	0	0	0
კახაბერ ქაცარავა	4	0	1	0	0
დავით ჩოხელი	4	0	0	0	0
გელა გაბისონია	3	0	0	0	0
კახა სიდამონიძე	3	0	0	0	0
ზურაბ ქვაჩახია	3	-6	0	0	0
მიხეილ ქობულაძე	3	0	0	0	0
არჩილ სოხაძე	2	0	0	0	0
ბესიკ შენგელია	2	0	0	0	0
გიზო ბაჩილავა	1	0	0	0	0
დავით ბახტაძე	1	0	0	0	0
ჯაბა სიამაშვილი	1	0	0	0	0
გიორგი ქერაშვილი	1	0	1	0	0

საუკეთესო მოთამაშე

ამირან მუჯირი

20.04.74

1991	ბათუმი	A	5	0
91-92	ბათუმი	A	19	2
92-93	ბათუმი	A	18	2
93-94	ბათუმი	A	22	2
94-95	ბათუმი	A	22	3
95-96	ბათუმი	A	27	10
96-97	ბათუმი	A	29	8
97-98	მაკაბი (ფ-თ. ისრაელი)	A	24	2
98-99	ჰაპოელი (იერ. ისრაელი)	A	9	1
	დინამო	A	9	1
99-00	ბათუმი	A	25	8
00-01	ბათუმი	A	16	7

ადგილი ტურების მიხედვით



უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ლოკომოტივი	17	14	1	2	32:7	25	43	8	7	0	1	19:3	16	21	9	7	1	1	13:4	9	22
2 ტორპედო	17	12	3	2	28:6	22	39	9	6	2	1	15:4	11	20	8	6	1	1	13:2	11	19
3 დინამო	17	12	1	4	43:17	26	37	9	7	0	2	28:7	21	21	8	5	1	2	15:10	5	16
4 ვიტ ჯორჯია	17	9	5	3	26:12	14	32	8	6	0	2	11:2	9	18	9	3	5	1	15:10	5	14
5 კოლხეთი	17	8	3	6	19:14	5	27	8	5	2	1	8:4	4	17	9	3	1	5	11:10	1	10
6 მერანი	17	6	6	5	17:17	0	24	8	4	4	0	10:4	6	16	9	2	2	5	7:13	-6	8
7 ბათუმი	17	6	3	8	22:24	-2	21	9	5	1	3	17:12	5	16	8	1	2	5	5:12	-7	5
8 სიონი	17	4	4	9	12:27	-15	16	9	2	3	4	8:12	-4	9	8	2	1	5	4:15	-11	7
9 გორდა	17	3	7	7	13:22	-9	16	9	3	4	2	11:7	4	13	8	0	3	5	2:15	-13	3
10 დილა	17	4	3	10	13:32	-19	15	8	3	2	3	11:12	-1	11	9	1	1	7	2:20	-18	4
11 თსუ	17	4	2	11	17:32	-15	14	9	2	1	6	7:15	-8	7	8	2	1	5	10:17	-7	7
12 იბერია	17	0	2	15	3:35	-32	2	8	0	1	7	1:17	-16	1	9	0	1	8	2:18	-16	1

ახდა კლინტონის ოცნება

ინგლისი

ლიგის თასი

მეოთხედფინალი

პრ. პალასი 21 სანდერლენდი

სიტი 12დ.დ. (4) იფსვიჩი

ორი პრემიერლიგელი და ორიც მეორედივიზიონელი — ასეთია ლიგის თასის ნახევარფინალისტთა შემადგენლობა. ახლა, იანვარ-თებერვალში, „ლივერპული“ ლონდონურ „კრისტალ პალასს“ შეხვდება ორმატჩიან დუელში, წლევანდელი პრემიერლიგის აღმოჩენა „იფსვიჩი“ კი „ბირმინგემ სიტის“ დაუპირისპირდება.

ორივე გუშინწინდელი მეოთხედფინალი ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა, ოღონდ იფსვიჩელებს მეტოქის დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდათ. არადა, თავიდან „მანჩესტერ სიტი“ იგებდა შონ გოტერის მეათე წუთზე გატანილი გოლით, მაგრამ სტუმრებმა ჯერ გაათანაბრეს, 109-ე წუთზე კი მარკ ვენუსის ზუსტი დარტყმის წყალობით მოიგეს კიდეც.

ცოტა დააკლდა და ლონდონის „სელჰერსტ პარკზეც“ დამატებითი დრო დაინიშნებოდა — მასპინძელი „კრისტალ პალასი“ თანაქალაქელი „ჩელსიდან“ წლეულს გადასულმა ფინელმა მაიკლ ფორსელმა დააწინაურა 48-ე წუთზე, თუმცა ზუსტად 60 წამში სანდერლენდელმა ალექს რაემ გაქვითა.

მერე კი... „ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე და ოცნება ავიხდინე — ახლა „ენფილდზეც“ ვითამაშებ“ — თქვა 82-ე წუთზე გატანილი გადამწყვეტი გოლის ავტორმა კლინტონ მორისონმა, რომელიც, სხვათა შორის, გუნდის მწვრთნელმა ალან სმიტმა რა ხანია ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ მყიდველი არ გამოჩნდა.

გიგა კოგანიძე



დეივ ბასეტი

მგლები ბასეტზე ნადიროობენ

ორშაბათს თემურ ქეცბაიას „ვულვერჰემპტონი“ უმწვრთნელოდ დარჩა — კლუბის ხელმძღვანელობამ კოლინ ლის ორწლიანი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და კარისკენ მიუთითა. სამშაბათს იგივე ცხრილში „ვულვზე“ ოთხი საფეხურით მაღლა მყოფ „ბარნსლისაც“ დაემართა: კლუბის თავმჯდომარემ მწვრთნელი დეივ ბასეტი დაიბარა და უთხრა, ახლა საუკეთესო გამოსავალი ჩვენი გზების გაყრაა. ასე დარჩა გამოცდილი მწვრთნელი უმუშევრად. ჰოდა, სანადიროდ გამოსულ „მგლებს“ უკეთესი საკბილო სადღა უნდა ეპოვათ? როგორც ვარაუდობენ, „ვულვერჰემპტონის“ მილიონერი მფლობელი, სერ ჯეკ ჰეიგორდი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და მწვრთნელად სწორედ ბასეტს მოიწვევს.

ეს კაცი, 56 წლის დეივ ბასეტი, იმითაა სახელგანთქმული, რომ ოცწლიანი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე ექვსი კლუბი გაუწვრთნია და ესენი ჯამში შვიდჯერ აღუზევებია ზედა ლიგაში. წლეულსაც ერთი ნაბიჯი დააკლდა ამის მისაღწევად — პრემიერლიგაში გადასასვლელი პლეი-ოფის ფინალი „ბარნსლიმ“ „იფსვიჩთან“ წააგო.

თუმცა „მგლების“ ქომაგთა ფავორიტი სულ სხვაა — 35 წლის სტივ ბული, ვინც 13 სეზონი ერთგულად ემსახურა „ვულვერჰემპტონს“, შარშან თამაშს თავი გაანება, ახლა კი კონფერენც-ლიგის „ჰერეფორდს“ წვრთნის.

ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი მინდორს იანვრის პირველი რიცხვებში დაუბრუნდება. „ტრავმა ოთხ თვეს მაწუხებდა. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და თამაშს სარეზერვო გუნდში დავიწყებ“ — განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელმა. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონებს ჯერჯერობით ვერც დაშავებული ენდი კოული ეხმარება. ალექს ფერგიუსონმა იმედი გამოთქვა, რომ იანვრიდან გუნდს ეს ფორვარდიც შეუერთდება.

არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა მაურისიო მასრიმ დაადასტურა, რომ „ვესტ ჰემიდან“ დაუკავშირდნენ და მარტინ პალერმოს სანაცვლოდ 15 მილიონი დოლარი შესთავაზეს. მან განაცხადა: „ზოგიერთ მოთამაშეს მართლაც გავყიდით, თუ ეს ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება“. „ვესტ ჰემის“ თავკაცმა ჰარი რედნაპმა კი თქვა: „პალერმო კარგი ფეხბურთელია. იგი ნამდვილად ღირს 15 მილიონი, თუმცა ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, ამიტომ სხვა მოთამაშეებსაც ვაკვირდებით“. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ლონდონელებმა თავდასხმის ხაზის გასაძლიერებლად „ინტერიდან“ ირლანდიელი რობი კინის შეძენაც გადაწყვიტეს, მაგრამ ამაოდ.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ფრანგი ჟოსელინ ანგლომა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. „მალაგას“ წინააღმდეგ მატჩში „ვალენსიას“ მცველმა ურუგვაელ ფორვარდ დარიო სილვას გაულაწუნა და ამისთვის გააძევეს. ფედერაციამ ინციდენტი ანგლომას მხრიდან აგრესიის გამოვლინებად ჩათვალა და მიუხედავად იმისა, რომ „ვალენსიამ“ სილვა პროვოკაციაში დაადანაშაულა, მაინც ფრანგი დასაჯა. თუმცა „მშრალად“ ვერც ურუგვაელი გამოვიდა: კინკლაობისთვის ის გააფრთხილეს, ჯამში ხუთი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და ახლა ორ მატჩს გამოტოვებს.

ესპანელმა მცველმა კარლეს პუიოლმა მუხლის მყესები დაიზიანა და გუშინ ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. „ბარსელონას“ ექიმმა ხოსეპ ბორელმა განაცხადა: „კარლესმა ახლა რომ არ იმყურნალოს, შესაძლოა ტრავმა კიდევ უფრო გაურთულდეს. მოგვიანებით დავადგენთ, რამდენი ხნით დააკლდება იგი გუნდს“. კატალონიურ კლუბში სხვა სიახლეცაა — ფრანგმა მეკარემ რიშარ დუტრუელმა ტრავმა თითქმის მოიშუშა და მალე ითამაშებს კიდეც.

ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბრაიან როი ბერლინის „ჰერტას“ ვერ შეეგუა და კლუბიდან წასვლას აპირებს. ბუნდესლიგელები იუწყებიან, რომ ფეხბურთელს ოფიციალურად თვის ბოლოს გაათავისუფლებენ. 30 წლის როი ბერლინურ გუნდში 1997 წელს ინგლისური „ნოტინგემ ფორესტიდან“ ჩაირიცხა. იგი ბოლო ხანს ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, სულ კი 49-ჯერ ითამაშა და 3 გოლი გაიტანა.

იუგოსლავიელ ნახევარმცველ ალბერტ ნადის „ოვიედო“ სეზონის ბოლომდე „მარსელში“ გაახათხოვრეს, რისთვისაც 300 ათას დოლარს მიიღებს. 26 წლის ფეხბურთელი ფრანგულ კლუბს მომავალ კვირაში შეუერთდება. იგი იუგოსლავიის ნაკრებშიც თამაშობდა, „ოვიედომდე“ კი ბელგრადის „პარტიზანისა“ და „ბეტისის“ ღირსებას იცავდა.

რუს მეკარე ბენიამინ მანდრიკინს, ვისაც „ალანიასთან“ კონტრაქტი გაისად ზაფხულში უსრულდება, იტალიური, ესპანური და გერმანული კლუბები ეპატიჟებიან. „რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ მანდრიკინი კარიერას, ალბათ, საზღვარგარეთ გააგრძელებს“ — იუწყება ვლადიკავკაზური კლუბი. აღსანიშნავია, რომ 19 წლის გოლკიპერს „სპარტაკიც“ იწვევდა, მაგრამ მოსკოვში გადასვლაზე ვერ დაითანხმა. რუსთა ჩემპიონის წარმომადგენელი ამბობს, ეს ზაფხულში მოხდა და მანდრიკინს მას შემდეგ აღარ შევხმიანებივართო. „ალანიას“ ხელმძღვანელობა კი აცხადებს, ვენიამინით პრემიერლიგელებიც დაინტერესდნენ, თუმცა რადგან მას ნაკრებში არ უთამაშია, ინგლისში ჯერ ვერ გადავა.

იტალიელი მწვრთნელი ენრიკო კატუცი ოჯახური მიზეზების გამო სოფიის ცსკა-დან წავიდა, ახალი თავკაცის დანიშვნამდე კი მოვალეობას მისი ასისტენტი ალექსანდრ სტანკოვი შეასრულებს. სოფიური კლუბი ახლა ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერს, თანაქალაქელ „ლევსკის“ ორი ქულით ჩამორჩება.

ფრანგი ფორვარდი მიკაელ მადარი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში უკლებლივ იყო, ამ კვირიდან კი „პარი სენ ჟერმენთან“ ერთად ვარჯიშობს. „მწვრთნელ ლუის ფერნანდესს ვთხოვე, ნება დაერთო, ფორმის შესანარჩუნებლად კლუბთან ერთად მოვმზადებულიყავი. მასაც უარი არ უთქვამს“ — განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა. მადარს საფრანგეთის ნაკრებში სამჯერ უთამაშია, წინა სეზონის ბოლოს კი პარიზულ კლუბთან კონტრაქტი ვერ გაახანგრძლივა და უგუნდოდაც ამიტომ დარჩა. „პარი სენ ჟერმენამდე“ იგი „სოშოს“, „ლავალის“, „კანის“, „მონაკოს“, ესპანური „დეპორტივოსა“ და ლივერპულის „ევერტონის“ ღირსებას იცავდა.

ინგლისური „მიდლსბროს“ ფორვარდმა კარლოს მარინელიმ მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ექვს კვირას დაისვენებს. 18 წლის არგენტინელი პრემიერლიგელებმა „ბოკა ხუნიორსიდან“ 1,5 მილიონ დოლარად შეიძინეს, დებიუტი კი უიმბლოო ჰქონდა — 25 ნოემბერს „ბრედფორდის“ წინააღმდეგ მატჩში მოედხიდან გააძევეს. მწვრთნელების განცხადებით, მაშინ მარინელი დეპრესიაში ჩავარდა და მომდევნო ტურში „ვესტ ჰემთან“ აღარ უთამაშია. როგორც იუწყებიან, ფეხბურთელი ახლა ვარჯიშის დროს დაშავდა.

იტალიელმა ფორვარდმა ჯუზეპე სინიორიმ „ბოლონიასთან“ კონტრაქტი ორწლიანზევრით გაახანგრძლივა. ამ დროის გასვლის შემდეგ იგი უკვე 35 წლისა იქნება და ვარაუდობენ, რომ კარიერასაც დაასრულებს. სინიორი „ბოლონიაში“ შარშან „სამპდორიიდან“ ჩაირიცხა, მანამდე კი „ლაციოში“ თამაშით გაითქვა სახელი. წლეულს გუნდის კაპიტანს ტრავმები აწუხებს, ამიტომაც კარგ ფორმაში არაა და სეზონში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. ბეპე იტალიის ნაკრების წევრიც იყო და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა.

საბერძნეთში წლის საუკეთესო მოთამაშედ ნიკოს ლიბეროპულოსი დაასახელეს. „პანათინაიკოსის“ ფორვარდმა წინა სეზონი ძალიან ძლიერად ჩაატარა და 26 შეხვედრაში 23 გოლი გაიტანა, მისი გადაბირების სურვილი კი ბოლო ხანს არაერთმა ევროპულმა კლუბმა გამოთქვა. ჩემპიონატში საუკეთესო ლეგიონერად „ოლიმპიაკოსის“ ბრაზილიელი ფორვარდი ჯოვანი მიიჩნიეს, წლის გუნდად — „პანათინაიკოსი“, ხოლო მწვრთნელად — მათი თავკაცი ანგელოს ანასტადიადისი. გამორჩეულად ნიჭიერი მოთამაშის ჯილდო ორმა ფეხბურთელმა გაიყო: „ქსანტიდან“ „ოლიმპიაკოსში“ ზაფხულში გადასულმა 21 წლის ხრისტოს პაცაცოღლუმ და პანათინაიკოსელმა კოსტას კაცურანისმა.

ბულგარელი მცველი გეორგ პეევი კიევის „დინამომ“ სოფიის „ლოკომოტივისგან“ შეიძინა, თუმცა კლუბებს ფინანსური დეტალები არ გაუმხელიათ. ის კი ცნობილია, რომ პეევმა, რომელსაც ნაკრებში 11-ჯერ უთამაშია, უკრაინის ჩემპიონთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ემილიო ბუტრაგენიო თავის ძველ კლუბში, მადრიდის „რეალში“ დაბრუნდება და სპორტულ დირექტორ ხორხე ვალდანოს მოადგილედ იმუშავებს. ბუტრაგენიო „სამეფო კლუბში“ 12 სეზონი თამაშობდა. მან გუნდი 1995 წელს დატოვა, მას მერე, რაც ვალდანოს თავკაცობით „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო. ახალ საქმეს ბუტრაგენიო 15 იანვრიდან შეუდგება.

კამპანას კამპანია

ხვალ და ზეგ იტალიის ჩემპიონატის სერია A-სა და B-ს მორიგი ტურის ყველა მატჩი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყება. ეს გადაწყვეტილება სამშაბათს საზოგადოებას ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა სერჯო კამპანამ აუწყა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამაც შვებით ამოისუნთქა, რადგან მე-20 საუკუნეში გასამართ უკანასკნელ ტურს გუშინწინ ჩაშლა რეალურად ემუქრებოდა.

რამდენიმე დღის წინ იტალიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებმა პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციას წერილი გაუგზავნეს, რომელშიც პროტესტი გამოთქვეს ბოლო დროს ქომაგთა ქმედებების გამო. მათ აღნიშნეს, თუ საჭირო გახდა, არც რამდენიმე ტურის ჩაშლას მოვერიდებითო. კამპანამ და კომპანიამაც მხარი დაუჭირეს მოთამაშეებს, დახმარება აღუთქვეს და სამშაბათს ამ პრობლემაზე სათათბიროდ მათი წარმომადგენლებიც მიიწვიეს.

„ამჯერად მხოლოდ 15-წუთიანი დაგვიანებით შემოვიფარგლეთ. ეს ჩვენი მხრიდან გამაფრთხილებელი ნაბიჯი იქნება, ხოლო თუ სტადიონებზე ეს უმსგავსობა არ დასრულდება, მატჩებს ჩავშლით“ — ბრძანა კამპანამ.

არც გაემტყუნება, რადგან ბოლო დროს იტალიურ სტადიონებზე თუ მის გარეთ გულშემატკივართა თავხედობა ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა. ფეხბურთელთა მოთმინების ფიალა კი გასულ კვირაში აივსო, როცა მავანმა ფანებმა მილანის „ინტერის“ ავტობუსს ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ბოთლი ესროლეს. „ინტერი“ ტრაგედიას ბეწვზე გადაურჩა — ბოთლმა, ბედად, ავტობუსის ფანჯარა ვერ გატეხა და გარეთ აფეთქდა. აბა, ამასთან სტადიონებზე ქომაგთა მიერ მოწყობილი მასობრივი ჩხუბები და არეულობები რა მოსატანია. ისე, ამის გამო ისევ უდანაშაულო კლუბები ისჯებიან — „ნაპოლიმ“ და „რეჯინამ“ წლეულს თითო მატჩი უკვე ჩაატარეს ნეიტრალურ სარბიელზე.

გულშემატკივართა გამოხდომები არც ცალკეული ფეხბურთელების მიმართ წყდება: ცოტა ხნის წინ „რომას“ რამდენიმე მოთამაშის მანქანას ვაიქომაგთა რისხვა დაატყდა, პარკში მეგობარ გოგონასთან ერთად მოსეირნე კრისტიან ვიერის კი ვიღაც თავს დაესხა და სულ მუშტები ურტყა.

სერია B-ს „პესკარას“ წევრები უარეს დღეში აღმოჩნდნენ. ეს გუნდი ამჟამად პოლიციელთა მეთვალყურეობით ვარჯიშობს, რადგან „ტრევიზოსთან“ ამასწინანდელი 0:3-ის შემდეგ „პესკარას“ ორ ფეხბურთელს ღამით შინ შეუვარდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ყოველივე ამის შემდეგ ფეხბურთელთა აღშფოთება ბუნებრივი და გასაგებია. თუმცა ისინი პროტესტის მკაცრად გამოხატვას ჯერჯერობით ერიდებიან — ქომაგებს ხვალ და ზეგ მხოლოდ 15-წუთიანი დაგვიანებით და მიმართვებით შეაშინებენ. ყველა მატჩის წინ ორივე გუნდის კაპიტანი გულშემატკივრებს მიკროფონით ერთხმად ეტყვის: „ჩვენც გვაქვს წაგების უფლება“.

ვანო ოძროკირიძე

ათი მცნება და ბურჟუაზია

გასულ კვირაში ვწერდით, რომ შვეიცარიულ ლოზანაში უეფას აღმასკომის სხდომა უნდა გამართულიყო, რომელზეც ევროპული ფეხბურთის მამები ძალაუფლების შენარჩუნების გზებზე იმსჯელებდნენ. გავიხსენოთ, რომ უეფას ურტყამს ყველა: ევროკავშირი, რომელიც ფეხბურთელთა უფლებებს იცავს და სატრანსფერო სისტემის გაუქმებას აპირებს; ბობოლა კლუბები, რომლებიც მეტი შემოსავლის მიღებას ესწრაფვიან და დამოუკიდებელი სუპერლიგის შექმნა სურთ; „მეორე რიგის“ კლუბები, რომელთაც ბობოლათა ჩრდილქვეშ ყოფნა არ აკმაყოფილებთ და საკუთარი ევროლიგის დასაფუძნებლად ემზადებიან.

ლოზანაში შეკრების წინ უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა თქვა, გრანდთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლაზე მოგვიწევს მსჯელობა, ხოლო „აიაქსისა“ თუ „რეინჯერსის“ დონის გუნდებისთვის უეფას თასი უფრო შემოსავლიან ტურნირად უნდა ვაქციოთ, თვალი სხვაგან რომ არ გაექცეთო.

აღმასკომის სხდომაზე კონკრეტული არაფერი თქმულა თუნდაც იმიტომ, რომ ტელეკომპანიებს 2003 წლამდე ლიგის მატჩების ტრანსლაციის უფლება ნაყიდი აქვთ და უეფა ფორმატის შეცვლას ოდენ უზარმაზარი ჯარიმის გადახდის საფასურად თუ შეძლებს. ამასთანავე, არავინ უწყის, საკმარისი აღმოჩნდება თუ არა ფორმატის შეცვლა G-14-ის დასაბმელად.

მაგრამ რაკი შეიკრიბნენ, რაღაც ხომ უნდა ეთქვათ. ჰოდა, სრულიად ზოგადი სახის დეკლარაცია მიიღეს, რომელშიც წერია, რომ ტურნირები ოდენ სპორტულ კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს, შეჯიბრის მთავარი მიზანი გულშემატკივართა დაკმაყოფილებაა, დაცულ უნდა იქნას ეროვნული ჩემპიონატების ინტერესები და ასე შემდეგ. მოკლედ, საფეხბურთო ათი მცნება გამოუვიდათ, თუმცა...

მე-17 საუკუნეში კარლ პირველმა თავი მიწიერ ღმერთად გამოაცხადა, მაგრამ ვერც მან იხსნა ქვეყანა ბურჟუაზიული რევოლუციისგან და ვერც ქვეშევრდომთა რელიგიურობამ. მაღალი იდეალების ერთგულებას ბურჟუებმა მატერიალური კეთილდღეობა ამჯობინეს.

გერმანული ფირმის OTTO

OTTO SCHWAB VERSAND

ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გთავაზობთ

კატალოგებში წარმოდგენილი ევროპული სტანდარტის საქონლის გამოწერას გერმანიიდან

მისამართი: აღმაშენებლის 172 (გერმანიის საელჩოს გვერდით)

ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29

ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

დიდი თათბირის შედეგი: მიუნხენს ახალი სტადიონი ექნება

ფრანც ბეკენბაუერი ფიფას მსოფლიოს ჩემპიონატის ღირსეულად ჩატარებას დაჰპირდა. ახლა სიტყვას ასრულებს

გადაწყდა — 2006 წელს გერმანიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს მიუნხენიც უმასპინძლებს, ოღონდ არა „ოლიმპიაშტადიონი“ — სარბიელი, სადაც 1974 წელს გერმანელებმა პლანეტის უძლიერესის სახელი მოიპოვეს, 1988 წელს კი ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა.

სამშაბათს მიუნხენში დიდი თათბირი შედგა: მაგიდას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ედმუნდ შტოიბერი, ქალაქის მერი კრისტიან უდე, „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი და „მიუნხენ 1860“-ის პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი მიუსხდნენ.

„მსოფლიოს ჩემპიონატს მიუნხენი არ სჭირდება და თუ ამ ქალაქს საკადრისი სტადიონი არ ექნება, პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს ვერ უმასპინძლებს“ — ეს სიტყვები ფრანც ბეკენბაუერმა, როგორც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, გასულ პარასკევს თქვა. „კაიზერ ფრანცმა“ ხმამაღლა ეს კი განაცხადა, მაგრამ გულში თურმე სულ სხვა რამეს ფიქრობდა. რას?

„ქვეყანა რომ დაიქცეს, მიუნხენში მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, ამიტომ ახალი სტადიონი უნდა ავაშენოთ, თანაც წმინდა საფეხბურთო“ — მოკლედ მოჭრა ბეკენბაუერმა სამშაბათის კრებაზე. მხარეებმა საკმაო ხანს ითათბირეს და გადაწყვიტეს, მიუნხენში ახალი, წმინდა საფეხბურთო სტადიონი მართლაც ააშენონ. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ბეკენბაუერს მარტო საფეხბურთო წრეებში როდი აქვს უდიდესი გავლენა — მას უარი თვით ხელისუფლების წარმომადგენლებმაც ვერ უთხრეს.

გავიხსენოთ, რომ ცოტა ხნის წინ საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე ეს პრობლემა სულაც არ იდგა, რადგან გერმანელები „ოლიმპიაშტადიონის“ რეკონსტრუქციას აპირებდნენ, მაგრამ სტადიონის აღდგენის გეგმა დაიწუნეს და სიტუაციაც მაშინ აირია. როგორც ჩანს, ახლა ყველაფერი მოგვარდა, თვით დაფინანსების ამბავიც კი. ყველაფერი ისე განაწილდა, როგორც ბატონ ბეკენბაუერს ჰქონდა ჩაფიქრებული.

თათბირზე გადაწყდა, რომ გერმანიის მთავრობა მთლიანი ხარჯის ნახევარს გაიღებს. საკმაოდ მნიშვნელოვან წილს შეიტანს მიუნხენის მუნიციპალიტეტიც, დანარჩენ თანხებს კი „ბაიერნი“ და „მიუნხენ 1860“ გამოყოფენ. ეს გუნდები, მოგეხსენებათ, ახლაც სტადიონის თანამოზიარენი არიან და ჩანს, მომავალშიც ასე იქნება. ვინ ითამაშებს მომავალში „ოლიმპიაშტადიონზე“, გაურკვეველია. არაა გამორიცხული, ეს არენა სპორტის სხვა სახეობისთვის გამოიყენონ.

ახალი სტადიონის მშენებლობა მიუნხენში, ალბათ, 2001 წლის მარტში დაიწყება. თავიდან საკუთარი სარბიელის აშენება „ბაიერნს“ სურდა, მაგრამ ბეკენბაუერმა გადაიფიქრა — 2006 წლისთვის მარტო ჩვენი ხარჯებით ვერ ავაგებთო. ახლა კი ეს პრობლემა აღარ იქნება, რადგან პროექტში ოთხი მხარე მიიღებს მონაწილეობას.

„ძალიან კარგია, რომ ყველაფერი გერმანიის სასარგებლოდ გადაწყდა. 2006 წელს მიუნხენს ახალი სტადიონი ექნება, ისეთი, როგორიც მის საფეხბურთო ტრადიციებს ეკადრება“ — თქვა ნათათბირევს ბეკენბაუერმა.

განო ოძროპირიძე

მსოფლიოს ჩემპიონატი

მეტ-ნაკლებობა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ თავის ისტორიაში პირველად გადაწყვიტა მსაჯის დაჯარიმება. მეორე დივიზიონში „ნოთს ქაუნთი“ — „უიგანის“ მატჩის დროს არბიტრმა პიტერ სტორომ ისე აგინა ფეხბურთელებს, ეს უკანასკნელნი გაოცებულნი დარჩნენ, ამ კაცს ბილწსიტყვაობა ჩვენზე უკეთ გამოსდისო. არადა, ფეხბურთელთა დიდი ნაწილი თამაშის დროს გამუდმებით რომ ოგინება, ცნობილი ამბავია.

როგორც ვთქვით, მსაჯს პირველად მოუხდება ჯიბეზე ხელის გაკვრა, თუმც არბიტრის დისკვალიფიკაცია ამ ქვეყანაში უცხო ხილი არაა. წინა სეზონში რობ ჰარისს ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რადგან მან გაძევებული ფეხბურთელის შეცვლის უფლება გასცა.

შმაგინა და აბა, რას შზამდა?

კლოეშტის „ასტრას“ ახალგაზრდა მცველ დან ლაკუსტას, ვისაც რუმინეთში ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ, პატიმრობა ემუქრება.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ფეხბურთელმა ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომზე მანქანა გააჩერა და თავის საქმეზე წავიდა. უკან რომ მობრუნდა, ნახა, მისი უკან მავანს მანქანა ისე ჩაეჭერგა, გამოსვლას ვერ შეძლებდა. ერთი თუ ძმა ხარ, გზა გამიხსენიო, სთხოვა უცნობს. ამაზე შეკამათდნენ. იმ მანქანაში ორნი ისხდნენ. ამათგან ერთ-ერთი მალევე გინებაზე გადავიდა და ამ ჩვენი ამომავალი ვარსკვლავის დედა ახსენა აუგად. დედის გინება ასე არ უნდაო და, ლაკუსტამ მისი შეურაცხმყოფელი წიხლქვეშ გაიგდო და ისე სცემა, თავი საავადმყოფოში ამოაყოფინა — ექიმები ამბობენ, სულ ცოტა, სამ კვირას უნდა იმკურნალოსო.

ჩხუბზე და ხმაურზე სავაჭრო ცენტრიდან ხალხი გამოცვივდა. ამბობენ, რომ არ გვეშველა და ხელიდან არ გამოგვეგლიჯა, ვინ იცის, ის საწყალი ეგებ ადგილზევე მოეკლა, სულ ასფალტზე არტყმევინა თავიო. ნაცემი 35 წლის პოლიციელი სტელინ ბარბუ აღმოჩნდა. მან შემდეგ საავადმყოფოში თქვა: „კი გავიგე, რომ ჩემი გამლახავი ფეხბურთელია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე სამართლიანობას მოვითხოვ. ჩემთვის ვიდექი, ტაქსის მძღოლს რაღაცას ვედავებოდი, მასთან კი საერთო არაფერი მქონია, უცებ მომვარდა და უმოწყალოდ მცემა. კიდევ კარგი, იქვე ხალხი გაჩნდა, თორემ მომკლავდა. მალე შობის დღესასწაულია, მე კი, იმის მაგივრად, ჩემს ოჯახთან ერთად ვხარობდე, ჰოსპიტალში ვწევარ და ვერ გავნძრეულვარ.“

„დედა ჩემთვის წმინდანია და მის გინებას არავის ვაპატიებ. ჰოსპიტალში მაინც მივაკითხე, მან კიდევ მედდებს უხმო, ეს კაცი მომაცილეთო“ — სულ სხვა თქვა ლაკუსტამ.

ეს ფეხბურთელი „ასტრაში“ ორი წლის წინ მოხვდა, რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებში 20-ჯერ უთამაშია, ახლახან კი ეროვნულ გუნდშიც მიიწვიეს ალჟირის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ.

აი, ხელმომჭირნეობა

ინგლისის მეორე დივიზიონის „მილუოლის“ თავმჯდომარე თეო პაფიტისმა საშინელი აღმოჩენა გააკეთა: თურმე ფეხბურთელები კლუბის კუთვნილ ბარში ბუტერბროდებს უფასოდ ჭამდნენ!

ამჟამად ლონდონური „მილუოლის“ იუბილესთან დაკავშირებით დოკუმენტურ ფილმს იღებენ. ერთი ეპიზოდის გადასაღებად თავმჯდომარე, მწვრთნელები და ფეხბურთელები ბარში შეკრებილან და პაფიტისს თავისი დაკვირვებაც სწორედ მაშინ გაუკეთებია. „რას ჰგავს ეს — აღშფოთდა ძუნწი თავმჯდომარე — ფეხბურთელებს წელიწადში 2,5 მილიონ გირვანქას ვუხდი და ბუტერბროდში რამდენიმე პენის გადახდაც არ უნდათ?“

თქვა და გააკეთა. მილუოლელებს ახლა თითო ბუტერბროდი 50 პენი დაუჯდებათ და მადას თუ არ უჩივიან, კლუბის სალაროს გვარიან თანხას შეჰმატებენ.

შემდეგი რა იქნება? ფასიანი ტუალეტი, ავტოსადგომი, ქიმწმენდა თუ მოედანზე ბალახის გათელვის საფასური?

მისტერ უმბლი სტადიონი

მავანმა ბობ ტომპსონმა ინტერნეტში პირადი-ვებ-გვერდი გახსნა და www.wembley stadium.net დაარქვა. „უემბლის“ მეპატრონენი ამაზე დიდად გაუბოროტდნენ და 55 წლის ტომპსონს სხვისი სახელის ბითვისებისთვის სასამართლოში უჩივლეს. ტომპსონი არ დაიბნა, საპასპორტო განყოფილებას ესტუმრა და სასწრაფოდ შეიცვალა ვინაობა. ახლა მისი ოფიციალური სახელი, არც მეტი და არც ნაკლები, უემბლია, ხოლო გვარი — სტადიონი. ბობი, აწ უკვე იგივე უემბლი, ამით არ დაკმაყოფილდა და სასამართლოში საპასუხო სარჩელი შეიტანა, აქაოდა, ჩემი სახელი ჩემი კერძო საკუთრებაა, ისინი კი კერძო საკუთრებას ესხმიან თავსო. აღსანიშნავია, რომ საინტერნეტო მისამართად ცნობილი სახელების არჩევა დიდად გავრცელებული რამაა და მომხმარებელთა მიზიდვას უწყობს ხელს.

სავარაუდოა, რომ თუ მისტერ სტადიონმა სასამართლო პროცესი მოიგო, ბრიტანულ საპასპორტო განყოფილებებს „მანჩესტერ იუნაიტედად“, „ნოტინგემ ფორესტად“, „ოლდ ტრეფორდად“ თუ „ენფილდ როუდად“ მონათვლის მსურველთა განცხადებები წალეკავს. კლუბებს და სტადიონებს რაღა დარჩენიათ? ალბათ, რომელიმე გავრცელებული სახელი, მაგალითად ჯონ სმიტი უნდა დაარქვან და ამ სახელის მქონე ყველა ინგლისელს უჩივლონ.

51-გოლიანი მარათონი

ინგლისში ათასგვარი ტურნირი იმართება, რომელთა შორის ერთ-ერთს ნორფოლკის თასი ჰქვია. აღნიშნული ჯილდოსთვის ამ საგრაფოს ქალაქებისა და სოფლების გუნდები იბრძვიან.

ნორფოლკის თასის რომელიღაც ეტაპზე ორი სოფლის — ფრიტორპისა და ფულშემის გუნდები შეეყარნენ და სანამ გამარჯვებულის ვინაობას გაარკვევდნენ, 51 გოლის გატანა მოახერხეს.

პირველი თამაშის ანგარიში 2:2 იყო და გადათამაშება დაინიშნა. ამჯერად ძირითადი დრო 3:3 დასრულდა, ხოლო დამატებით ნახევარ საათში გუნდებმა ერთმანეთს თითო გოლი კიდევ შეუგდეს. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა და საინტერესო ამბებიც დაიწყო.

ფრიტორპელებმაც და ფულშემელებმაც ხუთ-ხუთი დარტყმა ზუსტად შეასრულეს და ბრძოლა პირველ აცილებამდე გაგრძელდა. საბოლოო ჯამში ორივე გუნდის ფეხბურთელებს, მეკარეთა ჩათვლით, ორ წრეზე მოუხდათ წასვლა. ყველამ გაიტანა და მხოლოდ მეორმოცე დარტყმაზე, როცა სერიაში ანგარიში 20:19 იყო, ფულშემელმა ფეხბურთელმა ძელს გაარტყა.

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ შეხვედრას ოდენ ოცი მაყურებელი დაესწრო — ბევრად ნაკლები, ვიდრე გოლი გავიდა.

ვებრძოლოთ ყომარბაზობას

მომავალი სეზონიდან სინგაპურის ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთელებს სიცრუის დეტექტორზე შემოწმებას უპირებს. მიზეზი ისაა, რომ სინგაპურში ჩვეულებრივი ამბავია ტოტალიზატორებთან შეკვრა და თამაშების ჩაწყობა.

ასე რომ, მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს ჯერ დოპინგზე აუღებენ ანალიზს, მერე კი აპარატზე შეაერთებენ და მიამიტურად ჰკითხავენ — აბა, პატივცემულო, ჩაწყობილად ხომ არ ითამაშეთ?

სინგაპურელები ხუმრობენ, ამიერიდან მატჩები დილის ექვს საათზე უნდა დაიწყოს, რომ ფეხბურთელებმა საღამომდე შემოწმების გავლა მოასწრონო.

უზრდელი მსაჯი

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ თავის ისტორიაში პირველად გადაწყვიტა მსაჯის დაჯარიმება. მეორე დივიზიონში „ნოთს ქაუნთი“ — „უიგანის“ მატჩის დროს არბიტრმა პიტერ სტორომ ისე აგინა ფეხბურთელებს, ეს უკანასკნელნი გაოცებულნი დარჩნენ, ამ კაცს ბილწსიტყვაობა ჩვენზე უკეთ გამოსდისო. არადა, ფეხბურთელთა დიდი ნაწილი თამაშის დროს გამუდმებით რომ ოგინება, ცნობილი ამბავია.

როგორც ვთქვით, მსაჯს პირველად მოუხდება ჯიბეზე ხელის გაკვრა, თუმც არბიტრის დისკვალიფიკაცია ამ ქვეყანაში უცხო ხილი არაა. წინა სეზონში რობ ჰარისს ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რადგან მან გაძევებული ფეხბურთელის შეცვლის უფლება გასცა.

შმაგინა და აბა, რას შზამდა?

კლოეშტის „ასტრას“ ახალგაზრდა მცველ დან ლაკუსტას, ვისაც რუმინეთში ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ, პატიმრობა ემუქრება.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ფეხბურთელმა ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომზე მანქანა გააჩერა და თავის საქმეზე წავიდა. უკან რომ მობრუნდა, ნახა, მისი უკან მავანს მანქანა ისე ჩაეჭერგა, გამოსვლას ვერ შეძლებდა. ერთი თუ ძმა ხარ, გზა გამიხსენიო, სთხოვა უცნობს. ამაზე შეკამათდნენ. იმ მანქანაში ორნი ისხდნენ. ამათგან ერთ-ერთი მალევე გინებაზე გადავიდა და ამ ჩვენი ამომავალი ვარსკვლავის დედა ახსენა აუგად. დედის გინება ასე არ უნდაო და, ლაკუსტამ მისი შეურაცხმყოფელი წიხლქვეშ გაიგდო და ისე სცემა, თავი საავადმყოფოში ამოაყოფინა — ექიმები ამბობენ, სულ ცოტა, სამ კვირას უნდა იმკურნალოსო.

ჩხუბზე და ხმაურზე სავაჭრო ცენტრიდან ხალხი გამოცვივდა. ამბობენ, რომ არ გვეშველა და ხელიდან არ გამოგვეგლიჯა, ვინ იცის, ის საწყალი ეგებ ადგილზევე მოეკლა, სულ ასფალტზე არტყმევინა თავიო. ნაცემი 35 წლის პოლიციელი სტელინ ბარბუ აღმოჩნდა. მან შემდეგ საავადმყოფოში თქვა: „კი გავიგე, რომ ჩემი გამლახავი ფეხბურთელია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე სამართლიანობას მოვითხოვ. ჩემთვის ვიდექი, ტაქსის მძღოლს რაღაცას ვედავებოდი, მასთან კი საერთო არაფერი მქონია, უცებ მომვარდა და უმოწყალოდ მცემა. კიდევ კარგი, იქვე ხალხი გაჩნდა, თორემ მომკლავდა. მალე შობის დღესასწაულია, მე კი, იმის მაგივრად, ჩემს ოჯახთან ერთად ვხარობდე, ჰოსპიტალში ვწევარ და ვერ გავნძრეულვარ.“

„დედა ჩემთვის წმინდანია და მის გინებას არავის ვაპატიებ. ჰოსპიტალში მაინც მივაკითხე, მან კიდევ მედდებს უხმო, ეს კაცი მომაცილეთო“ — სულ სხვა თქვა ლაკუსტამ.

ეს ფეხბურთელი „ასტრაში“ ორი წლის წინ მოხვდა, რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებში 20-ჯერ უთამაშია, ახლახან კი ეროვნულ გუნდშიც მიიწვიეს ალჟირის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ.

აი, ხელმომჭირნეობა

ინგლისის მეორე დივიზიონის „მილუოლის“ თავმჯდომარე თეო პაფიტისმა საშინელი აღმოჩენა გააკეთა: თურმე ფეხბურთელები კლუბის კუთვნილ ბარში ბუტერბროდებს უფასოდ ჭამდნენ!

ამჟამად ლონდონური „მილუოლის“ იუბილესთან დაკავშირებით დოკუმენტურ ფილმს იღებენ. ერთი ეპიზოდის გადასაღებად თავმჯდომარე, მწვრთნელები და ფეხბურთელები ბარში შეკრებილან და პაფიტისს თავისი დაკვირვებაც სწორედ მაშინ გაუკეთებია. „რას ჰგავს ეს — აღშფოთდა ძუნწი თავმჯდომარე — ფეხბურთელებს წელიწადში 2,5 მილიონ გირვანქას ვუხდი და ბუტერბროდში რამდენიმე პენის გადახდაც არ უნდათ?“

თქვა და გააკეთა. მილუოლელებს ახლა თითო ბუტერბროდი 50 პენი დაუჯდებათ და მადას თუ არ უჩივიან, კლუბის სალაროს გვარიან თანხას შეჰმატებენ.

შემდეგი რა იქნება? ფასიანი ტუალეტი, ავტოსადგომი, ქიმწმენდა თუ მოედანზე ბალახის გათელვის საფასური?

მწვრთნელი იქა, მწვრთნელი აქა

პრიმერადივიზიონი დიდ ცვლილებებს გეპირდება



ვისენტე დელ ბოსკე



ექტორ რაულ კუპერი



ხავიერ ირურეტა

სეზონის ბოლოს „ვალენსიას“ არგენტინელ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს კონტრაქტი უმთავრდება. კლუბის პრეზიდენტი კორტესი ყოველნაირად ცდილობს, კუპერი დაიტოვოს, თუმცა ამბობენ, არგენტინელს უფრო დიდი კლუბებისკენ უჭირავს თვალიო — მისი გადაბირება „ბარსელონას“ და „ლაციოს“ სურთ. გავიხსენოთ, რომ რომაელები ზაფხულში სვენ გორან ერიკსონს დაემშვიდობებიან, ხოლო თუ ლორენს სერა ფერერის შედეგებს გადავავლებთ თვალს, ადვილი მისახვედრია, რომ მას დიდი ღღეს აღარ უწერია. ოფიციალურად კუპერის „ვალენსიადან“ წასვლის შესახებ არაფერი თქმულა, თუმცა გაზეთ „მარკას“ მტკიცებით, კორტესი და კუპერი მხოლოდ ურთიერთპატივისცემის გამო ერიდებიან ზედმეტ ხმაურს.

რაც შეეხება „ვალენსიაში“ არგენტინელის მემკვიდრეს, ყველაზე რეალურ კანდიდატად ხავიერ ირურეტას მიიჩნევენ, კაცს, რომელმაც „დეპორტივოს“ პირველად მოაგებინა ესპანეთის ჩემპიონობა. ამ მოსაზრებას დამაჯერებლობას მატებს ის ფაქტი, რომ ირურეტასაც სეზონის ბოლოს გასდის კონტრაქტის ვადა და არაერთხელ უთქვამს, სხვა კლუბებშიც სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალასო.

სანამ კუპერი და ირურეტა ახალ კონტრაქტებზე ფიქრობენ, ვისენტე დელ ბოსკეს, როგორც ჩანს, „რეალზე“ გული აუყრია და უფრო მშვიდი სამუშაო — სკოლის დირექტორობა სურს.

როცა ლორენსო სანსმა თავის დროზე ჯონ ტოშაკი დაითხოვა და გუნდი იქვე ბაზაზე მოფუსფუსე ულვაშას ჩააბარა, ითქვა, ეს კაცი პოსტზე დიდხანს ვერ გაჩერდება, რადგან სახელოვან გუნდს სახელოვანი მწვრთნელი სჭირდება და აბა, სად „რეალი“ და სად დელ ბოსკეო.

მაგრამ დელ ბოსკემ თანამდებობა შეინარჩუნა, პრეზიდენტებს, ძველსაც და ახალსაც, შემცვლელის ძებნაზე ხელი ააღებინა და ჩემპიონთა თასიც მოიპოვა, თუმცა...

ახლა დელ ბოსკე ამბობს: „ძალიან დავიღალე, ძნელია სუპერკლუბის მწვრთნელობა. აი, მაგალითად: ჩემპიონთა ლიგასა და პრიმერადივიზიონში ზედიზედ შვიდი მატჩი მოვიგეთ, რაც არავის ახსოვს, სამაგიეროდ, იმის წამოძახება არ ავიწყდებათ, რომ მესამედივიზიონელ „ტოლედოსთან“ წავაგეთ. არ ესმით, რომ ყველა თამაშის მოგება შეუძლებელია.

რა ვქნა? წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ზედიზედ ორი შეხვედრა რომ წავაგოთ. ალბათ, ცოცხალი ვერ გადავრჩები. თუმცა კლუბიდან წასვლაც არ მინდა. 49 წლისა ვარ და აქედან 33 წელი „რეალში“ გავატარე. ასე რომ, ვერ ვიტყვი, მომავალში რა იქნება. შესაძლოა სეზონის ბოლოს „რეალის“ ბავშვთა სკოლის დირექტორადაც გადავიდე.“

გიორგი დარჯანია

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

99-66, 00-66

გუშინ ფიფამ ნაკრებთა წლევანდელი საბოლოო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ცვლილებები არ ყოფილა. საქართველოს ნაკრებმა წელი იმავე ადგილზე დაასრულა, რომლითაც დაიწყო — 66-ზე. ასე რომ, ჩვენი ეროვნული გუნდი ნოემბერთან შედარებით ორი საფეხურით დაქვეითდა.

ბოლო ერთ თვეში პირველ ხუთეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა: იტალიამ ერთი საფეხურით წინ წაიწია და მეოთხეზე მყოფ ჩეხეთს ადგილი გაუცვალა. ისე, იტალიელთა პროგრესი შარშანდელ დეკემბერთან შედარებით აშკარაა — აპენინელებმა ერთბაშად ათი ადგილით აინაცვლეს, რაშიც ევროპის ვიცე-ჩემპიონობასთან ერთად 11 ოქტომბერს ქართველთა ძლევაც დაეხმარა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთი და უკრაინა გვისწრებენ. ის, რომ საქართველოს ნაკრები ყოფილ მოძმე რესპუბლიკათა შორის მესამეა, უფრო ამ უკანასკნელთა ცუდი შედეგების ბრალია.

რეიტინგს სათავეში კვლავაც ბრაზილიის ნაკრები უდგას, რომლის ხელისუფლებაც დიდი ხანია, ვერავინ დაამხო, ბოლო ორ წელიწადში ფრანგების მიერ მოპოვებული მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონობა კი ამ ქვეყანას მხოლოდ მეორეობისთვის ეყო. მესამე, ნოემბრის დარად, ისევ არგენტინაა, რომელმაც შარშანდელთან შედარებით სამი საფეხურით აიწია.

ფიფა კოკა-კოლას რეიტინგი
2000 წლის საბოლოო მდგომარეობა

1	(1)	ბრაზილია	821
2	(2)	საფრანგეთი	801
3	(3)	არგენტინა	773
4	(5)	იტალია	742
4	(4)	ჩეხეთი	742
6	(7)	პორტუგალია	738
7	(6)	ესპანეთი	735
8	(10)	ჰოლანდია	709
9	(9)	იუგოსლავია	707
9	(12)	პარაგვაი	707
11	(8)	გერმანია	705
12	(11)	მექსიკა	693
13	(13)	რუმინეთი	683
14	(14)	ნორვეგია	675
15	(15)	კოლუმბია	672
16	(18)	აშშ	659
17	(16)	ინგლისი	657
18	(16)	ხორვატია	656
19	(19)	ჩილე	639
20	(23)	სამხრეთ აფრიკა	635
21	(21)	რუსეთი	634
34	(31)	უკრაინა	587
47	(48)	უნგრეთი	556
66	(64)	საქართველო	508
67	(72)	ესტონეთი	499
71	(65)	უზბეკეთი	483
85	(79)	ლიტვა	457
90	(90)	სომხეთი	441
92	(94)	ლატვია	438
94	(97)	მოლდოვა	430
95	(95)	ბელარუსი	428
115	(114)	აზერბაიჯანი	348
120	(121)	ყაზახეთი	323
125	(124)	თურქმენეთი	305
134	(141)	ტაჯიკეთი	281
174	(175)	ყირგიზეთი	137

შენიშვნა: პირველ სვეტში ნაჩვენებია ადგილი რეიტინგში, ფრჩხილებში კი ადგილი წინა თვეში. მარჯვნივ გუნდების მიერ მოგროვებული ქულებია მოცემული.

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული

სიმონე კოსტადინოვმა გააპრეზიდენტა, „ლურჯებმა“ კი თანამდებობა შეუნარჩუნეს



საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კლოდ სიმონე

საფრანგეთის ფედერალური საბჭოს წინადადებით ფედერალურმა ასამბლეამ გასულ შაბათს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად კიდევ ერთხელ აირჩია კლოდ სიმონე. „კმაყოფილი ვარ, რომ ამ თანამდებობაზე ჩემი ექვსი წლის მუშაობის შედეგი დააფასეთ და კიდევ ოთხი წლით მენდეთ. ვინ იცის, იქნებ ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული. ისე, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, დიდიე დეშამპისა და ლორან ბლანის მსგავსად გამარჯვებული ხომ არ წავიდე-მეთქი“ — განაცხადა სიმონემ არჩევნების შემდეგ.

მანამდე კი მან ის გზა გაიხსენა, რომელიც აქამდე გაირა. სიმონე პრეზიდენტად ემილ კოსტადინოვმა გახადა: ბულგარელის მიერ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩის (პარიზში) დამთავრებამდე 17 წამით ადრე გატანილმა გამარჯვების გოლმა საფრანგეთს გამარჯვების გზა გადაუღობა. ამას ფრანგულ ფეხბურთში დიდი ცვლილები მოჰყვა: ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან გადადგა ჟერარ ულიე, ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი კი ჟან ფურნე-ფეიარმა დატოვა. მაშინ მისი ადგილი დროებით ჟაკ ჟორჟმა დაიკავა, რომელმაც 1994 წლის 19 თებერვლისთვის დანიშნა პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები, სადაც სიმონემ გაიმარჯვა. მას ნდობის მანდატი ორი წლის შემდეგაც გაუგრძელეს და არც შემცდარან.

კლოდ სიმონეს ხელმძღვანელობით საფრანგეთი მსოფლიოს მოწინავე საფეხბურთო ქვეყნად იქცა. მისი ისედაც კარგად აწყობილი საფეხბურთო მეურნეობა კიდევ უფრო დაიხვეწა. ძირითადი აქცენტი ბავშვთა აღზრდაზე გაკეთდა და დღეს საფრანგეთში მშვენიერი თაობა იზრდება. ფრანგ პროფესიონალებს ქვეყნის ჩემპიონატში უკეთესი პირობები შეექმნათ და ბევრი მათგანი ემიგრაციის შემდეგ შინაც ბრუნდება. თუმცა ლეგიონერები ფრანგებს მაინც ბევრი ჰყავთ და ვერც მათი ჩემპიონატი გაუთანაბრდა სიძლიერით, მაგალითად, სერია A-ს.

აი, ეროვნულმა გუნდებმა კი მანამდე არნახულ წარმატებებს მიაღწიეს. 18-წლამდელები სამჯერ (1996, 1997, 2000) გახდნენ ევროპის ჩემპიონები, ახალგაზრდები სამჯერ გავიდნენ კონტინენტის პიორველობის ფინალურ ეტაპზე. პირველი ნაკრები კი... 1998 წელს საფრანგეთმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა და თან ფინალში ბრაზილია 3:0 გაანადგურა, წლეულს კი ევროპის უძლიერესის წოდებაც ირგუნა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით და რა თქმა უნდა, თითქმის უნაკლო სამოქმედო პროგრამის გამო, სიმონე კიდევ ოთხი წლით გაუძღვება ფრანგულ ფეხბურთს.

მიშელ პლატინი

„როცა ისეთი პიროვნება გყავს, როგორიც მიშელ პლატინია, სულელი უნდა იყო, იგი არ გამოიყენო“ — თქვა სიმონემ. იგი „ოქროს ბურთის“ სამგზის მფლობელსა და ევროპის 1984 წლის ჩემპიონს ვიცე-პრეზიდენტობას სთავაზობს და პლატინიც, როგორც ჩანს, თანახმაა. „სიმონეს წინადადება მეტად მომხიბლავია. მიუხედავად იმისა, რომ ფიფაში საკმაოდ დაკავებული ვარ, ვფიქრობ, ამ შეთავაზებას მაინც მივიღებ“ — განაცხადა პლატინიმ, რომელიც შაბათს ფედერალურ საბჭოში ხმების 94,2 პროცენტით აირჩიეს. მისი ვიცე-პრეზიდენტობა და კიდევ სხვა საკითხები საბჭოს 19 იანვრის სხდომაზე გადაწყდება.

გაიოზ თალაძვაძე

პასპორტი ანუ მწვანე კურიოზი

ყალბი პასპორტი რომ უამრავი პრობლემის სათავეა, გიორგი დანელიას ფილმის მნახველები დამერწმუნებიან. თუმცა პასპორტის გაყალბებაში სხვადასხვა ჯურის კრიმინალები დიდ ფულსაც იხდიან და მშვენივრადაც იყენებენ მას. ოღონდ მათ სამართალდამცავების გაცურებაში ჭიპი აქვთ მოჭრილი, აი, სენტეტიენელები კი იმავეს ვერ დაიკვეხნიან და ჩავარდნენ კიდეც, თანაც ისე კურიოზულად, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს (ჩავარდნილებისთვის, რა თქმა უნდა).

ალექსი

„სენტ ეტიენის“ ორი ფეხბურთელი — უკრაინელი მაქსიმ ლევიცკი (მეკარე) და ბრაზილიელი ალექსი (თავდამსხმელი) ორშაბათს საფრანგეთის ფეხბურთის ეროვნული ლიგის იურიდიულმა კომისიამ 9 იანვრამდე მოკვეთა ფეხბურთიდან და ამის მიზეზი სწორედ ყალბი პასპორტია.

„ჩვენ არაფერი გადაგვიწყვეტია „სენტ ეტიენისა“ და „ტულუზის“ დავაში, თუმცა საჭიროდ ჩავთვალეთ ლევიცკისა და ალექსის დასჯა მანამ, სანამ ისინი ჩვენს კომისიას თავიანთ უდანაშაულობას არ დაუმტკიცებენ“ — განაცხადა ლიგის იურიდიული კომისიის პრეზიდენტმა ჟან-პიერ კამიუმ. დიდი ფრანგი მწერლის მოგვარემ (და იქნებ ნათესავმაც) ისიც დაამატა, რომ ორივე ფეხბურთელი აუცილებლად უნდა წარდგეს მისი კომისიის წინაშე 9 იანვარს, ანუ დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის ბოლო დღეს.

ფეხბურთელთა სასჯელი მომავალი ორშაბათიდან ამოქმედდება, ამიტომ ისინი, თუ „სენტ ეტიენის“ უელსელი თავკაცი ჯონ ტოშაკი საჭიროდ ჩათვლის, დღეს ლიონის „ჟერლანზე“ ჩემპიონატის 22-ე ტურში მაინც ითამაშებენ.

ახლა კი მწვანე კურიოზი.

2 დეკემბერს „მწვანეებმა“ „ტულუზს“ უმასპინძლეს. იმ მატჩის დროს მაქსიმ ლევიცკი ბერძენად გამოცხადდა, ალექსი კი — ბრაზილიელად. მეხსიერებანათელ ტულუზელებს კი ახსოვდათ, რომ პირველ წრეში მათ ქალაქში სენტეტიენელებმა პირველი უკრაინელად გაასაღეს, ხოლო მეორე — პორტუგალიელად. ჰოდა, „ტულუზიც“ ადგა და „მწვანეებს“ ეროვნული ლიგის ხელმძღვანელებთან უჩივლა, თანაც თავისი ადვოკატის პირით ამ ორივე მატჩში ტექნიკური გამარჯვებების მიკუთვნება მოითხოვა.

ლიგის იურიდიული კომისიის სხდომაზე დაშსწრე „სენტ ეტიენის“ პრეზიდენტმა ალენ ბომპარმა ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავა.

ორშაბათსვე აღნიშნულ სხდომაზე კიდევ ერთი საკითხი განიხილეს. საქმე ამჯერადაც ყალბ პასპორტს ეხება, ოღონდ ბრალდებული „სტრასბურის“ არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო გარაია. ალზასური კლუბის პრეზიდენტმა პატრიკ პრუაზიმ გარაისთან არსებული კონტრაქტის (ორწელიწადნახევარი იყო დარჩენილი) გაუქმება მოითხოვა და მიაღწია კიდეც საწადელს. არგენტინელს, რომელიც 9 აგვისტოდან მოყოლებული სამშობლოში, „კორდობაშია“ განათხოვრებული, თავისი უბრალოების დამტკიცებამდე (რაც წარმოუდგენელია) ყველა ფრანგულ შეჯიბრში მონაწილეობა აეკრძალა. ბატონმა კამიუმ განაცხადა, რომ გარაის დასჯის მოთხოვნით ფრანგები სხვა საფეხბურთო ორგანიზაციებს არ მიმართავენ.

დიეგო გარაი „სტრასბურის“ შემადგენლობაში 1999-2000 სეზონში თამაშობდა. იგი საფრანგეთში ყალბი იტალიური პასპორტით ჩავიდა, რათა უცხოელად არ ჩათვლილიყო. იქაურმა სამართალდამცავებმა თაღლითი ვერ გამოიჭირეს, სამაგიეროდ, არგენტინელი 26 მაისს ფრანკფურტის აეროპორტში გაება და სიყალბეც გახმაურდა.

გაიოზ თალაძვაძე

სანტა ზიზუ

ნახევარი მსოფლიო 25 დეკემბერს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს იზეიმებს. საამისოდ დასავლეთში დიდი ფუსფუსია. კეთილ საქმეთა დიდი წილი ქველმოქმედებას ეთმობა. აგერ, ტურინის „იუვენტუსის“ მოთამაშეები — ზინედინ ზიდანი, ჩირო ფერარა, ჯანლუკა პესოტო და ედვინ ვან დერ სარი ქალაქ გენუაში „გასლინის“ ჰოსპიტალს ეწვივნენ და იქ მყოფი 500-მდე ბავშვი ძალიან გაახარეს. მეტი ხალისისთვის ცნობილი ფეხბურთელები სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილან და თან პირისახე დიდი ფაფუკი წვერებით დაუმშვენებიათ.

დახეთ, მსოფლიოს წლის საუკეთესო მოთამაშე ჩვილ ბავშვს ეთამაშება, ამ პატარა ბალღმა კი სულაც არაფერი იცის მისი ვინაობის შესახებ. ტურინელ ვარსკვლავებს რამდენიმე საათი გაუტარებიათ კლინიკაში. ჩირო ფერარას ორი შვილი, პაულო და ბენედეტა, ახლდა, ზიდანი კი ბალღებს თავის მეუღლესთან ერთად ესტუმრა. ბევრი სურათიც გადაულიათ წიგნისთვის, რომელიც მალე უნდა გამოქვეყნდეს სახელწოდებით — „თეთრი და შავი ოცნება“. აქედან შემოსული თანხა კი ისევ ქველმოქმედებას მოხმარდება. დაგეგმილია სან გრემალოს ააბატოს შენობის რეკონსტრუქცია და მისი უახლესი ტექნიკით გაწყობა, რათა ფინანსურად ნაკლებუზრუნველყოფილმა ბავშვებმა და მოზარდებმა ცოდნა გაიღრმავონ.

ზინედინ ზიდანმა საშობაოდ ბავშვები მოინახულა

ინგლისური თავსატეხები თითისა და მუხლის ტეხვით

ფილ გრინინგი საშობაო არდადეგებს სამკურნალოდ გამოიყენებს

საშობაოდ ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „უოსპსის“ კვაჭ ფილ გრინინგს ექიმებმა ხასიათი გაუფუჭეს. მან სამხრეთ აფრიკასთან 2 დეკემბერს თვიქნემში გამართულ ტესტში მოიტეხა თითი. აქამდე თითქოს მისი ეს ტრავმა არცთუ სერიოზული იყო და ექიმებიც აიმედებდნენ, მალე გამომავჯანმრთელებთო, თუმცა ახლა საბოლოო დასკვნა გამოუტანეს — მინიმუმ ექვსი კვირით მოგიწევს უქმობაო. ასე რომ, სავსებით მოსალოდნელია, გრინინგმა ექვსი ერის პირველობის გახსნის მატჩში უელსელების წინააღმდეგ ვერ დაიცვას ინგლისის ნაკრების ღირსება.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, თითის გამრთელებას ამდენი დრო რაში სჭირდებაო, მაგრამ თურმე გრინინგს სხვა პრობლემაც ჰქონია. „უოსპსის“ მენეჯერმა ნაიჯელ მელვილმა განაცხადა, რომ გრინინგს მუხლიც აწუხებს და შეიძლება ოპერაციაც დასჭირდესო.

ამის გარდა „ვარდის თხუთმეტეულის“ მენეჯერ კლაივ ვუდვორდს 3 თებერვალს შეიძლება კიდევ ერთი ძირითადის მორაგბე დააკლდეს. გუნდის კაპიტან მარტინ ჯონსონს დისკვალიფიკაცია ემუქრება და ალბათ ვერც ის ითამაშებს კარდიფის „მილენიუმზე“ ტურნირის პირველ შეხვედრაში.

ინგლისის რაგბის მამებს ამ ორი კაცის სრულფასოვნად შეცვლის გარდა კიდევ ერთი თავსატეხიც გასჩენიათ, რომლის ავტორიც ინგლისის პროფესიონალ მორაგბეთა ასოციაციაა. ამ ორგანიზაციამ თავისი ქვეყნის რაგბის კავშირს მინიმალური ხელფასის დაწესება მოსთხოვა და თანაც სეზონში გასამართი მატჩების რაოდენობას შეზღუდვაც მოინდომა. კავშირს ჯერჯერობით არანაირი საპასუხო განცხადება არ გაუკეთებია.

თუ ინგლისელები საგონებელში არიან ჩავარდნილნი, სამაგიეროდ, ახალზელანდიელებმა კარგი ახალი ამბავი შეიტყვეს. „შავების“ შერკინების ნახევარმცველმა ჯასტინ მარშალმა კონტრაქტი კიდევ სამი წლით გააგრძელა. „ოლ ბლექსის“ ერთ-ერთი უძლიერესი წევრის სანაკრებო დებიუტი 1995 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ საფრანგეთის წინააღმდეგ შედგა. ჯამში მას 48 კეპი აქვს მოხვეჭილი, რაც ამ პოზიციაზე ზელანდიის რეკორდია. ამ 48 ტესტში კი მარშალმა 21 ლელოს გატანა მოახერხა.

ბაბი ბურული

სამოთხე ვაკის პარკში

აქამდე გოლფი ელიტარული, თანაც მილიონერების თამაში გვეგონა. ყოველ შემთხვევაში, ტელევიით ხშირად გვინახავს ხასხასა მოლზე ნაოჭიან ბურთულას როგორ ჰკრავენ ყვანჯს ათასგვარი გაქანების ვარსკვლავები, ხელოვანნი, სენატორები თუ პრეზიდენტები.

თურმე ასეთი რამ ჩვენთანაც შესაძლებელი ყოფილა. გუშინ შუადღისას გაზეთ „რეზონანსისა“ და საქართველოს მინი-გოლფის ფედერაციის მეცადინეობით თბილისში მინი-გოლფის მოედანი და კლუბი გაიხსნა.

მოსეშვილის ქუჩიდან ვაკის პარკისკენ შეუხვევთ თუ არა, კოხტა, მწვანედ შეღებილ ჭიშკარსა და მესერს დაინახავთ. შეხვალთ და თვალები აგიჭრელდებათ. ოცი პატარა მოედანი მოუწყვიათ, ყველანაირი ფორმისა და სირთულისა. თუ წრეს პატიოსნად გაჰყვებით, ბოლოს ისეთ ჩიხლიფირთოს მიადგებით, გამოცდილ მეგოლფესაც რომ გაუჭირდება გამკლავება. თუმცა, შეუპოვრები გუშინვე გამოჩდნენ და ლამის „მთავარი სირთულე“ ეგრევე დაამხეს.

კლუბს „სამოთხეში“ ჰქვია და მოედნის გარდა ორიგინალური შადრევანით, ციყვების სიმრავლითა და კაფებარითაც მოგხიბლავთ, სადაც ქართულის გარდა ევროპულ და ამერიკულ კერძებსაც შემოგთავაზებენ.

აი, ასე...

სოლომონ გულისაყმილი

რესტორანი მზიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

კავკასიურ ჩხუბში უკრაინელი გაჭრიან

დღეს კრივის მოყვარულებს თბილისის ცირკში მორიგი სანახაობა ელით. ახალდაწესებულ კავკასიის ჩემპიონის ქამარს ერთმანეთს უკრაინელი ალექსანდრ გერაშჩენკო და მოსკოვში მცხოვრები ჩვენებური თეიმურაზ კეკელიძე შეეცილებიან. მანამდე კი სარეიტინგოდ იბრძოლებენ: რამაზ ბებნაძე — ახალ დაბაშვილი (57), — უსტინ რურუა — ფარიზ მამედოვი (61), გარიკ აბაჯანოვი — პაატა ვარდუაშვილი (63), აბო ქათამაშვილი — ჯავად ტაგიევი (72). მამედოვი, აბაჯანოვი და ტაგიევი აზერბაიჯანიდან გვესტუმრნენ.

ცოტა რამ თენგიზ კეკელიძეზე: პროფესიულ კრივში პირველი ნაბიჯები თბილისში გადადგა, მერე კი რუსეთში წავიდა. იგი მეტოქეზე თითქმის ორი კილოთი მძიმეა, სიმაღლეში კი გვარიანად ჩამორჩება. კეკელიძე გამარჯვებაში დარწმუნებულია, თუმცა გერაშჩენკო სუსტ მოწინააღმდეგედ როდი მიაჩნია. სჯერა, რომ თანამემამულეთა ქომაგობაც დაეხმარება. როგორც გვითხრა, პროფესიულ რინგზე 25 ბრძოლიდან 19 მოუგია, აქედან 14 — ნოკაუტით.

ირაკლი თავგაძე

კრივალოსანი

პოლ ინგლი რინგიდან ექიმებმა გაიყვანეს

ბრიტანელ მოკრივეს, პოლ ინგლს, რომელიც ორშაბათს გადატანილი ოპერაციის შემდეგ კომაში ჰყავდათ, საამისო პრეპარატებს აღარ უკეთებენ. გუშინაც მოგახსენეთ, რომ ინგლს, შაბათს, სამხრეთ აფრიკელ მბულელო ბოტელთან ბრძოლის მეთორმეტე რაუნდში სერიოზულად დაუზიანდა ტვინი.

„მისი მდგომარეობა კვლავ ძალიან მძიმეა. მართალია ექიმებმა კომის გამოწვევი წამლების მიცემა საჭიროდ აღარ ჩათვალეს, მაგრამ გამოჯანმრთელება რთული და ძალიან ნელი პროცესია“ — განაცხადა შეფილდის სამეფო ჰოსპიტლის პრეს-მდივანმა.

ინგლის მდგომარეობას კვლავ კრიტიკულს, მაგრამ სტაბილურს უწოდებენ.

დაუმარცხებელმა ხუან კარლოს გომესმა შაბათს ქვემძიმე წონაში მეცხრედ დაიცვა ტიტული. ამჯერად მან არგენტინელი კასტრო დაჯაბნა. კასტრო მე-10 რაუნდში ნოკაუტში იყო.

ამ გამარჯვების შემდეგ გომესის შედეგი 32 ბრძოლიდან 32 გამარჯვება გახლავთ. მათგან ოცდაშვიდში მოწინააღმდეგე ნოკაუტით გამოეთხოვა გამარჯვების იმედს.

რაც შეეხება დამარცხებულს, იგი თავის დროზე WBA-ს ვერსიით პირველი საშუალო წონის ჩემპიონი იყო და დღეს 115 მოგება, 7 ფრე და უკვე 3 წაგება აქვს.

გერმანელმა სვენ ოტკემ ზესაშუალო წონაში IBF-ის ჩემპიონის ტიტული დაიცვა. შაბათს იტალიელ სილვიო ბრანკოსთან გამარჯვება ოტკეს ქულებით ერგო.

ახლა გერმანელის შედეგი 21 ბრძოლა და ყველა გამარჯვება გახლავთ, საყოველთაო აღიარებით ბრანკომ მას განსაკუთრებული წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ბრანკოს შედეგია 40-5-2.

კაცმა რომ თქვას, იმ დღეს ბრანკო სულაც არ უნდა ყოფილიყო რინგზე, თავდაპირველად ოტკეს მოწინააღმდეგედ WBC-ს ჩემპიონ დიონგაან ტოლეგას სახავდნენ, მაგრამ გეგმა ჩაიშალა და მოკრივეც შეცვალეს.

რაც შეეხება ტოლეგას, იგი კანადაში გაფრინდა და თავისი ტიტული დეივ ჰილტონ უმცროსთან წააგო.

პოლონური წარმოშობის გერმანელმა დარიუშ მიხალჩევსკიმ ამერიკელ კადი კინგს მე-7 რაუნდში აჯობა და ზედიზედ მეთვრამეტედ დაიცვა WBO-ს ქვემძიმე წონის ტიტული. ახლა მიხალჩევსკის 43 ბრძოლიდან 43 გამარჯვება აქვს და აქედან 36 ნოკაუტით მოიგო. როდესაც მან კადი კინგს თავისი ცნობილი მარცხენა პირდაპირ დაარტყა, ბრძოლა შეწყდა.

საგულისხმოა, რომ 1997 წლის შემდეგ მიხალჩევსკი აგერ უკვე ზედიზედ მე-9 ბრძოლაში ნოკაუტით იმარჯვებს.

პოლ სპადაფორამ IBF-ის მსუბუქი წონის ჩემპიონის ტიტული ბილი ირვინთან ბრძოლაში მართალია ქულებით, მაგრამ მაინც საკმაოდ იოლად დაიცვა.

„ძველებურად ვიბრძვი, ჩემი სტილი არ დამიკარგავს. თუ ასე განვაგრძე, დიდძალ ფულსაც ვიშოვნი და ვიტრაბახებ კიდეც, რომ საუკეთესოები დამიმარცხებია.“

ერიკ მორელი WBA-ს ვერსიით კვლავ ფლაის წონის ჩემპიონია, რადგან პარასკევს ქულებით მექსიკელი ხილბერტო კები დაამარცხა.

„სულაც არ მიხარია“ — განაცხადა წარმოშობით პუერტორიკოელმა ჩემპიონმა — „საქმე ის არის, რომ მე მოწინააღმდეგის მეოთხე რაუნდში დანოკაუტება მინდოდა“.

სპორტული ცხოვრების გვირგვინი

რომელიც შეიძლება შუაზეც გაიყოს

ელინ ჩემპიონს ზეთისხილის რტოს გვირგვინს ადგამენ

1912 წელი. სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშები. ცხენოსნობის ჩემპიონს შვედთა მეფე გუსტავ I აჯილდოებს

„ჯილდო გამარჯვებულისთვის არის უმაღლესი რამ, რაც ნებისმიერი მოკვდავის ცხოვრებას აგვირგვინებს“ — წერდა პინდარე თავის პირველ ოლიმპიურ ოდაში.

მართლაც, ოლიმპიაში გამარჯვება ათლეტისთვის მთელი ცხოვრების ოცნების აღსრულების ტოლფასი იყო.

თავდაპირველად ოლიმპიურ ჩემპიონებს სახელგანოქმული ოსტატების მიერ გამოძერწილი ვაზებითა და ამფორებით აჯილდოებდნენ, მაგრამ, როგორც წესი, ჩემპიონს არ შეეძლო ჯილდოს შინ წაღება და თავისი შთამომავლებისთვის ძვირფასი რელიქვიასავით შენახვა. გამარჯვებულს, ტრადიციისამებრ, ჯილდო თავისი ქალაქის ტაძრისთვის უნდა ეჩუქებინა და ჩუქნიდა კიდეც. ამიტომ ელიდის მეფე იფიტემ ქრისტეშობამდე 856 წელს გადწყვიტა, მძლეთამძლე ათლეტებისთვის გადაეცათ ზეთისხილის რტო, რომელსაც ზევსის ტაძართან გაშენებულ წმინდა ხეებს ოქროს დანით მოჭრიდნენ. ამის მერე ოლიმპიონიკებს, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონებს უწოდებდნენ, დიდხანს ზეთისხილის რტოებისგან დაწნული გვირგვინებით ამკობდნენ, ალექსანდრე მაკედონელის ხანიდან კი გამარჯვებულთ პალმის ტოტებს გადასცემდნენ, რაც უდიდეს პატივად ითვლებოდა. ზეთისხილის რტო და დაფნის გვირგვინი ძველი საბერძნეთის უმაღლესი ეროვნული ჯილდო იყო.

ჩემპიონთა დაჯილდოება განსაკუთრებული ზეიმურობით გამოირჩეოდა. გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ოლიმპიური თამაშების ბოლო დღეს ოლიმპიელი ზევსის ტაძარში მიმდინარეობდა. ამ დროს ტაძარი საპატიო სტუმრებით ივსებოდა, მერე ფარდა იხსნებოდა და შეკრებილთა თვალწინ წარმოდგებოდა ოქროთი და ძვირფასეულობით გაბრწყინებული უზენაესი ღვთაება. ელანოდიკები (მსაჯები და ორგანიზატორები) ჩემპიონებს ზეთისხილის რტოებისგან დაწნული გვირგვინებით ამკობდნენ. მერე ელანოდიკებისა და საპატიო სტუმრების გარემოცვაში მყოფი ჩემპიონი ფლეიტების ჰანგებისა და ჰიმნების თანხლებით მიემართებოდა საკურთხევლისკენ, რათა ოლიმპიელი ზევსისთვის მადლიერების ნიშნად მსხვერპლი მიერთმია.

ბერლინის ოლიმპიადის (1936) ჩემპიონთა სახელებს მარმარილოზე კვეთენ

გარდა ამისა, ჩემპიონს ნახევარღმერთად აღიარებდნენ და მის სახელს ოლიმპიაში მდინარე ალფეოსის ველზე ჩამწკრივებულ მარმარილოს კოლონებზე კვეთდნენ.

იქვე, ოლიმპიაში, ჩემპიონს ძეგლს უგებდნენ, პოეტები ხოტბას ასხამდნენ გამარჯვებულს.

ჩემპიონისადმი უსაზღვრო პატივისცემა, ბუნებრივია, მის მშობლიურ ქალაქშიც გრძელდებოდა. გრძელდებოდა ხმაურიანად მოწყობილი საყოველთაო ზეიმით. დიდებულ სამოსში გამოწყობილი ჩემპიონი ქალაქში ოთხთეთრცხენშებმული საადლუმო ორთვალა ეტლით შედიოდა. ზოგჯერ ქალაქის გალავანში თუ ციხესიმაგრის კედელში გაჭრილ ჭიშკარს აფართოებადიდებდნენ, რათა ოლიმპიონიკს ეტლზე ფეხზე დგომა შეძლებოდა და არც თავი დაეხარა იქ შესვლისას.

ქალაქის ქუჩებში ჩემპიონს ხვდებოდა ცოცხალი კედლები, საიდანაც ისმოდა აღტაცებული მისალმება, შეძახილები, ტაში; ცვიოდა ყვავილები და გვირგვინები; ზეიმი გრძელდებოდა მთავარ მოედანზე, სადაც ჩემპიონის საპატივცემულოდ გაისმოდა სახოტბო სიტყვები, ოდები თუ ჰიმნები. მერე ზეიმის მთავარი მოქმედი გმირი ქალაქის მფარველი ღმერთის საკურთხევლისკენ მიემართებოდა და ოლიმპიაში მოპოვებულ გვირგვინს მას სწირავდა. მადლიერი თანამემამულენი ჩემპიონს ძეგლს უდგამდნენ თავიანთ ქალაქშიც და ოლიმპიაშიც. მის საპატივცემულოდ უშვებდნენ მონეტებს, რომლებზეც ოლიმპიონიკის პორტრეტი იყო აღბეჭდილი. ჩემპიონს აჯილდოებდნენ ფულითა და ძვირფასი საჩუქრებით, ათავისუფლებდნენ მას ყოველგვარი გადასახადისგან...

მას შემდეგ, რაც დიდი დრო გავიდა, შეიცვალა ოლიმპიური თამაშებისადმი დამოკიდებულება, მისი შინაარსი, პროგრამა და ჩემპიონთათვის განკუთვნილი ჯილდოებიც. ახლა ოლიმპიურ ჩემპიონს აღარც ზეთისხილის რტოს გადასცემენ და აღარც დაფნის გვირგვინით ამკობენ, სამაგიეროდ, ოქროს მედლითა და სიგელით აჯილდოებენ; აჯილდოებენ გვარიანი ფულადი პრემიითაც.

თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში შეინარჩუნეს ის კარგი ტრადიციაც, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონთა სახელების უკვდავყოფას გულისხმობს — ოლიმპიური ქარტიის თანახმად, ოქროსმედალოსანთა სახელები ოლიმპიური სტადიონის კედლებზე იკვეთება. აი, ძეგლსა და უმაღლეს ეროვნულ ჯილდოს კი ცოტანი ღირსებიან.

და მაინც, ოლიმპიური ჩემპიონისთვის მთავარი ჯილდო ოქროს მედალია.

თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში სიდნეის შედეგების ჩათვლით, ყველაზე მეტი, 767 ოქროს მედალი, აშშ-ის სპორტსმენებს დაუმსახურებიათ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს 377 ოქრო მოუპოვებიათ, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს — 136. ამ მხრივ პირველ ათეულში არიან აგრეთვე: იტალია (151), უნგრეთი (140), საფრანგეთი (130), დიდი ბრიტანეთი (126), გერმანია (115), შვედეთი (100) და იაპონია (96).

თუ გადავხედავთ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნების სტატისტიკას, ამგვარი ჯილდოების მფლობელთა რეალური რაოდენობა იქ აღნიშნულზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდება. ეს აიხსნება არა მხოლოდ იმით, რომ მრავალ სპორტსმენს ერთზე მეტი მედალი დაუმსახურებია.

საქმე ისაა, რომ პირველ თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც 1896 წელს ათენში გაიმართა, გამარჯვებულები ოქროს კი არა, არამედ ვერცხლის მედლებით დაჯილდოვეს, ხოლო მეორე ადგილზე გასულნი — ბრინჯაოთი, მესამე პრიზიორები კი... უმედლოდ დატოვეს.

მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც 1900 წელს პარიზში ჩატარდა, არც ჩემპიონები და, მით უმეტეს, მეორე-მესამე პრიზიორები, მედლებით არ დაუჯილდოებიათ. აქ გამარჯვებული ჩოგბურთელები ფულით, სხვები კი... ქოლგებითა და ხელჯოხებით დაჯილდოეს.

და მაინც, ლიტერატურაში ათენისა და პარიზის ოლიმპიური თამაშების სამივე ხარისხის პრიზიორები შესაბამისი სინჯის მედლების მფლობელებად მოიხსენიებიან, რათა სტატისტიკაში აღრევა არ მოხდეს.

ასეა თუ ისე, პარიზის 1900 წლის ოლიმპიური თამაშების მერე ყველაფერი თავისი რიგისა და წესისამებრ განვითარდა. მას მერე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს, მეორე და მესამე პრიზიორებს გადაეცემათ შესაბამისად ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე დიპლომები, ხოლო IV, V, VI ადგილებზე გასულთ — დიპლომები. მედლის წინა მხარეს, ავერსზე, სოკ-ის გადაწყვეტილებით, 1928 წლიდან გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, რომელსაც ხელთ უჭირია დაფნის გვირგვინი. იქვეა აღნიშნული ოლიმპიური თამაშების ნუმერაცია, ჩატარების თარიღი, მასპინძელი ქალაქის სახელწოდება (1928 წლამდე მედლის ამ მხარეზე იყო სხვადასხვა გამოსახულება, რომელსაც ოლიმპიური თამაშების მასპინძლები განსაზღვრავდნენ), მეორე მხარეზე, რევერსზე კი აღბეჭდილია სპორტის ის სახეობა, რომელშიც ათლეტი გამოდიოდა, ოლიმპიური თამაშების ემბლემა და სხვა.

რაც შეეხება „თეორი ოლიმპიადის“ მედალს, მის რევერსზეც იგივე ატრიბუტიკაა, რაც „მწვანე ოლიმპიადების“ ჯილდოებზე, ხოლო ავერსზე — სხვადასხვა.

მედლის დიამეტრი არანაკლებ 60, ხოლო სისქე — 3 მილიმეტრია. ჩემპიონებისთვის განკუთვნილი მედალი დამზადებულია 925 სინჯის ვერცხლისგან, რომელიც დაფარულია არანაკლებ 6 გრამი წმინდა ოქროთი. მეორე ადგილზე გასულ სპორტსმენს 925 სინჯის ვერცხლის მედალი გადაეცემა, ხოლო მესამე პრიზიორს — ბრინჯაოსი.

მედლების დამზადებას დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში, თუ საპრიზო ადგილები რამდენიმე სპორტსმენმა გაიყო, მაშინ თითოეული მათგანი ერთნაირი ხარისხის შესაბამისი მედლებითა და დიპლომებით ჯილდოვდება. ამგვარ შემთხვევაში ასეთი წესი მოქმედებს: თუ სპორტსმენებმა I-II ადილები გაიყვეს, მაშინ ორივეს ოქროს მედალი გადაეცემა, ხოლო მომდევნო პრიზიორს —ბრინჯაოსი; ასე მოხდა მაგალითად, სიდნეიში 50 მეტრზე ვაჟთა თავისუფალი სტილით ცურვაში, სადაც ამერიკელებმა ენტონი ირვინმა და გერ პოლმა ერთნაირი შედეგისთვის ოქრო მიიღეს, მომდევნო პრიზიორ ჰოლანდიელ პიტერ ვან ჰუგენბანდს კი ბრინჯაო გადასცეს. თუ სპორტსმენები გაიყოფენ II-III ან II-IVადგილებს, მაშინ თითოეული მათგანი ვერცხლით დაჯილდოვდება, ხოლო ბრინჯაო გაუცემელი დარჩება.

იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, 1914 წელს ჭოკით მხტომელთა ასპარეზობაში სპორტსმენებს, რომლებმაც II-IIIადგილები გაიყვეს, ვერცხლის მედლები გადასცეს, ხოლო IV-VI ადგილებგაყოფილი მძლეოსნები „ბრინჯაოთი“ დააჯილდოეს. ასევე მოხდა 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, ტანმოვარჯიშეთა პაექრობაში.

ოლიმპიურ ქარტიაში ნათქვამია, რომ თითოეული სპორტსმენი, რომლის გუნდიც საპრიზო ადგილს იკავებს, მიიღებს შესაბამისი ხარისხის მედალსა და დიპლომს, თუ მან ერთ ფინალურ მატჩში მაინც იასპარეზა. სპორტსმენები, რომლებიც ფინალურ შეჯიბრებაში არ გამოსულან, მხოლოდ დიპლომებით ჯილდოვდებიან.

ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ესპანეთის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. „ბრინჯაოს“ ნაკრებში იყო მატეო გარალდა, რომელმაც თავისი მედალი შუაზე გაჭრა. ერთი ნაწილი თავისთვის დაიტოვა, მეორე კი გადასცა თანაგუნდელ ენრიკ მასიპს, რომელსაც ატლანტაში არ უთამაშია.

— ის ჩემი მეგობარია. მან ეს მედალი ისევე დაიმსახურა, როგორც მე — ამბობს ბასკი მატეო გარალდა — საწუხაროდ, ტრავმის გამო მასიპი ოლიმპიურ თამაშებს მიღმა დარჩა, არადა, იგი ჩვენს ნაკრებში კვეთაზე ანუ ერთ მოთამაშე იყო. ოლიმპიური თამაშების საღამოს ტურნირები ერთად გავიარეთ, მაგრამ...

მატეო გარალდა და ენრიკ მასიპი

— თუ ატლანტაში მედალს მოვიპოვებთ, ნახევარს შენ გაგიყოფო, მე კი ამაზე ვუპასუხე: შენ გადარეული ხარმეთქი — გაიხსენა ენრიკ მასიპმა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაპირებები ხშირია, ისინი არ სრულდება, გარალდამ კი სიტყვა არ გატეხა.

„როდესაც საპატიო კვარცხლბეკზე ჩვენი გუნდის წევრებს მედლებს გადმოგვცემდნენ, ტელეკამერის ობიექტივი მომიახლოვდა და მასიპს ეკრანიდან ვანიშნე, რომ მედალს შუაზე გავხერხავდი. ატლანტიდან რომ დავბრუნდი, ჩემმა ოჯახმა დანაპირების ასრულება მომთხოვა. ბარსელონაში ყოფნისას ერთ იქაურ ოქრომჭედელს შევუკვეთე მედლის გახერხვა. ეს საკმაოდ შრომატევადი გამოდგა. მთელი სამი დღე მოუნდა“ — გაიხსენა მატეო გარალდამ, ვისაც ერთი მედალი მოუპოვებია და ისიც შუაზე გაუხერხია.

აქვე გვახსენდება ერთი ოლიმპიური მედლის დეტექტური ისტორიაც. ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე, 1996 წლის ერთ მშვენიერ დღეს, 85 წელს მიტანებულმა კანადელმა კალათბურთელმა ირვინგ მერეცკიმ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მოულოდნელი ბარათი მიიღო. აცნობებდნენ, ოლიმპიური ვერცხლის მედალი უნდა გადმოგცეთო. ამ დაჯილდოებამ დაიგვიანა... მთელი 60 წლით.

მერეცკიმ კანადის კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 1936 წლის ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ამ სახეობის ოლიმპიური დებიუტი გაიმართა. მაშინ კანადელებმა ფინალისკენ გაიკაფეს გზა, იქ კი აშშ-ს გუნდთან დამარცხდნენ. ამ მარცხით განაწყენებულ კანადელებს სხვა უსიამო ამბავიც ელოდათ — ოლიმპიადის ორგანიზატორებმა მათ აუწყეს, რომ თქვენი 14-კაციანი გუნდის რამდენიმე წევრს, მათ შორის მერეცკის ვერცხლის ნაცვლად... ბრინჯაოს მედლებს გადავცემთო. თუმცა, იქვე დააიმედეს, რომ ახლო მომავალში „ბრინჯაოს“ თქვენს კუთვნილ „ვერცხლში“ გადაგიცვლითო.

კანადელი გულივერები ორგზის მოტყუებულნი აღმოჩნდნენ. ჯერ ერთი, ბრინჯაო არ აღმოჩნდა ის ბრინჯაო, რითაც იმ თამაშების პრიზიორები დაჯილდოეს. მათ ნაცვლად კალათბურთელებს თურმე შეასაღეს ბრინჯაოსფრად შეღებილი სამახსოვრო მედლები, რომლებიც ოლიმპიადის ყველა მონაწილეს გადასცეს. მეორეც, ის მედლები დაპირებულ ვერცხლში აღარ გადაუცვლიათ.

ატლანტის ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე წლით ადრე მერეცკის მეგობრებმა თხოვნით მიმართეს კანადის ოლიმპიურ კომიტეტს, რათა სოკ-ის წინაშე დაესვა საკითხი გადავიწყებული ძველი პირობის შესასრულებლად. 60 წლის წინანდელი ამბის გასარკვევად საკმაოდ დრო დაიხარჯა, მაგრამ საბოლოოდ სამართალმა პური ჭამა და გადაწყდა მერეცკისთვის გადაეცათ 1936 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის ზუსტი ასლი. ოღონდ სოკ-მა ამისთვის მოითხოვა იმ „ბრინჯაოს“ დაბრუნება. ეს კანადელმა იუარა, რაკი რამდენჯერმე მომატყუეთ და ის „ბრინჯაო“ „ბრინჯაო“ სულაც არ არის, სრული უფლება მაქვს, არ დავაბრუნო და „სუვენირად“ დავიტოვო, როგორც ოლიმპიადის მონაწილემ, რაც ოლიმპიური ქარტიის მიხედვით მერეცკის ეკუთვნოდა კიდეც.

ამასობაში კანადის ოლიმპიურმა კომიტეტმა დაიწყო დაჩაგრულ ირვინგ მერეცკის თანაგუნდელთა ძებნა, იქნებ ცოცხლად დარჩენილები ახლა მაინც გავახაროთო.

მაგრამ დავუბრუნდეთ ოლიმპიურ ქარტიას, სადაც განმარტებულია „ხელოვნური“ ხასიათის გუნდურ შეჯიბრებაში მედლების მიღების წესი. ასეთ სახეობებში (მაგალითად, ფარიკაობაში, თანამედროვე ხუთჭიდში, საცხენოსნო სამჭიდში, სადაც გუნდურ პირველობას სპორტსმენის პირად პირველობაში ნაჩვენები შედეგები განსაზღვრავს), საპრიზო ადგილზე გასულ გუნდს შესაბამისი მედალი, ხოლო სპორტსმენებს, რომლებიც მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ, შესაბამისი ხარისხის დიპლომები გადაეცემათ.

ავთანდილ ბუკია

პარლემ ანძა და შანსი დაკარგა

„ჰორნის კონცხიც გამოჩნდა, შიშველი, გამოხრული კლდე“ — ამბობს სახელოვანი ჟიულ ვერნი „კაპიტან გრანტის შვილების“ რომელიღაც გვერდზე და ეს სიტყვები ჩვენი წერილის ეპიგრაფად ივარგებს, რადგან პრესტიჟული „BT ჩელენჯის“ იახტები 18 დეკემბერს თითქმის ერთდროულად სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთ პუნქტთან მოგროვდნენ. გეოგრაფიაში გაწვრთნილმა მკითხველმა იცის, რომ ჰორნის კონცხი სინამდვილეში კუნძულია და ამერიკის უკიდურესი სამხრეთი პირობითად დაარქვეს, მაგრამ ასეთი გახლავთ ტრადიცია. „ჩელენჯერთა“ ჰორნის კონცხისადმი ინტერესს კი მასთან პირველად მისულისთვის დაწესებული პრიზი აღძრავდა, თორემ რა უნდოდათ იმ სიშორეს, როცა მაგელანის სრუტე გზას გვარიანად შეუმოკლებდათ.



„ჯერსიმ“ ქარი დაიჭირა

პრიზისთვის სასტიკი სპრინტი გაიმართა. 15 მილი აშორებდა ერთმანეთს მოწინავე 11 იახტას და მხოლოდ „ბრიტიშ პეტროლეუმის“ „BP“ ჩამორჩენილიყო ვაგლახად. სპრინტი „აილ ოფ მენმა“ მოიგო და წყნარ ოკეანეში პირველი გავიდა, თუმცა კუნძულელთა იახტამ მეორე დღესვე დათმო პირველობა და წინ საერთო ჩათვლის ლიდერი „LG ფლატრონი“ გაუშვა. წყნარი ოკეანე ამჟამად არცთუ წყნარი ჩანს და იახტებმაც ღია ზღვაში ოდნავ გაილაღეს, მაგრამ გამოკვეთილად დაწინაურებას ვერც ერთი ახერხებს, ლიდერსა და მეთერმეტე ადგილოსანს ამჟამადაც 60-ოდე მილი აშორებთ, ამიტომ ფავორიტად ჯერ ვერავის დავასახელებთ, მკვეთრი აუტსაიდერი კი ამჟამადაც ნახსენები „BP“ გახლავთ.

ცივა „BT ჩელენჯის“ ცურვის რაონში. მეზღვაურები ყინვაგაუმტარ ლაბადებში გახვეულან და ხანდახან აისბერგებს ხედავენ, ხოლო ჩრდილოეთით, წყნარ ოკეანეშივე მზისგან დასაცავი კრემის ულევ რაოდენობას „ტაიმს კლიპერის“ მონაწილენი ხარჯავენ. რეგატა პანამიდან 15 დეკემბერს გავიდა და გალაპაგოსის კუნძულებისკენ მიცურავს, სადაც საუკუნენახევრის წინ კარგახანს მოხეტიალე ჩარლზ დარვინმა ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობა დაასკვნა. იახტები ძირითადად სიდნეის საზღვაო გზას მიუყვებოდნენ, მხოლოდ „პლიმუთი“ წავიდა სამხრეთით და ჯერ ბოლოა, მაგრამ თავისი ტაქტიკით წარმატების იმედი აქვს. რეგატის ირგვლივ მეთევზეთა ბლომად პატარა გემები დაცურავენ და მათი დანახვაც აღარ უნდათ „პორტსმუთის“ გოგო-ბიჭებს, რადგან რომელიღაცისგან დაგებულ ბადეში გაიხლართნენ და უსიამოვნებას ბეწვზე გადაურჩნენ, ხოლო „ლიდსის“ ეკიპაჟმა მეთევზეთა სიახლოვე უფრო ნაყოფიერად გამოიყენა. იორკშირელებმა რამდენიმე კონსერვი პარაგვაელ მეთევზეებს 45-გირვანქიან დორადოში (თევზია) გაუცვალეს და ცოტა ხანში თითებს იკვნეტდნენ. ამასობაში „ჯერსი“ დაწინაურდა. კუნძულელები ძალიან წინ არ არიან, მაგრამ საიმედო პოზიცია უჭირავთ და რახან ქარი ხელს უწყობთ, გალაპაგოსისკენ უმოკლესი გზით სვლაზე ფიქრობენ.

„BT ჩელენჯის“ საპირისპირო წრეს მსოფლიო ოკეანის სამხრეთში „ვენდი გლოუბი“ შემოწერს. მისმა ლიდერებმა უკვე გაიარეს შუალედური ფინიში ჰერდის კუნძულთან და მალე ავსტრალიის გრძედზე გავლენ. როგორც იქნა, დაზუსტდა ივ პარლეს მოულოდნელი დამუხრუჭების მიზეზი. ამ ხნის მანძილზე მოწინავედ მავალმა ფრანგმა თურმე ზედმეტი მოინდომა და თავადარი ანძა გაუტყდა, რამაც სრულიად უნებლიეთ დღეში ჩააგდო. პარლესთან ერთხანს კონტაქტიც გაწყვეტილი იყო და რეგატის შტაბბინიდან ელენ მაკარტურს მოუწოდეს მისკენ წასვლა და ვითარების გარკვევა. ასეც მოიქცა მაკარტური, მაგრამ ცოტა ხანში შტაბბინამ პარლეს ფაქსი მიიღო და მაკარტურის სამაშველო მისია ამოიწურა, „დალახვროს ეშმაკმა — იტყობინება პარლე მას შემდეგ, რაც კავშირი აღდგა — მეცხრე წელია, „ვენდი გლოუბზე“ ვცოდვილობ და კიდევ დავმარცხდი. არადა, საუკეთესო შანსი მქონდა“. ფაქსში აღწერილი იყო, რაც მოხდა. გაირკვა, რომ 35 კვანძი ქარის თანხლებით პარლეს აღუმართავს მთავარი აფრა სამ რიფზე, გენუის იალქანი და კიდევ ერთი, რომელსაც სტეისეილს უწოდებენ. იახტას რყევები გამძლავრებია, ხოლო ერთმა უძლიერესმა შექანებამ თურმე ანძის სიჯიუტეც გატეხა: იგი სამად დანაწევრდა, 25 მეტრიდან მხოლოდ ექვსმეტრიანი ნატეხი დარჩა, ხოლო კოკპიტს მწარედ მინარცხებული პარლე დაბეჟილობებით გასულა იოლად. უახლესი პორტი პერტი გახლდათ ავსტრალიის დასავლეთში, მაგრამ იქით სვლის ნაცვლად, ფრანგმა ვაჟკაცურად გადაწყვიტა, რბოლა გაეგრძელებინა. დანარჩენი ზღვაოსნების მეტმა წილმა ამის გაგებისას აღფრთოვანება გამოთქვა. აი, მათი კომენტარები:

თომა კოვილი: „მეწყინა პარლეს ამბავი, მეგობარია და მისგან ბევრი ვისწავლე, როგორც არაერთხელ მითქვამს (ამ ადგილას პარლეს გადაწყვეტილება ამცნეს), დიდებულია და პარლესგან მოსალოდნელი“!

მაიკ გოლდინგი: „მე ვერ წარმომიდგენია, მის ადგილას ასე მოქცევას თუ გავბედავდი, ის მამაცი კაცია“.

კატრინ შაბო: „ივ პარლე — ისტინა მართვის გენიოსი. დარაგმა — კვირს, რომ ასეთი რამ მოუვიდა (აქ მასაც „ბარლეტ ლარჩინის“ ამბავი უთხრეს). დაჯერება არ შეიძლება, ეს უბრალოდ გმირობაა“.

ნაკლებ პათეტიკური მხოლოდ პარლეს მარცხით ხეირნანახი მიშელ დეჟუაიე იყო. „ის საკმაოდ გამოცდილია და თავისი საქმე იცის — შემოთვალა დეჟუაიემ პარლეს შესახებ — არა მგონია, ფინიშამდე საკმარისი საკვები ჰქონდეს. მის ადგილას დაუყოვნებლივ ავსტრალიას მივაშურებდი, მაგრამ მე პარლე არა ვარ. ისაა საკუთარი თავის პატრონი“. გმირობა გმირობად და ცოტა ხნის წინ საზღვაო რაშივით მჭოლავი „აქუიტან ინოვასიონს“ ახლა დაჭრილი არწივივით მიფარფატებს და პოზიციებს ერთი-მეორეზე თმობს. მესამე რომ იყო, ადრე გითხარით, ახლა კი მეშვიდეა. მაკარტურმა, კოვილმა, ტირსლენმა და დიუბუამ მას უკვე გაუსწრეს, სამიოდე სხვაც, სავარაუდოდ, ამ დღეებში იგივეს უზამს. პირველი ორი ადგილის პატრონი კარგახნით დადგენილია, თუ დეჟუაიესა და როლან ჟურდენს პარლესავით კატასტროფა არ შეემთხვათ, „ბრინჯაოსთვის“ კი ერთი ამბავია, რასაც წერილის თანმხლებ ცხრილში იხილავთ.

დავით გულუა

VENDEE GLOBE 2000 2001 LES SABLES D'OLONNE

რეგატა «ვენდი გლოუბი»
20 დეკემბრის ვითარება
პირველი ხუთეული

1. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) 13262 საზღვაო მილი ფინიშამდე
2. როლან ჟურდენი („სილ“, საფრანგეთი) +37
3. თომა კოვილი („სოდებო“, საფრანგეთი) +358
4. ელენ მაკარტური („კინგფიშერ“, დიდი ბრიტანეთი) +423
5. მარკ ტირსლენი („აქტივ ვეარ“, საფრანგეთი) +429

THE TIMES Clipper 2000

რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»
II ეტაპი, IV რბოლა.
პანამა — სანტა კრუსი
20 დეკემბრის ვითარება

1.	„ჯერსი“	413	0
2.	„ბრისტოლი“	423	10
3.	„ლონდონი“	428	15
4.	„პორტსმუთი“	429	16
5.	„ლიდსი“	435	22
6.	„გლაზგო“	478	65
7.	„ლივერპული“	488	75
8.	„პლიმუთი“	500	87

მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»
III ეტაპი.
ბუენოს აირესი — ველინგტონი
20 დეკემბრის ვითარება

1.	„LG ფლატრონ“	4268	0
2.	„აილ ოფ მენ“	4272	4
3.	„ჟუადტოუნ“	4277	9
4.	„კომპაქ“	4278	10
5.	„ნორვიჩ იუნიონ“	4292	24
6.	„სპირიტ ოფ ჰონკონგ“	4294	26
7.	„ვერიტას“	4306	38
8.	„ტიმ სპირიტ“	4306	38
9.	„ლოჯიკ“	4311	43
10.	„ოლიმპიკ გრუპ“	4318	50
11.	„სერკო“	4325	57
12.	BP	4436	168

მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.

ტური საპოზიციო

ლენს არმსტრონგი საფრანგეთში გაისადაც ჩაჯა



ლენს არმსტრონგი

ამას წინათ „ტურ დე ფრანსის“ ორგზის გამარჯვებულმა ლენს არმსტრონგმა 2001 წელს ამ შეჯიბრში თავისი მონაწილეობა საეჭვო გახადა, თუმცა მისი გუნდის — „პოსტალის“ — მენეჯერმა მარკ გორსკიმ გუშინ განაცხადა: ლენსი „ტურზე“ აუცილებლად ირბოლებსო.

„არმსტრონგმა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იოან ბრიუნელმა დამარწმუნეს, რომ „პოსტალის“ მთავარი მიზანი იგივე რჩება. ანუ ჩვენ „ტურის“ ყვითელი მაისურის დაცვას ვაპირებთ. „პოსტალი“ მომავალ სეზონს იმ იმედით დაიწყებს, რომ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ და ძლიერ ტურნირს ზედიზედ მესამედ მოიგებს“ — თქვა ჟურნალისტებთან საუბრისას გორსკიმ.

შეგახსენებთ, რომ ფრანგი სამართალდამცავები მოკვლევას აწარმოებენ, რათა დაადგინონ უკანასკნელ „ტურზე“ პოსტალელებმა გამოიყენეს თუ არა აკტოვეგინი ანდა სხვა აკრძალული ნივთიერებები. რამდენიმე დღის წინ ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აკტოვეგინი დოპინგთა შავ სიაში შეიტანა. ეს პრეპარატი საქონლის სისხლით მზადდება და ერითროპოიეტინის (ეპო) მსგავსად სისხლში წითელი ბურთულების რაოდენობას ზრდის, რის გამოც ორგანიზმს ჟანგბადი გაცილებით უკეთ მიეწოდება. „პოსტალის“ ექიმმა აკტოვეგინის გამოყენება აუცილებლად ჩათვალა, რათა მრბოლებისთვის წაქცევის შედეგად მიღებული ტრავმები მოერჩინა. თანაც, თურმე გუნდის ერთ-ერთ ხელმძღვანელს დიაბეტი ჰქონია და სწორედ აკტოვეგინით წამლობსო.

„ოსტინ ამერიკენ სტეიტსმენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გორსკი იმასაც ამბობს, რომ საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის პროდუქტების სანიტარული დაცვის სააგენტო წინასწარ იყო გაფრთხილებული „პოსტალის“ მიერ აკტოვეგინის იმპორტის თაობაზე და არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს.

„მაშინ, როცა პრესაში აბსურდული ჭორები იბეჭდება. მინდა, ხმამაღლა განვაცხადო, რომ 2000 წლის „ტურ დე ფრანსის“ დროს „პოსტალს“ ცხრა ველოომრბოლიდან ერთსაც არ გამოუყენებია აკტოვეგინი“ — ფრანგი სამართალდამცავების გადამკიდე გორსკის მსგავსი განცხადების გაკეთება შეიძლება კიდევ არაერთხელ დასჭირდეს.

გაგი გურული

ლოკატელიმ 125 სანტიმეტრი მოიმატა

125 პბ/სმ ძრავიან მოტოციკლების კლასში მსოფლიოს ჩემპიონმა, იტალიელმა რობერტო ლოკატელიმ მომავალი სეზონიდან ერთი საფეხურით ზემოთ ასვლა და 250-იანთა კლასში გამოსვლა გადაწყვიტა, იგი „ვასკო როსიდან“ „რადიორამაში“ გადავიდა, რომლის მფლობელიც ცნობილი მომღერალი და „იუვენტუსის“ დიდი გულშემატკივარი ეროს რამაზოტია.

რობერტო ლოკატელი

ლოკატელი ის კაცი არაა, მიღწეული წარმატებებით დაკმაყოფილდეს. წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები იგივე ტიპის მოტოციკლით (აპრილია) აპირებს ახალი მწვერვალების დაპყრობას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლოკატელისთვის 250-იანი აღმოჩენა და სიახლე სულაც არ არის.

მას შემდეგ, რაც 1994 წელს 125-იანებში თავის პირველ გრან პრიზე (იტალიის) ირბოლა (პოული და საბოლოოდ მეათე ადგილი), იტალიელი მომდევნო ორი წლის მანძილზე სწორედ 250-იანთა კლასში სცდიდა ბედს. 21 წლის მრბოლისთვის ეს კლასი რთული დასაძლევი გამოდგა და მასაც არანაირი წარმატებისთვის მიუღწევია.

1997 წელს უკან დაბრუნებულმა აპენინელმა კი გამარჯვებებს მალე გაუგო გემო. წლეულს იგი მთელი სეზონი იაპონელ იუიკი უის ებრძოდა და საბოლოოდ იაპონიის გრან პრის შემდეგ გაჩემპიონდა. ბერგამოელი მრბოლი ჯამში ექვსჯერ ავიდა პოდიუმზე, აქედან ხუთჯერ კი თავისი ქვეყნის ჰიმნიც მოისმინა.

ამის მიუხედავად, ლოკატელი თავის შანსებზე მაინც საკმაოდ თავდაჭერილად საუბრობს. გულახდილად გეტყვით — მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას მომავალ სეზონში ნამდვილად არ ვგეგმავ. 250-იან მოტოციკლს თავიდან რომ მივეჩვიო, საკმაო დრო დამჭირდება და თანაც ამ კლასში იმდენი კარგი პილოტი გამოდის. თუ ჩემპიონატს პირველ ხუთეულში დავამთავრებ, ძალიან კმაყოფილი ვიქნები“ — თქვა ლოკატელიმ. თუმცა მას ამ მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ამ კლასიდან შარშან როსი წავიდან წლეულს კი — ჟაკი და ნაკანო. ეს სამეული უძლიერესი იყო და ახლა მზის ქვეშ ადგილი ნამდვილად არის.

გაგი გურული

მატის შამათი

სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის გათამაშება ლამის მხოლოდ ავსტრიელი კაცებისთვის არის მოგონილი — ეტაპი არ გავა, პოდიუმზე ამ ქვეყნის სამივე თუ არა, ორი სპორტსმენი მაინც არ გამოიჭიმოს. თუმცა აქილევსის ქუსლი თვით აქილევსს ჰქონდა და ავსტრიელებსაც მოეძებნებათ ერთი სუსტი წერტილი. სლალომში, რომელიც სისწრაფეზე მეტად ნატიფ ტექნიკასა და მიხვრა-მოხვრას მოითხოვს, ავსტრალიელები მაინცდამაინც ვერ ყოჩაღობენ — ისტორიაში პირველ სამ ადგილზე აქამდე ერთადერთხელ გასულან.

ასე, რომ იტალიურ მადონა დი კამპილიოში სამშაბათს ღირშესანიშნავი ამბავი მოხდა: მარიო მატის თავკაცობით ავსტრიელებმა ერთხელაც დაიპყრეს პოდიუმი. ამაში მათ ნორვეგიელი ჰანს პეტერ ბურასის უიღბლობაც დაეხმარათ — ნაგანოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველ ცდაზე ყველაზე სწრაფად ჩაიქროლა ტრასაზე, მაგრამ მეორეზე ერთი კარი გამოტოვა და ბურთი და მოედანი მეტოქეებს გადაულოცა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე უკეთ ამით მარიო მატიმ ისარგებლა. ავსტრიელმა მეორე ცდაზე მეტად რისკიანად ისრიალა და გაუმართლა კიდეც: „შეიძლება ითქვას, რომ მეტისმეტად აგრესიულიც კი ვიყავი. ერთ მომენტში უკან გადავიწიე და კინაღამ ყირაზე გადავტრიალდი. როგორ შევინარჩუნე წონასწორობა, თავადაც ვერ გამიგია, მდგომარეობას უკვე ვეღარ ვაკონტროლებდი“.

სამაგიეროდ, მატის შედეგი — წუთი და 44 წამი ჯამში საუკეთესო აღმოჩნდა, მეორე ადგილზე გასულ თვისტომ ჰაინც შილხეგერს მან თითქმის ნახევარი წამით აჯობა. შილხეგერი, როშელიც ვარსკვლავების წყვეტას მხოლოდ ბოლო რამდენიმე კვირაში დაეჩვია, უკმაყოფილო მაინც არ დარჩენილა: „ვერ გეტყვით, რა შეიცვალა ასე კარდინალურად, რომ სულ პოდიუმზე ვხვდები. თავდაჯერებული ვარ, კარგი აღჭურვილობა მაქვს და შესანიშნავ ფორმაში ვარ. რატომ? სჯობს კითხვა არ დავსვა, იმიტომ, რომ პასუხი მაინც არ ვიცი“.

მესამეადგილოსან, რაღა თქმა უნდა, ასევე ავსტრიელ რაინერ შონფელდერს მსგავსი წარმატება კი არა, ისიც კი გაუკვირდა, რომ ასპარეზობა მოახერხა. რამდენიმე დღის წინ სესტრიერში მან კინაღამ კისერი მოიტეხა: „იმ დაცემის შემდეგ ცალი ფეხი საერთოდ წამერთვა და შემეშინდა, ვეღარასოდეს გავივლი-მეთქი. თუმცა ეს პანიკა იყო, მაგრამ ფეხი ახლაც მტკივა“.

შონფელდერისთვის ავადმოსაგონარ სესტრიერში სამშაბათს გიგანტურ სლალომში მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. კონკურენცია მეტად მძაფრი იყო, გამარჯვება კი საბოლოოდ შვეიცარიელ სონია ნეფს დარჩა.

ნეფი პირველი ცდის შემდეგ შვედ ანია პერსონს 0,24 წამით ჩამორჩებოდა, მაგრამ ჯოვანი ანიელის სახელობის ტრასის 51-ე კარს მეორე ცდაზე ისე სწრაფად ჩაუქროლა, ჯამში სკანდინავიელს ზუსტად ამდენივეთი გადაუსწრო.

„მეორე ცდაზე ყოველთვის გაცილებით სწრაფად ვსრიალებ, ვიდრე პირველზე, თუმცა ამჯერად საყვედური არც ერთზე მეთქმის. ჩამორჩენა არც ისე დიდი იყო და ვიცოდი, მისი ანაზღაურება შეიძლებოდა. საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა შშვენიერმა სონიამ, რომელსაც კარიერაში სულ მსოფლიოს თასის ექვსი ეტაპი მოუგია, აქედან სამი სესტრიერში.

19 წლის პერსონს კი გიგანტურ სლალომში პირველი გამარჯვება არა და არ ეღირსა. შვედი წლეულს ოთხივე ეტაპზე პოდიუმზე გახლდათ, ორჯერ მესამე, ორჯერაც მეორე ადგილზე, მაგრამ პირველობა მისთვის ჯერაც მიუწვდომელია.

რენატა გოეჩლი, საერთო ჩათვლაში მსოფლიოს თასის შარშანდელი გამარჯვებული, შედეგით 2:22,02 მესამე იყო, თუმცა უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ ჰქონდა. ავსტრიელი თანამემამულე კაცების მსგავსად სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში ბატონობს, ამ დისციპლინაში კი აქამდე მეხუთე ადგილს ვერ ასცილებოდა.

„იქნებ ყველაფერი ჩემი ახალი თხილამურების დამსახურებაც იყოს, ამ ზაფხულში გამოვიცვალე და მათზე სულ უფრო უკეთ ვგრძნობ თავს. გიგანტური სლალომის სპეციალისტად ჯერაც ვერ ჩავითვლები, თუმცა ბევრი შრომა, ვარჯიში და ვნახოთ...“

დავით ხარზიანი

მსოფლიოს თასი

კაცები

მადონა დი კამპილიო. იტალია. სლალომი

1. **მარიო მატი (ავსტრია) 1.44,00 წთ**
2. **ჰაინც შილხეგერი (ავსტრია) 1.44,48**
3. **რაინერ შონფელდერი (ავსტრია) 1.44,94**
4. **კეტილ ამოდტი (ნორვეგია) 1.45,11**
5. **ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1.45,45**

საერთო ჩათვლა

1. **ჰერმან მაიერი (ავსტრია) 631 ქულა**
2. **შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 409**
3. **ლასე კიუსი (ნორვეგია) 409**
4. **ჰაინც შილხეგერი 392**
5. **მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 362**

ქალები

სესტრიერი. იტალია. გიგანტური სლალომი

1. **სონია ნეფი (შვეიცარია) 2.21,67**
2. **ანია პერსონი (შვედეთი) 2.21,91**
3. **რენატა გოეჩლი (ავსტრია) 2.22,02**
4. **მარტინა ერტლი (გერმანია) 2.22,20**
5. **მიქაელა დორრფმაისტერი (ავსტრია) 2.22,21**

საერთო ჩათვლა

1. **მარტინა ერტლი 610**
2. **რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) 538**
3. **მიქაელა დორრფმაისტერი 523**
4. **რენატა გოეჩლი 499**
5. **იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 419**
6. **იზოლდე კოსტნერი (იტალია) 419**

REUTERS სესტრიერიდან

ანია პერსონი და სონია ნეფი

REUTERS მადონა დი კამპილიოდან

მარიო მატი

ბოსტონელთა მეკარემ ბაირონ დაფომ ფილადელფიელი სიმონ განის ამ დარტყმას ვერაფერი მოუხერხა

მეფური გამარჯვება მეფეებზე

19 დეკემბერი

აილენდერსი — კაროლინა 2:1

0:1 1:0 1:0

0:1 კაპანენი 8'13 (10); 1:1 ლოურენსი 26'53 (1); 2:1 ჰაიეტი 42'21 (3)

ბოსტონი — ფილადელფია 4:4

3:2 0:1 1:1 0:0

1:0 გილი 1'43 (1); 2:0 გერინი 2'42 (21); 2:1 განიე 6'37 (14); 2:2 ფედოტენკო 14'33 (5); 3:2 ელისონი 19'46 (17); 3:3 უილიამსი 33'17 (8); 3:4 ტოკეტი 48'03 (5); 4:4 ნაბელი 49'24 (4)

კოლორადო — კალგარი 0:3

0:0 0:2 0:1

0:1 ლოური 23'18 (5); 0:2 სტილმანი 27'17 (13); 0:3 სავარი 58'56 (10)

ლოს ანჯელესი — ატლანტა 6:7

2:2 2:3 2:1 0:1

1:0 შნაიდერი 3'29 (7); 2:0 ვისნოვსკი 9'54 (4); 2:1 ოდეტი 12'40 (15); 2:2 სტეიოსი 19'23 (3); 3:2 ბუკბერგერი 22'52 (3); 3:3 ტეპერი 23'23 (1); 3:4 შტეფანი 25'50 (3); 3:5 სკარტვედტი 26'58 (5); 4:5 ბულანჟე 27'22 (4); 4:6 ოდეტი 52'14 (16); 5:6 სმოლინსკი 53'30 (9); 6:6 რაინპრეხტი 59'46 (9); 6:7 კაბერლე 61'20 (3)

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ლოს ანჯელესთან სამი უიმედო წაგებული მატჩის შემდეგ ატლანტამ მაინც მოარგო გასაღები მეტოქეს და ერთობ უხვგოლიან თამაშში გამარჯვებას მიაღწია. წლეულს ორი გუნდია ლიგაში, რომელიც არც თავად ინდობს მოწინააღმდეგეებს და არც საკუთარ დაცვაზე ზრუნავს აგრერიგად. ამგვარი რეინჯერსი და ლოს ანჯელესია. მათ ლამის ყოველ თამაშში ბლომად გოლი გადის. ატლანტელი დონალდ ოდეტის თქმით, გუნდმა დაცვითი ტაქტიკა ირჩია, რათა მეტოქისთვის მაქსიმალურად გაერთულებინა საქმე. მაგრამ როდესაც „მეფეები“ 2:0 დაწინაურდნენ, ატლანტელთა მწვრთნელმა კურტ ფრეზერმა ტაიმაუტი აიღო და შეგირდებს აქტიურობისკენ მოუწოდა. ეს მითითება მოთამაშეებმა ისე გულიანად შეასრულეს, ლოსანჯელესელთა არც თუ საიმედო დაცვას თავგზა აუბნიეს. 27-ე წუთისთვის ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა და წინ ატლანტა გავიდა — 5:3. მართალია, ძირითადში ახალბედა სტივ რაინპრეხტის (1+2) ძალისხმევით „მეფეებმა“ გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ ოვერტაიმში ბედმა სტუმრებს გაუღიმა და ოდეტის გადაცემის შემდეგ ფრანტიშეკ კაბერლემ მატჩს წერტილი დაუსვა. საინტერესოა, რომ ეს ორივე ჰოკეისტი ადრე ლოს ანჯელესში თამაშობდა. ოდეტი (2+2), რეი ფერარო და ენდრიუ ბრიუნეტი კვლავ ჩინებულად ასრულებენ წამყვანი ტრიოს მოვალეობას. კოლორადოს და კალგარის მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია თვით თამაშზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა. პირველი გოლის ავტორის, დეივ ლოურის თქმით, მეკარე ვერნონმა საუცხოოდ ითამაშა და უზრუნველყო კიდეც კალგარის გამარჯვება. თავად მეკარემ კი აღნიშნა, რომ „ალებმა“ სწორედ ის ფხიზელი თამაში აჩვენეს, რომელიც შედეგის მისაღწევად აუცილებელია. კოლორადელ მცველ აირონ მილერის თქმით, მათ თავად გაუიოლეს მეტოქეს საქმე, რადგან კარის სიახლოვეს რიგიანად ვერ ირჯებოდნენ. ასეა თუ ისე, კოლორადომ შინ ჩატარებული ზედიზედ მეოთხე მატჩი ვერ მოიგო. ვერნონი 4 შათაუტით მხოლოდ დალასელ ედ ბელფორს (7) ჩამორჩება, ხოლო კალგარი თანდათან ასწორებს მდგომარეობას.

ატლანტას დარად, ბოსტონშიც გოლების უმრავლესობა პირველი სამეულის ანგარიშზეა. ამჯერად, ტრიომ 2 გოლი და 4 პასი მიითვალა (გერინი — ელისონი — სამსონოვი), მაგრამ აღმავლობის გზაზე მდგარი ფილადელფიის ძლევისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

აილენდერსს კი, რომელმაც სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე ძველებურად გააგრძელა, მდგომარეობის გამოწორების კარგი შანსი მიეცა. „კუნძულელებმა“ საშინაო 7-მატჩიანი სერია წარმატებით დაიწყეს და ტეილონ პაიეტის გოლის წყალობით კაროლინას მოუგეს.

სამველ ღარიბიანი

სატურნირო ვითარება

ჩრდილო - აღმოსავლეთი

ოტავა	31	19	4	0	8	101:69	42
ტორონტო	32	17	4	3	8	110:77	41
ბუფალო	30	17	2	1	10	86:77	37
ბოსტონი	33	11	4	3	15	84:112	29
მონრეალი	34	9	4	0	21	79:101	22

ცენტრი

სენტ ლუისი	29	21	4	0	4	103:56	46
დეტროიტი	35	19	3	2	11	108:94	43
ნეშვილი	33	11	6	1	15	71:88	29
ჩიკაგო	33	11	2	2	18	81:101	26
კოლუმბუსი	34	10	2	2	20	69:104	24

ატლანტა

ნიუ ჯერსი	31	15	5	0	11	102:79	35
ფილადელფია	33	14	7	0	12	91:93	35
რეინჯერსი	34	16	1	0	17	119:123	33
პიტსბურგი	32	14	4	1	13	93:96	33
აილენდერსი	31	9	4	2	16	70:93	24

ჩრდილო - დასავლეთი

კოლორადო	33	21	5	0	7	100:75	47
ვანკუვერი	32	17	4	2	9	111:85	40
ედმონტონი	35	16	4	1	14	100:97	37
კალგარი	35	11	6	4	14	82:99	32
მინესოტა	33	9	5	2	17	67:79	25

სამხრეთ - აღმოსავლეთი

ვაშინგტონი	32	13	6	1	12	79:82	33
ატლანტა	32	12	6	1	13	93:107	31
კაროლინა	31	12	4	1	14	73:89	29
ტამპა	31	10	3	2	16	86:109	25
ფლორიდა	32	6	6	5	15	71:95	23

წყნარი ოკეანე

სან ხოსე	30	20	4	0	6	91:64	44
დალასი	31	17	4	1	9	84:68	39
ლოს ანჯელესი	33	15	7	1	10	116:102	38
ფინიქსი	31	14	8	1	8	78:69	37
ანაჰაიმი	35	13	4	3	15	89:105	3

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.

ქალთა ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრი

გთავაზობთ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნას, ურთიერთობების პრობლემების მოგვარებას. მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

C R O C O

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ლატარია

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტურაჟში მაცემადი სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

რაღა დღეს გადაირჩეთ?

უკვირს შერისხულ მელოუნს

19 დეკემბერი

მაიამი 79:81 ლეიკერსი

მაიამი: მეისონი (20 ქულა, 11 მოხსნა), გრანტი (14 ქულა, 16 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (23), ონილი (22 ქულა, 14 მოხსნა)

ტორონტო 103:95 იუტა

ტორონტო: კარტერი (33)
იუტა: მარშალი (24)

ატლანტა 87:77 ნიუ იორკი

ატლანტა: რაიტი (20 ქულა, 12 მოხსნა), ტერი (17)
ნიუ იორკი: რაისი (23), ჰიუსტონი (18)

ჰიუსტონი 79:86 სან ანტონიო

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (17 ქულა, 13 მოხსნა), ნორისი (17 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)
სან ანტონიო: დენკანი (25 ქულა, 15 მოხსნა)

საკრამენტო 106:72 ვაშინგტონი

საკრამენტო: ვებერი (19 ქულა, 11 მოხსნა), ფანდერბურკი (16)
ვაშინგტონი: სტრიკლენდი (13)

გოლდენ სტეიტი 120:99 მინესოტა

გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (31 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ჯემისონი (26), ბლეილოკი (18 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა)
მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 16 მოხსნა), აივერი (16)

ფინიქსი 84:89 დეტროიტი

ფინიქსი: რობინსონი (21), როჯერსი (19), პერი (19)
დეტროიტი: სტეკპაუზი (35), სმიტი (14 ქულა, 13 მოხსნა)

ჩიკაგო 85:90 ინდიანა

ჩიკაგო: ბრენდი (17)
ინდიანა: მილერი (22), ბესტი (19 ქულა, 10 პასი)

ჩემპიონი „ლეიკერსი“ კარგ ფორმაში რომ არაა, ნებისმიერ მატჩში ჩანს და „მაიამისთანაც“ გამოჩნდა. შაკილ ონილი და მასთან ერთად მიმდინარე სეზონში სრულიად გაბრწყინებული კობი ბრაიანტი, რომელიც ლიგის ბომბარდირთა სიას თავმომწონედ ლიდერობს — აი, „ლეიკერსის“ წარმატების უტყუარი წინაპირობა, თუმც ჩემპიონს გამარჯვებები ციდან არ უცვივა და არცთუ იშვიათად მარცხდება.

„მაიამი ჰითს“ აღარ ჰყავს ალონზო მურნინგი, ლიგის მეორე ცენტრი და თითქოს შაკილ ონილსაც წინ რაღა უნდა დასდგომოდა, მაგრამ ლიგის უძლიერესი მოთამაშე, მას შემდეგ,რაც სეზონის დაწყებისას „ლეიკერსთან“ წინასწარი ასტრონომიული კონტრაქტი გააფორმა, ისეთებთან აგებს პირად დუელებს, შარშან ცალი ხელით რომ აბითურებდა. მაიამელთაგან ონილის სამეურვეოდ ამპლუით თავდამსხმელი ბრაიან გრანტი გაიწირა, თუმც კიდევ საკითხავია, ამ წყვილში ვინ იყო განწირული. გრანტის კლანჭებში მოქცეულმა შაკილმა რა არ იღონა აბეზარა მეურვისგან დასაღწევად, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაიხსნა. რაც შეეხება კობი ბრაიანტს, მას დაცვის ოსტატი ედი ჯონსი (14 ქულა) იჭერდა და საკმაოდ წარმატებითაც. ჯერ კიდევ სამი წლის წინ „ლეიკერსში“ ჯონსის შემცვლელმა ბრაიანტმა ყოფილ თანაგუნდელს ვერაფერი მოუხერხა და, მართალია, შეხვედრა 23 ქულით დაამთავრა, მაგრამ თამაშში 24 სროლიდან მხოლოდ 9 ჩააგდო.

ისე, შეტევაში არც „მაიამის“ ულხინდა, ამიტომაც შეხვედრა არცთუ უხვქულიანი გამოდგა, სამაგიეროდ, დაძაბულობა არ აკლდა და მატჩის განმავლობაში ლიდერი ათჯერ მაინც შეიცვალა. არ ყოფილა მომენტი, რომელიმე გუნდი თუნდაც 10 ქულით დაწინაურებულიყო. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით დაიწყო და ასევე მიილია. მთელი ამ ხნის მანძილზე უფხოდ მოთამაშე ონილმა ყველაზე ხეირიანი რამ შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წამით ადრე გააკეთა, როცა ანგარიში უკვე 81:79 იყო — ბრაიან გრანტს დაუფარა. ბურთი მასპინძელთა გამთამაშებელ ტიმ ჰარდეკეის მიუვიდა, რომელმაც მოუმზადებლად და უხეიროდ ესროლა. ონილმა მორიგი შეცდომა დაუშვა, მასზე გაცილებით დაბალმა და მსუბუქმა გრანტმა ფარქვეშ მოუხსნა და თანაგუნდელის აცილებულს დაამატა, თუმც ამაოდ გაისარჯა, დრო გასულიყო და ბურთი არ ჩაითვალა. „ლეიკერსს“ შეეძლო, აქამდე არც მიეყვანა საქმე. დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე ბრაიანტს იოლი სროლა რომ ჩაეგდო, ლოსანჯელესელები ოთხი ქულით დაწინაურდებოდნენ და თავს ქუდში დაიგულებდნენ. კობიმ ვერ ჩააგდო და ვერც ონილმა ივაჟკაცა დამატებაზე.

წაგება ყველაზე მეტად „მაიამის“ მწვრთნელმა პატ რაილმ განიცადა, რადგან 80-იან წლებში იგი „ლეიკერსს“ თავკაცობდა და ოთხჯერაც გაიმეორა. იმ დღეს კი მას ძალიან უნდოდა ყოფილი გუნდის ძლევა. „საწყენია, როცა ყველაფერს ერთი არაზუსტი სროლა წყვეტს — ამბობდა იგი ნამატჩევს — ჩვენ უნდა მოგვეგო, მით უმეტეს, რომ მოვახერხეთ შაკისა და კობის შებოჭვა და მათი თამაშის რიტმიდან ამოგდება. ჩემმა ბიჭებმა ურიგოდ არ ითამაშეს და მათ ვერ დავადანაშაულებ, უბრალოდ არ გაგვიმართლა“.

„იუტა ჯაზის“ სახელოვანი ბებრები — კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი აგერ თექვსმეტი წელია, მხარდამხარ თამაშობენ და კითხვა, როდის მობეზრდებათ ბურთაობა, ლამის მარადიულად ქცეულა. თუმცა არა, არც ასეა საქმე, ფიქრობს მათი მწვრთნელი ჯერი სლოუნი. აი, რას ამბობს „ჯაზის“ თავკაცი: „ხალხი იმისთვის არ იხდის ფულს, რომ ვიღაცის ნაძალადევ სირბილს უყუროს. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ უგულოდ თამაშს ვერავის მივუწონებ და ვერაფრით ვაპატიებ, ვინც არ უნდა იყოს“. ეს სიტყვები სტოქტონისა (12 ქულა) და მელოუნის (12 ქულა) მისამართით იყო ნათქვამი, რომლებიც „ტორონტოსთან“ შეხვედრაში უჯიგროდ ირჯებოდნენ. „იუტამ“ ლიდერთა უგერგილობის წყალობით თამაში ინერტულად დაიწყო და თუ პირველ ნახევარში ასე თუ ისე უძალიანდებოდა მეტოქეს, მეორეში სულ დაყარა ფარ-ხმალი. სტაბილურობის მაგალითად ქცეულმა მელოუნმა მესამე მეოთხედში ზედიზედ სამი ბურთი ვერ ჩააგდო, ალბათ, სიცოცხლეში რომ არ აუცილებია, ისეთები. გაგულისებულმა სლოუნმა გუნდის ლიდერი სკამზე დასვა და მთელი მეოთხედი იქ აყურყუტა. მელოუნს რამდენიმე წუთში სტოქტონიც მიჰყვა და „იუტაც“ ათამაშდა. ამ დუეტს არც დასკვნით მეოთხედში მოუწია მოედანზე დიდხანს ყოფნამ. მათმა შემცვლელებმა, მარშალმა და ვონმა იმდენი მოახერხეს, ბოლო მეოთხედში 16-ქულიანი სხვაობა გაანახევრეს, თუმც უქმად არც „ტორონტო“ იყო და „იუტამ“ მაინც წააგო. ჯერი სლოუნიც ამან აღაშფოთა და შეგირდთა შორის საუკეთესოებზე აუგის თქმას არ მოერიდა. „ჰკითხეთ მათ, რატომ არ ითამაშეს, რამდენადაც ვიცი, სავსებით ჯანმრთელები არიან“ — უთხრა მან ნამატჩევს ჟურნალისტებს.

თავად მელოუნი კი გაოცებას ვერ მალავდა, თექვსმეტი წელია, ამ გუნდის ლიდერობა ზურგზე მაწევს და ცხადია, თამაში ყოველთვის არ წამსვლია, სამი და მეტი სროლა მანამდეც არაერთხელ გამიფუჭებია და ვერ გავიგე, დღეს ამან ასეთი მტკივნეული რეაქცია რატომ გამოიწვიაო.

შერცხვა „ნიუ იორკი“, უხეიროო „ატლანტას“ ვერ აჯობა და არასტაბილური გუნდის სახელი კიდევ უფრო განიმტკიცა. „ატლანტას“ კი ვინმე ლორენცენ რაიტმა მოუპოვა სეზონის მეშვიდე გამარჯვება. მანამდე სხვათა ჩრდილში მყოფი რაიტი მუდამ წუწუნებდა, ცოტა ხანს მათამაშებთო. და აი, „ჰოქსის“ ძირითადმა თავდამსხმელმა ალან ჰენდერსონმა ტრავმა მიიღო და ხუთეულში ადგილი გამოთავისუფლდა. რაიტმა ეს შანსი მშვენივრად გამოიყენა, „ნიუ იორკს“ 20 ქულაც ჩაუგდო და საკუთარ ფართან მარკუს კემბი არ გაახარა. „მე განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვდი. სკამის ხეხვა რა ჩემი საქმეა, ათიოდ წუთით მეტი მათამაშეთ-მეთქი, მხოლოდ ამას ვამბობდი. ვფიქრობ, დღეს არაფერი გამიფუჭებია“ — ამბობდა რაიტი მატჩის შემდეგ.

ჰიუსტონში, ტეხასურ დერბიში ერთმანეთს ორი ძველი მოსისხლე მტერი შეერკინა — ჰიუსტონელი ჰაკიმ ოლაჯუონი და სანანტონიოელი დევიდ რობინსონი. ამ ორი ბებრიდან დროს პირველისთვის უფრო დაუმჩნევია თავისი კვალი. დღესდღეობით რობინსონი ოლაჯუონზე უკეთეს ფორმაშია, თუმც ამ თამაშში პირიქით ჩანდა. ჰაკიმმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, პირწმინდად დაჯაბანა „ადმირალი“ — მხოლოდ ხუთი ქულა აკმარა და მესამე მეოთხედში სულაც მეექვსე პერსონალური მიაღებინა, თუმც ამით „ჰიუსტონს“ მაინც არ ეშველა. მასპინძლები ყმაწვილ ლიდერს, სტივ ფრენსისს მოისაკლისებდნენ. ფრენსისი მუჩი ნორისმა შეცვალა და არცთუ ურიგოდ, თუმც სანანტონიოელი ტიმ დანკანის ძალამ მაინც გადასწონა მასპინძელთა მონდომება.

აღსანიშნავია, რომ ეს გამარჯვება „სფურზის“ მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩისთვის 178-ე იყო, რითაც მან ერთით გადაუსწრო დუგ მოს და გუნდის ყველა დროის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი ახლა უკვე ოფიციალურად გახდა. მანამდე კი პოპოვიჩმა 1999 წელს „სან ანტონიო“ არსებობის მანძილზე პირველად გააჩემპიონა.

ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, გაიხარა „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“ დამშეულმა „მეიმრებმა“ შინ მინესოტელი „მგლები“ გაანადგურეს, რაშიც ლომის წილი მასპინძელთა ახალბედა ცენტრმა მარკ ჯეკსონმა დაიდო. „ვორიორზის“ ძირითადი ცენტრის, ერიკ დამპიეს არყოფნაში ჯეკსონმა ფართოდ გაშალა ფრთები და ბოლო ხუთ თამაშში მეტოქეებს საშუალოდ 23,8 ქულა ჩაუგდო. „მინესოტასთან“ ხომ კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 31 ქულა მოუგროვდა.

„ფინიქს სანზი“ დაბალთა გუნდია, ლიგაში საუკეთესო უკანა ხაზით იკვეხნის და თუ რაიმეს აღწევს, მათი წყალობით. უიმათოდ კი არიზონელებს ვერ მისდით საქმე კარგად. მსროლელი ანფერნი ჰარდვეი ჯერაც ტრავმას იშუშებს, „დეტროიტთან“ ვერც ჯეისონ კიდმა ითამაშა და მარცხმაც არ დააყოვნა.

ირაკლი ფირაზვილი



ჰიუსტონი — სან ანტონიო. ჰიუსტონელი ჰაკიმ ოლაჯუონი მალიკ როუზის წინ აღიმართა

REUTERS ჰიუსტონიდან

კვირის მოთამაშე

გლენ რობინსონი

• მილუოკი •



წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ „მილუოკის ბაქსის“ ფრთა გლენ რობინსონი დასახელდა. „დიდი ძაღლი“ — ასე უწოდებენ რობინსონს და გასულ კვირას მან სავსებით გაამართლა მეტსახელი: მეტოქეები მწარედ დაკბინა და თავის გუნდს ოთხი შეხვედრიდან სამი მოაგებინა. „ბაქსის“ ძლეულთა შორის ისეთ ბობოლებსაც ვხვდებით, როგორებიც „ლეიკერსი“ და „იუტა“ არიან.

რობინსონმა და მისმა გუნდმა ჯერ ჩემპიონი „ლეიკერსი“ დაიბრიყვეს მისსავე მოედანზე — 109:105. ამ გამარჯვებაში რეი ალენთან ერთად დაიდო ლომის წილი „დიდმა ძაღლმაც“, რომელმაც 26 ქულა და სეზონში სარეკორდო 16 მოხსნა მოაგროვა. სოლტ ლეიკ სიტიში კი რობინსონის ბენეფისი შედგა: იქაურ „იუტა ჯაზს“, რომელიც 102:111 დამარცხდა, მან მესამე მეოთხედში 18 (აქედან 14 ზედიზედ) ქულა დაატეხა თავს და სულ 32 მიითვალა. პარასკევს რობინსონმა კიდევ ერთხელ დაიჭუხა, „ტორონტოს“ 31 ქულა ჩაუგდო და თავისიანებს მორიგი გამარჯვება მოაპოვებინა. „მილუოკი“ ნიუ იორკში იქაურ „ნიქსსაც“ დაამწუხრებდა, ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა. „ნიუ იორკმა“ მოახერხა მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა და მძიმე ბრძოლაში 100:97 გამარჯვება. აქ რობინსონს 23 ქულა და 11 მოხსნა მოუგროვდა. სულ „დიდმა ძაღლმა“ კვირას ოთხ თამაშში საშუალოდ 28 ქულა, 10 მოხსნა და 3,5 ჩაჭრა მოიხვეჭა.



სხვა თავგამოჩენილები არიან: ჯამალ მაშბურნი (შარლოტი), ჟორდანას ილგაუსკასი, ანდრე მილერი (ორივე კლივლენდი), მარკ ჯეკსონი (გოლდენ სტეიტი), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), კევინ გარნეტი (მინესოტა), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო) და აარონ მაკკი (ფილადელფია).

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
ფილადელფია	18	6	75,0
ნიუ იორკი	15	11	57,7
მაიამი	13	13	50,0
ორლანდო	10	14	41,7
ბოსტონი	9	15	37,5
ნიუ ჯერსი	9	15	37,5
ვაშინგტონი	5	20	20,0

ცენტრალური დივიზიონი			
კლივლენდი	15	7	68,2
შარლოტი	16	9	64,0
ტორონტო	13	12	52,0
მილუოკი	12	12	50,0
ინდიანა	12	13	48,0
დეტროიტი	11	14	44,0
ატლანტა	7	18	28,0
ჩიკაგო	3	22	12,0

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა	17	8	68,0
დალასი	17	10	63,0
სან ანტონიო	15	9	62,5
მინესოტა	15	10	60,0
ჰიუსტონი	13	11	54,2
დენვერი	12	13	48,0
ვანკუვერი	7	17	29,2

წყნარი ოკეანის დივიზიონი			
საკრამენტო	17	6	73,9
პორტლენდი	17	8	68,0
ლოს ანჯელესი	18	9	66,7
ფინიქსი	15	9	62,5
სიეტლი	13	12	52,0
კლიპერსი	8	18	30,8
გოლდენ სტეიტი	7	18	28,0

მურათ ბეი, რატომ მიწყრები?!

ეს გურჯი დიდი შრჩი ვინმეა!

ზაზა ფაჩულია და ულქერის მწვრთნელი ბოლოს მაინც შერიგდნენ

თურქული „ულქერის“ ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია მიმდინარე სეზონს უმეტესად სათადარიგოებში ატარებს. წლეულს ჩვენებურმა „ულქერის“ ორადგილ ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირიც კია: შარშან ზაზას სისტემატურად ათამაშებდა მწვრთნელი მურათ დიდინი და მოსალოდნელი იყო, რომ ქართველი, რომელმაც ამ ზაფხულს „ულქერთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ახალ სეზონში უფრო მეტზანს დაჰყოფდა მოედანზე.

უთამაშებლობას ვინ ჩივის, სამშობლოში შვებულებით მყოფ ფაჩულიას სტამბოლში დაბრუნებისთანავე გვარიანი უსიამოვნება შეემთხვა. თურქებმა მას თავიანთი მოქალაქეობა შესთავაზეს, რაზეც ზაზამ უარი განაცხადა და უკმაყოფილებაც აქედან წარმოიშვა. სწორედ ამას უნდა გაენაწყენებინა მურათ დიდინი, თორემ მწვრთნელს ფაჩულიას ნდობა რომ არ ჰქონოდა, 16 წლის ყმაწვილკაცს შარშან „ულქერის“ ძირითადში სათამაშოდ არ გაიმეტებდა და მით უმეტეს, ამ ზაფხულს არც ოთხწლიან კონტრაქტს შესთავაზებდა.

ორი დღის წინ ფაჩულიას შინ, სტამბოლში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. მისმა საუბარმა ჩვენი ვარაუდის სისწორეშიც დაგვარწმუნა და ყველაფერსაც ნათელი მოჰფინა.



ფოტო ალექსანდრ ბეგლარიანის

არ გავთურქდები! ზაზა ფაჩულიამ თურქებს ყველაფერი გასაგებად აუხსნა

— ახლა რა მიჭირს, ბევრად უფრო კარგად ვგრძნობ თავს, როგორც იქნა, მურათ დიდინს ჩემზე გული მოუბრუნდა, შესაძლოა ხუთშაბათს მათამაშოს კიდეც სუპროლიგის მატჩში იტალიურ „სიენასთან“.

— ადრე არ გითქვამს, დიდინი ნაწყენიაო...

— ბოლომდე მეც ვერ გავრკვეულიყავი, ვამჩნევდი, რომ მწვრთნელი ჩემდამი ძველებურად კეთილგანწყობილი აღარ იყო, მაგრამ...

— უბრალდ იყავით?

— ერთმანეთს კი ველაპარაკებოდით, მაგრამ ვარჯიშზე ისეთ ყურადღებას აღარ მაქცევდა. ეს ისეთი რამ არის, სპორტსმენს არ გამოეპარება.

— და მაინც, საიდან წარმოიშვა კონფლიქტი შენსა და დიდინს შორის?

— კონფლიქტი ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია, ჩვენს შორის სერიოზული უთანხმოება არც ყოფილა, უბრალოდ ვატყობდი, რომ მწვრთნელი ჩემზე გაბრაზებული იყო, რაშიც ამას წინათ გამომიტყდა კიდეც. მიზეზს რაც შეეხება, ვფიქრობ, ისაა, რომ გათურქება ვიუარე. დიდინს გასანაწყენებლად სხვა საბაბი არ უნდა ჰქონოდა.

— მისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, შენ საქართველოს მოქალაქე იქნებოდი თუ თურქეთის?

— მიმაჩნია, რომ მურათ დიდინს ადგილობრივი ფედერაციისგან დაევალა, გათურქებაზე დავეყოლიებინე და საწადელს რომ ვერ მიაღწია, ალბათ, ამან განარისხა. მეორე მხრივ, თურქეთის მოქალაქეობა რომ მიმეღო, „ულქერს“ უცხოელის ადგილი გამოუთავისუფლდებოდა, რითაც, ვფიქრობ, დიდინიც იყო დაინტერესებული.

— წელან თქვი, მწვრთნელი გამომიტყდა, გაბრაზებული რომ იყოო...

— ამ რამდენიმე დღის წინ ვარჯიშის შემდეგ თავისთან მიხმო, განვმარტოვდით და თითქმის საათნახევარი ვისაუბრეთ. მწვრთნელმა აღიარა, რომ ჩემზე ნაწყენი იყო, თუმც დასძინა, რაც იყო, წარსულს ჩაბარდა და პირიქით, შენით ძალიან კმაყოფილი ვარო.

— როგორ ფიქრობ, რამ მოუბრუნა მას გული?

— ალბათ მიხვდა, რომ გაბუტვას აზრი აღარ ჰქონდა, ამით საქმეს აღარაფერი ეშველებოდა, მოქალაქეობის შეცვლაზე მაინც არ დავთანხმდებოდი. გარდა ამისა, თავად ჩემზეც ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული, დიდინს ვაგრძნობინე, რომ მისი საქციელი სულაც არ მაღელვებდა და მიუხედავად იმისა, რომ არ მათამაშებდა, გაორმაგებული მონდომებით ვვარჯიშობდი. როგორც ხედავთ, ამან გაჭრა, მწვრთნელი შემირიგდა.

— უთამაშებლობას მართლა არ განიცდიდი თუ უბრალოდ არ იმჩნევდი?

— სიმართლე გითხრათ, ვღელავდი, მაგრამ არც იმდენად. ისე, სანერვიულოც რა მქონდა, ჩემი ასაკის კალათბურთელისთვის „ულქერის“ სათადარიგოებში ყოფნა სულაც არ არის ტრაგედია. პირიქით, ბევრმა თამაშმა შესაძლოა მავნოს, იქნებ ამ დონეზე სათამაშოდ ჯერ არც კი ვარ მზად.

— წინა სეზონის შემდეგ ელოდი, რომ წლეულს ასე განვითარდებოდა მოვლენები?

— შარშან ფინალური სერიის მატჩებშიც მენდობოდა დიდინი, აქედან გამომდინარე, მეგონა, რომ ამ სეზონში მეტს მოითხოვდა ჩემგან, საქართველოში გამომგზავრებამდე მწვრთნელმაც მითხრა და ჩემმა მენეჯერმაც, გაისად ისეთ ფორმაში უნდა იყო, სულ ცოტა ათ წუთს რომ გაძლო მოედანზეო. იმ საუბრის შემდეგ არ ველოდი დიდინისგან ასეთ მოქცევას.

— როგორც უკვე თქვი, შესაძლოა „სიენასთან“ გათამაშოს კიდეც მწვრთნელმა...

— იტალიელებთან საპაექროდ მეც ისევე მამზადებს დიდინი, როგორც დანარჩენებს. გამაფრთხილა, ნებისმიერ მომენტში მზად უნდა იყო მოედანზე შესასვლელადო.

— ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ „ულქერი“ წლეულს უმაღლეს მიზნებს ისახავს, შენი გუნდი თურქეთის ჩემპიონატშიც ლიდერობს და სუპროლიგის გათამაშებებშიც.

— ორივეგან ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, რაც პირადად მე საკმაოდ რეალურად მეჩვენება. ახლანდელ „ულქერს“ ნამდვილად შესწევს იმის ძალა, რომ თურქეთშიც და ევროპაშიც პირველი იყოს.

— შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა გუნდი?

— ახლა ბევრად უფრო ძლიერია „ულქერი“, ვიდრე როდესმე ყოფილა. შედეგიც სახეზეა, ადგილობრივ ჩემპიონატში პირწმინდად დავჯაბნეთ „ეფესი“, სუპროლიგაში კი „პანათინაიკოსს“ საკმაოდ იოლად გავუსწორდით. ვფიქრობ, აღმავლობა იმან განაპირობა, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე ძალიან ძლიერი უცხოელები დავიმატეთ, „ულქერის“ წარმატებული თამაშის მიზეზი ისიცაა, რომ ადრინდელთან შედარებით ბევრად მოუმატეს ახალგაზრდა კალათბურთელებმაც.

— ვინ მიგაჩნია სუპროლიგის გათამაშებში „ულქერის“ უმთავრეს კონკურენტებად?

— ამაზე საუბარი, მე მგონი, ნაადრევია, რადგან „ულქერის“ გარდა სუპროლიგაში ძალიან ბევრი კარგი გუნდია, რომელთაც ჩემპიონობა ძალუძთ. ამ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფიდან გასვლაზე ვფიქრობთ, რაც, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერები ვართ, ადვილად მისაღწევი არ იქნება. „პანათინაიკოსთან“, „ალბასთან“ და „ვილერბანთან“ სტუმრად უნდა ვითამაშოთ, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამ მატჩების შედეგზე. ისე კი, ვფიქრობ, რომ ჩვენს ჯგუფში ბევრად უფრო ძლიერმა კლუბებმა მოიყარეს თავი, ვიდრე მეორეში.

— რით ხსნით ბოლო ტურში პოლონურ „ცეპტერთან“ დამარცხებას?

— პოლონური მატჩი აშკარად ჩაგდო „ულქერმა“. თავიდან თითქოს კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ ბოლოსკენ სიზუსტემ გვიმტყუნა. უკანასკნელი ცხრა ნასროლიდან მხოლოდ ერთი ჩავაგდეთ, რაც, დამეთანხმებით, ძალიან ცუდი შედეგია. ამ მაჩვენებლით თამაშის მოგება, მით უფრო სტუმრად, თითქმის შეუძლებელია.

— ზაზა, ამ ბოლო დროს სხვა რომელიმე გუნდი ხომ არ დაინტერესებულა შენით?

— სერიოზული არაფერი ყოფილა. ისე კი ახლაც ძალიან ხშირად მირეკავს ჩვენი ბიჭების „სლოვანის“ მენეჯერი და მთხოვს, რომ ლიუბლიანაში ჩავიდე, მეუბნება, თურქეთში მაინც არ გათამაშებენო.

— რას პასუხობ?

— უარს ვეუბნები, ვერ გავაგებინე, რომ სლოვენიაში გადაბარგებაზე არც კი ვფიქრობ. რა თქმა უნდა, მოხარული ვარ, რომ ჩემით ასე არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მე რომ ახლა ეს ნაბიჯი გადავდგა, დიდი შეცდომა იქნება. მარტო ის რად ღირს, რომ „ულქერში“ ყოფნით სუპროლიგაში თამაშისა და თავის გამოჩენის საშუალება მეძლევა.

ბიორგი ბიკაშვილი

სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 20 დეკემბერი

A ჯგუფი

რაბანანა 68:82 პანათინაიკოსი

ვილერბანი 72:80 ცსკა

B ჯგუფი

სკავოლინი 82:80 ეფესი

საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 19 დეკემბერი

A ჯგუფი

შალონი (საფრანგეთი) — ქარშიაქა (თურქეთი) 73:57, მარუსი (საბერძნეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 112:71, პამესა (ესპანეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 90:86

შალონი	8	6	2	570:535	14
პამესა	8	6	2	695:669	14
მარუსი	8	6	2	722:662	14
ჰაპოელი	8	2	6	650:664	10
ქარშიაქა	8	2	6	659:700	10
პივოვარნა	8	2	6	626:692	10

B ჯგუფი

არკადია (ავსტრია) — უნიქსი (რუსეთი) 61:93, პორტუ (პორტუგალია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 72:82, არისი (საბერძნეთი) — ზაგრები (ხორვატია) 20:0

უნიქსი	8	6	2	549:382	14
პორტუ	8	6	2	518:458	14
არისი	8	6	2	556:528	14
ბეშიქთაში	8	4	4	603:606	12
არკადია	8	2	6	581:673	10
ზაგრები	8	0	8	0:160	0

C ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 80:76, ტელეკომი (გერმანია) — საკალაი (ლიტვა) 88:76, კერავნოსი (კვიპროსი) — რასინგი (საფრანგეთი) 92:83

ტელეკომი	8	6	2	693:631	14
ცრვენა ზვეზდა	8	5	3	639:635	13
კერავნოსი	8	4	4	650:653	12
სან ფერნანდო	8	3	5	664:674	11
საკალაი	8	3	5	654:665	11
რასინგი	8	3	5	640:682	11

D ჯგუფი

ლუპტა (ფინეთი) — ბორაცი (ბოსნია) 85:83, იმოლა (იტალია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 99:103, ანტვერპენი (ბელგია) — ანვილი (პოლონეთი) 67:75

ანვილი	8	7	1	672:644	15
ანტვერპენი	8	4	4	645:640	12
ბორაცი	8	4	4	700:651	12
სლოვაკოფარმა	8	4	4	691:682	12
ლუპტა	8	3	5	653:726	11
იმოლა	8	2	6	682:700	10

მეცხრე ტური გაიმართება 2001 წლის 9 იანვარს

REUTERS ბელგრადიდან

ცრვენა ზვეზდა — კახა სან ფერნანდო. სტუმარი რიჩარდ სკოტი (ბურთით) და დუშან ილიჩი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ბორბლების საღამო

მონტე კარლოში წლის საავტომობილო გალა გაიმართა. „ფერარის“ ხალხმა ლამის მთელი ჯილდოები მოხვეტა და სრულიად დამსახურებულადაც. ფორმულა 1-ის სამგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, გუნდის მენეჯერი ჟან ტოდტი და პრეზიდენტი ლუკა დე მონტეძემელო დიახაც რომ ხარობენ. საზეიმო საღამო კი ერთმანეთისადმი არცთუ ძმურად განწყობილ ვარსკვლავებსაც აახლოებს, შუმახერი და სქოთურად მოსილი დევიდ კულჰარდი გულიანად იცინიან.

პროსტი ცდილობს

REUTERS სეპანგიდან

ოქტომბერში გადაღებულ ამ ფოტოზე ალენ პროსტისა და სინგაპურელი მრბოლის კრისტიან მარჩისონის შეხვედრაა აღბეჭდილი. მალაიზიურ სეპანგში ჩასული პროსტი მაშინ ბევრს ლაპარაკობდა მარჩისონის ფორმულა-3-დან ელიტურ ფორმულა-1-ში გადმობარგებაზე. ოღონდ კი, ამ საქმისთვის ორი მილიონი დოლარი უნდა დახარჯულიყო, და ამ დღეებში პროსტს წერილით მიუმართავს დიდი სინგაპურული კომპანიებისთვის, თქვენებურს სპონსორობა გაუწიეთო.

REUTERS ობერსდორფიდან

გვასესხეთ თოვლი

ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიოს თასი კარსაა მომდგარი, თბილი ზამთრით დაბნეულ გერმანელებს კი თოვლი შორიდან მოაქვთ, რათა ბავარიის ობერსდორფში ტრამპლინი წესისა და რიგის მიხედვით გამართონ, შეჯიბრი 29 დეკემბერს იწყება.

ლემიე გამოცურდა



REUTERS პიტსბურგიდან

ასეც ხდება... „პიტსბურგ პინგვინზის“ პატრონი, დიადი მარიო ლემიე ყინულს უბრუნდება. ლეიკემიამორჩენილი, უეინ გრეცკის შემდეგ ყველაზე განთქმული მოთამაშე ახალი დროისა, პიტსბურგულ ყინულზე პირველ ნაბიჯებს დგამს და 27 დეკემბერს უკვე ნამდვილ თამაშში ჩაერთვება. ლემიეს მეორედ მოსვლის ღრმა მიზეზები უცნობია. და ღმერთმა იცის, ეს კლუბის მარკეტინგ-მენეჯმენტისთვის უფრო ხდება, თუ გრეცკის სახელთან კიდევ ერთხელ შესათამაშებლად.



REUTERS პიტსბურგიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის **რედაქტორი** ზურაბ მეძველია
ინფორმაციის **რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის **რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის **რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის **რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge